კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თეიმურაზ შეშაბერიძე

„კლასიკური სამხედრო სტრატეგიები და მათი გეოსტრატეგიული მოდელები XXI საუკუნეში აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე“

საერთაშორისო ურთიერთოებები და საერთაშორისო უსაფრთხოება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთოებების და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ მაისაია.

თბილისი

2018

ანოტაცია

საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ცვლილებები ომების ისტორიაში.ცვლილებები შეეხებოდა, როგორც საშუალებებს, ასევე ორგანიზებას, დაგეგმვას, ტაქტიკას და სტრატეგიას.უმნიშვნელოვანესი ეპოქა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ომის ბუნება და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ომებს, არის XVIII-XIX საუკუნეები, რომელიც ნაპოლეონის ეპოქითაა ცნობილი. ამ დროს ჩამოყალიბდა კლასიკური სამხედრო სტრატეგიები. ამ ეპოქის მოღვაწეებმა შექმნეს თეორიული ნაშრომები, რომელშიც ასახული იყო სამხედრო მოქმედებათა მთელი არსი, რითიც საზრდოობდნენ მომავალ ომის კამპანიებში.

აღნიშნული პერიოდის შემდგომ სწრაფად განვითარებადმა ეპოქამ, შესაბამისად შექმნა ახალი საშუალებები სამხედრო სფეროში. ომმაც შესაბამისად განიცადა ტრანსფორმაცია სხვადასხვა კუთხით, თუმცა კლასიკურმა სტრატეგიებმა თავისი მაღალი ღირებულებით და მნიშვნელობით მაინც დაიკავა გარკვეული ადგილი თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებში. მათი ფუნდამენტალური კვლევები კვლავ ძალაშია და ინარჩუნებს სახეს.

მოსაზრება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ XXI საუკუნე იქნებოდა უკონფლიქტო ეპოქა, მხოლოდ ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, რადგან სახეზე გვაქვს ახალი თაობის კონფლიქტები, ახალ განზომილებებში და ამათთან ერთად მნიშვნელოვანია გამოვყოთ, რომ კლასიკური სტრატეგიები კვლავ გამოყენებადია და მათ თანამედროვე მოდელებს ვხვდებით ისეთ გეოპოლიტიკურ აქტორთა სამხედრო დოქტრინებში და სტრატეგიებში, როგორიცაა აშშ და რუსეთის ფედერაცია. ძალზედ რთულია განისაზღვროს მომავლის შესაძლებლობები სამხედრო კუთხით. ეს ალბათ დამოკიდებულია იმაზე, თუ რას შემოგვთავაზებს სამეცნიერო პროგრესი მომავალში, თუმცა უდავოა ის ფაქტი, რომ სანამ შესაძლებლობების გამოყენებას დაიწყებ, აუცილებელია შეისწავლო ომის ხელოვნება. სწორედ ომის წარმოების ხელოვნებას გვასწავლის კლასიკური სამხედრო სტრატეგიები. ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ კლასიკური სამხედრო სტრატეგიების გავლენა, თანამედროვე საომარ მოქმედებათა ბუნებაზე.

ANNOTATION

For centuries the changes have been taking place in the history of wars. Changes were about the means, as well as organizing, planning, tactics and strategy. The most important era that has changed the nature of war and laid the foundation for modern wars is the XVIIIXIX centuries, known as the Napoleonic Epoch. At this time the classical military strategies were formed. The echoes of this epoch created theoretical work in which the whole essence of military action was reflected in the future war campaigns.

A rapidly developing epoch after this period created new means in the military sphere. The war has also undergone transformation in a different way, although classical strategies have at its high value and significance have taken place in modern combat operations. Their fundamental studies are still in force and keeps the look.

The notion that the XXI century would have been an uncompromising epoch is only a matter of fantasy, because we have new generation conflicts in the new dimensions also It is important to note that classical strategies are still usable and modern models are seen in military doctrines and strategies of geopolitical actors such as the US and Russian Federation. It is very difficult to define future opportunities in the military aspect it probably depends on what the scientific progress will offer in the future. However, the fact is that while you start using the capabilities, it is imperative to study the art of war. It is the art of warfare that teaches classical military strategies. Our main purpose is to represent the impact that is reflected in modern warfare from classical military strategies.

სარჩევი

ანოტაცია 2

ANNOTATION 3

შესავალი .....

5 თავი I კლასიკური და თანამედროვე სამხედრო თეორიების კონცეპტუალური მიმოხილვა

- მათი ძირითადი ასპექტების განხილვა. 12

1.1კლასიკური სამხედრო სტრატეგიების არსი და მათი ზოგადი მიმოხილვა 12

1.2 თანამედროვე ომის თეორია-მეოთხე თაობის საომარი მოქმედებები: არსი და რეალობა .....

28 თავი II კლასიკური სამხედრო სტრატეგიების ისტორიული ასპექტები .....

37

2.1 კარლ ფონ კლაუზევიცი: სამხედრო სტრატეგიის ფუძემდებელი და მისი მოდელი 37

2.2 ჰენრი დიტრიხ ბიულოვი: სამხედრო სტრატეგიის გეომეტრიული დაგეგმვის პრინციპი .....

45

2.3 ჰენრი ჟომინი: სამხედრო ტაქტიკის თეორიტიკოსი და კლასიკოსი ..... 51 თავი

III კლასიკური სამხედრო სტრატეგიების რეალიზება და ასახვა თანამედროვე

გეოსტრატეგიული მოდელირების დონეზე 59

3.1 კლაუზევიცის სამხედრო თეორიების გავლენა აშშ-ს თანამედროვე სტრატეგიებზე 60

3.2 ბიულოვის სამხედრო თეორიული მიდგომების ასახვა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში .....

64

3.3 ჟომინის მოდერნიზებული სამხედრო სტრატეგია მოქმედებაში- „შორეული საექსპედიციო ომის“ თეორია (აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე) 74

დასკვნა 79

გამოყენებული ლიტერატურა 82

დანართები .....

84

შესავალი

არსებული ისტორიული ფაქტების საფუძველზე შესაძლოა დაბეჯითებით ითქვას, რომ მსოფლიოს თავისი არსებობის გზაზე დეგრადაციის ეტაპი არ გაუვლია.ამ გზაზე მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო სამხედრო განვითარებაზე. ბრძოლის ელემენტები გვხვდება პირველყოფილი თემური წყობიდან, როცა ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა უბრალოდ გათლილი ქვა ან ხის მასალა. შემდგომში, როდესაც ადამიანმა დაიწყო მეტალის დამუშავება, შეიქმნა ახალი საბრძოლო საშუალებები, როგორიცაა ხმალი, შუბი, ისარი და ა.შ.თუმცა, ბრძოლის ძირითადი პრინციპი უცვლელი დარჩა დღემდე. ეს არის არსებულის შენარჩუნება ან უფრო მეტის მიღების სურვილი. თანამედროვე ტერმინით ეს არის - თავდაცვა და შეტევა.მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო დედამიწის რესურსების ათვისება, საუკუნეების მანძილზე განვითარდა საშუალებები და, შესაბამისად, ბრძოლის ტექნიკაც.

ეს რაც შეეხება სამხედრო შესაძლებლობებს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო მოქმედებებში. თუმცა,ჩვენთვის მთავარ საკითხს წარმოადგენს სამხედრო სტრატეგიული აზროვნების ევოლუცია. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ეპოქას წარმოადგენს ნაპოლეონის ომები და მისი შემდგომი ხანა - საფრანგეთის რევოლუცია. ნაპოლეონის ეპოქაშიც მოხდა შეიარაღებული ძალების სტრუქტურიზაცია და მისი ახალი მოდელის ჩამოყალიბება წინა ეპოქებისგან განსხვავებით. შეიქმნა სამხედრო პროფესია, რომლის წარმომადგენელი ოფიცრები იყვნენ სამხედრო პროფესიის წარმომადგენლები და არა მოყვარულები ან დაქირავებულები. „ ომის ხელოვნება კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი მიღწევაა, მაგრამ სამხედრო პროფესია თანამედროვე საზოგადოების ახალი ქმნილებაა.“ „1800 წლამდე არსებობდა არმიები და ფლოტები,რომელთაც ოფიცრები მართავდნენ .თუმცა, ეს ოფიცრები არ იყვნენ

პროფესიონალები. ჩვეულებრივ ისინი ან დაქირავებულები იყვნენ, ან არისტოკრატები. მათთვის ოფიცრობა პროფესია არ იყო. დაქირავებულისთვის ეს იყო ბიზნესი, ხოლო მოყვარული არისტოკრატებისთვის ჰობი. პროფესიონალის მიზანი მაღალკვალიფიციური მომსახურებაა, დაქირავებულის- ფულადი მოგება, ხოლო არისტოკრატის - პატივი და თავგადასავლები"[1]- ამბობს სამუელ ჰანტინქტონი თავის ნაშრომში „ჯარისკაცი და სახელმწიფო".

მეორე უდიდესი ევოლუცია სამხედრო სფეროში იყო „სამხედრო დამგეგმავი მანქანა, გენერალური შტაბი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პრუსიის ჯარების გენერალმა ჰელმუნდ ფონ მოლტკემ. სწორედ ეს პერიოდია სამხედრო სფეროში უდიდესი ტრანსფორმაციის , გარდატეხის ეპოქა. ამ პერიოდის ომებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სამხედრო აზროვნებას და შეცვალა ძველი თაობის ომების მიმდინარეობა.ამ მოვლენებმა თაობის ბევრ სამხედრო მოღვაწეს ბიძგი მისცა,შეექმნა თეორიული ნაშრომები ახალი თაობის ომებზე. მათი თეორიები ძირითადად საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარეობდა.ისინი დღემდე აქტუალობას არ კარგავენ და რჩებიან თანამედროვე სამხედრო ხელოვნების კლასიკოსებად, მიუხედავად იმ ცვლილებებისა,რომელიც 21-ე საუკუნემ მოიტანა. ასეთი გამორჩეული ავტორები არიან კარლ ფონ კლაუზევიცი, ჰენრი ბიულოვი და ჰენრი ჟომინი.მათზე ნაშრომში ვრცლად ვისაუბრებთ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თანამედროვე, მეოთხე თაობის საომარი მოქმედებებისა, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იყენებენ სწორედ კლასიკურ სამხედრო სტატეგიებს საკუთარ დოქტრინებში. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თეორიები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რათა განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა სამხედრო სფეროში და მათი ტრანსფორმაცია ახალი თაობის ომებში.

აღნიშნული კვლევის კითხვებს წარმოადგენს:

- რამ გამოიწვია თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებში და დაგეგმვის პროცესში ცვლილებების აუცილებლობა და კონკრეტულად როგორ შეიცვალა თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების და სამხედრო სტრატეგიული მიდგომების თვისებები?

[1] „ჯარისკაცი და სახელმწიფო"_სამუელ ჰანტინქტონი გვ18

- რა როლს თამაშობს სამხედრო კლასიკური თეორიები თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას?
- რომელი ქვეყნების სამხედრო სტრატეგიულ მიდგომებში ჰპოვებს ასახვას კლასიკური და მოდერნიზებული სამხედრო სტრატეგიები და როგორი ფორმით?

კვლევაში გამოყენებული თვისობრივი კვლევის მეთოდების: ისტორიული ანალიზის,დესკრიფციული ანალიზის, ასევე კონტენტ, Case- study-ის და SWOT-ანალიზის შესწავლის საფუძველზე კვლევის მიდინარეობისას გამოიკვეთა ისეთი ამოცანები როგორიცაა:

- კლასიკური სამხედრო სტრატეგიების ისტორიული მიმოხილვა და ძირითადი ასპექტების განხილვა ანალიზი.
- მათი მნიშვნელობა და შერწყმა თანამედროვე გეოსტრატეგიულ სისტემაში.
- მათი რეალიზება კონკრეტული საერთაშორისო სისტემის აქტორების მიერ.
- საქართველოსთვის მომავალი სამხედრო საფრთხეების და გამოწვევების წარმოჩენა

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს რეალიზმის სკოლის თეორია თუკიდიდე „peloponnesian war“, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი თეორია „ძალთა ბალანსის თეორია“.ასევე ნეორეალიზმის სკოლის თეორია- სამუელ ჰანტინქტონი „ჯარისკაცი და სახელმწიფო“. ასევე სტრატეგიული კვლევები- კოლინ გრეი სამხედრო სტრატეგიის შესახებ, სუნ ძი-“ომის ხელოვნება“ .

საკითხის კვლევისას დასმული კითხვებისა და ამოცანების შესწავლის შემდეგ, რომელიც მიღწეულ იქნა საკვლევი მეთოდების, ანალიზისა და კვლევის მეთოდოლოგიის ხარჯზე გამოიკვეთა თემის ჰიპოთეზა:

 თანამედროვე მსოფლიომ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია თავისი არსებობის მანძილზე.სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის განვითარებამ გამოიწვია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა რომელმაც ჯერ არ ნახული გამოყენება ჰპოვა სამხედრო სფეროში. სწორედ ამ საკითხმა შეუწყო ხელი ახალ სამხედრო სტრატეგიების ჩამოყალიბებას რომლებიც ორიენტირებულია სწრაფი და მანევრული სამხედრო სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების მისაღწევად ამ ფაქტორის

მიუხედავად სამხედრო კლასიკურ თეორიულ მიდგომებს კვლავ გააჩნია თავისი გავლენა თანამდეროვე სამხედრო ოპერაციების დაგეგმარებისა და განხორციელებისას.

დღეს უდავოა ის ფაქტი რომ 21- საუკუნე გახდა უდიდესი ცვლილებების ეპოქა გეოპოლიტიკურ სისტემაში. სადაც მსოფლიო, უსაფრთხოების დილემის წინაშე დგას და ისახება ცივი ომის ახალი ნიშნები, რომელსაც უკვე გააჩნია ცხელი წერტილები სირიისა და უკრაინის მაგალითზე. აქედან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა სამხედრო სფერომ, განსაკუთრებით მისმა განვითარებამ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ფონზე. ასეთმა ვითარებამ შექმნა კლასიკური სამხედრო სტრატეგიებზე დაყრდნობით ახალი გეოსტრატეგიული მოდელები, რომლებიც ასახვას ჰპოვებს ისეთი ძლიერი გეოპოლიტიკური აქტორების სამხედრო სტატეგიებში, როგორიცაა: ერთის მხრივ აშშ და მეორეს მხრივ რუსეთის ფედერაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სტრატეგიების ჭიდილშია მოქცეული მთლიანად კავკასია და მათ შორის საქართველოც, რომლისთვისაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამომავლო სურათის წარმოდგენა, ანალიზი, სამოქმედო გეგმის შემუშავება და მომავალი მოქმედებისთვის მზაობა. ამიტომ ჩვენ ნაშრომში ფართოდ განვიხილავთ კლასიკურ სამხედრო სტრატეგიებს და მის კვალს თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებში. განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ზემოთ ხსენებული სამხედრო თეორეტიკოსების სამხედრო აზროვნება, მათი შეხედულება ომზე და ომის ხასიათზე. დავასაბუთოთ, თუ რა გავლენა აქვს მათ აზროვნებას თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების ბუნებაზე, რომელიც ასევე განხილული იქნება ჩვენს მიერ. აგრეთვე შევეცდებით დავასაბუთოთ ის მოსაზრება, რომ დღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იყენებენ კლასიკური სამხედრო თეორიებს საკუთარ დოქტრინებში.

ნაშრომში აქცენტი გაკეთებული იქნება, როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ბუნებაზე, რადგან სწორედ სამხედრო ძლიერება წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს მსოფლიოს სახელმწიფოების ძალას მიაღწიონ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ამ სიძლიერის დამსახურებაა მსოფლიოს ომები წარსულში და დღესაც. ტერმინი უსაფრთხოების დილემა ეს არის კაცობრიობის

გარდაუვალი ქმედება და ჩვენ ეს ტერმინი უკვე ვახსენეთ ზემოთ და მისი ხსენება კიდევ ხშირად მოგვიწევს, რადგან სწორედ ამ მოვლენის დამსახურებაა მსოფლიოს სამხედრო ტაქტიკის, სტრატეგიის და ტექნოლოგიების განვითარება. შესაძლოა ვინმე არ დაეთანხმოს ამ მოსაზრებას, თუმცა კონკურენციის და მოწინააღმდეგის შიშის გარეშე ამ კუთხით შეიძლებოდა უმნიშვნელო ცვლილებები გამოკვეთილიყო. ამის ნათელი მაგალითი ჯერ კიდევ ძველი მსოფლიოს ისტორიიდან გვაქვს პელოპონესის ომების სახით, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაანალიზებული ომების სახით გვაქვს წარმოდგენილი დღეს. იმ დროს შესაძლოა სულაც არ იცოდნენ ამ ტერმინის შესახებ და არც იყენებდნენ, მაგრამ მათი მოქმედებები ცხადყოფდა მდგომარეობის დაძაბვას. ორივე სახელმწიფოს გააჩნდა საკუთარი ინტერესები, ამიტომ ვერ დაუშვებდნენ, რომ სამხედრო ძლიერებით ჩამორჩენოდნენ ერთმანეთს და მზად არ დახვედროდნენ მომავალ საომარ მდგომარეობას სწორედ ამ პრობლემის შესახებ საუბრობს კარლ ფონ კლაუზევიციც თავისი სიტყვებით: "განვსაზღვრავთ რა მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის ძალას, ვზომავთ ჩვენს ძალებს და ვცდილობთ გადავწონოთ მოქინააღმდეგის ძალები. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ ჩვენი ძალები; მაგრამ ამავეს ცდილობს ჩვენი მოწინააღმდეგეც. აქედან კვლავ შეჯიბრი იმართება, რაც შეიცავს უკიდურესობისკენ სწრაფვას."[2]

როგორც უკვე ავღნიშნეთ დღეს მსოფლიო ნამდვილად დგას ასეთი პრობლემის წინაშე. უახლოეს წარსულში განხორციელებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს არსებული მდგომარეობა, წამყვანი სახელმწიფოების მოქმედებებიდან გამომდინარე ნამდვილად ჩავარდა უსაფრთხობის დილემის წინაშე. ამის უდავო წარმომადგენლები კი არიან უდიდესი სახელმწიფოები როგორიცაა: აშშ და რუსეთის ფედერაცია რომელთა ინტერესები აღწევს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. აგრეთვე ამ ქვეყნის ლიდერები არ მალავენ ამ ფაქტს და ღიად მთელი მსოფლიოს დასანახად აცხადებენ მსგავს სიტუაციას. მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნას 2018 წლის რუსეთი სამხედრო გეგმები თავის სამხრეთ სამხედრო ოლქის მიმართულებით და არა მარტო. აგრეთვე მეორეს მხრივ აშშ -მ განაცხადა რომ იგი უახლოეს

[2] კარლ ფონ კლაუზევიცი-„ომის შესახებ"

მომავალში აპირებს საკუთარი შეირაღების გაზრდას როგორც ტაქტიკურ ასევე სტრატეგიულ დონეზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე სამხედრო სფერო კვლავ რჩება და კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოების ძლიერების საქმეში და პოლიტიკური მიზნების მიღწევაში.ამიტომ სახელმწიფოების მხრიდან მისი უგულებელყოფა აუცილებლად მიიჩნევა როგორც გაუაზრებელი ქმედება მომავლისთვის, ხოლო ტერმინი „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება“ კვლავ რჩება აქტუალური.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც კავშირი აქვს დისერტაციის თემასთან. წყაროების შერჩევისას გამოყენებული იქნა შემდეგი სახის კრიტერიუმები:

- კომპეტენტურობა
- ინფორმაციულობა
- სიღრმისეული ხედვა
- ხედვების მასშტაბურობა
- ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები

წყაროთა შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ნაწილი მათგანი მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ზოგად შეფასებებს მოცავს, ზოგიერთი კი აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებებს ეხება.

კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიემე ასეთი სახის კონკრეტული მასალა, რომელსაც გააჩნია ამ თემატიკასთან უშუალო შეხება:

1. კახა კაციტაძე-„სტრატეგიის საფუძვლები“ წიგნი მთავარ გზამკვლევს წარმოადგენს იმ პირებისთვის ვისაც სურს გაეცნოს სამხედრო ხელოვნების არსს მის ისტორიულ განვითარებას თანამედროვე ერამდე. წიგნში გადმოცემულია დიდი სტრატეგიის და სამხედრო სტრატეგიის არსი. განხილულია სტრატეგიები დიდი სამხედრო ოპერაციების მაგალითებზე, აგრეთვე განხილულია გეოსტრატეგიული საფუძვლები-სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის გეოსტრატეგიული დახასიათება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გაანალიზებულია კლასიკური სამხედრო სტრატეგიის

ფუძემდებლების სამხედრო აზროვნება.ავტორი აგვრეთვე საფუძვლიანად ეხება ახალ მეოთხე თაობის ომების ხასიათს და შესაბამის სტრატეგიებს.

2. „ჯარისკაცი და სახელმწიფო“_სამუელ ჰანტინქტონი ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო სამხედრო ურთიერთობებზე, სამხედრო აზროვნებაზე და სამხედრო პროფესიის არსზე და მის გავლენაზე თანამედროვე სამხედრო მოქმედებებში. წიგნში აგრეთვე განხილულია სამხედრო პროფესიის შექმნის ისტორია და მისი როლი საბრძოლო მოქმედებებისას.

3. ნიკა ჩიტაძის _“გეოპოლიტიკა“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011 წელი. წიგნი ფართოდ განიხილავს გეოპოლიტიკურ პროცესებს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან. განხილულია ახალი დროის გეოპოლიტიკური აზრი სხვადასხვა ფილოსოფოსების მაგალითზე, რომელშიც ასევე შედის კარლ ფონ კლაუზევიცი.აგრეთვე განხილულია XX საუკუნის მეორე ნახევრის გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები.ასევე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების გეოპოლიტიკური ინტერესები.

4. არჩილ გეგეშიძე_“გეოპოლიტიკა“ თბილისი 1999 წელი. წიგნში სიღრმისეულადაა განხილული გეოპოლიტიკური პროცესები რაც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებში და წარმოშობს გაერთიანებებს ან კონფლიქტებს. ასევე განიხილავს საერთაშორისო კონფლიქტებს მათ ხასიათს მიზეზებს და

5. ირაკლი გორგილაძე _“გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2009 წელი. ნაშრომი გზამკვლევს წარმოადგენს გეოპოლიტიკის სფეროში.განხილულია გეოპოლიტიკის განვითარების ეტაპები და ეპოქები.აღწერილია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა და ყველაზე მთავარი ჩვენთვის არის კონფლიქტების და ომების განხილვა საერთაშორისო პოლიტიკაში.

6. Modern strategy_colin s. gray აღწერილია სტრატეგია პოლიტიკა და ეთიკა, სტრატეგიული კულტურა, კლაუზევიცის მემკვიდრეობა, როგორც სტრატეგოსების იარაღი.

7. სუნ-ძი “ომის ხელოვნება“ ნაშრომში საფუძვლიანად არის გამოკვლეული სამხედრო მოქმედებათა ხასიათი ჯერ კიდევ ძველი პერიოდის ომებში თუმცა იგი

წარმოადგენს სამხედრო სფეროს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს რომელთა უგულებელყოფა თანამდეროვე კონფლიქტებშიც კი არ ხდება.

8. Russian military capability in a ten-year perspective_ 2013. Jakob Hedenskog and karolina Vendil Pallin. ნაშრომში წარმოდგენილია რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები: ძალთა სტრუქტურა, ძალთა განლაგება და მობილურობა, ლოგისტიკა,წვრთნების სისტემა. აგრეთვე საუბარია რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკაზე და სამხედრო ინდუსტრიაზე.ასევე განხილულია რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები მომავალი 10 წლის პერსპექტივაში.

თავი I კლასიკური და თანამედროვე სამხედრო თეორიების კონცეპტუალური მიმოხილვა - მათი ძირითადი ასპექტების განხილვა.

დასაწყისში აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ სხვადასხვა ტიპის სამხედრო კონცეფცია, რადგან სწორედ იგი განსაზღვრავს სამხედრო მოქმედებათა ხასიათს და სტრატეგიების სხვადასხვაობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხედრო სფერო მუდმივად ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც. ვეცდებით, გამოვყოთ ის მნიშვნელოვანი გარდატეხის ეტაპები, რომლებმაც არსებული პრაქტიკიდან ნათელი გახადეს ცვლილებების აუცილებლობა სამხედრო სტრატეგიების დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესში. XVIII-XIX საუკენეები, ეს არის პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა, როდესაც ჩამოყალიბდა კლასიკური სამხედრო სტრატეგიები

,რომელიც წარმოადგენდა წმინდა კონვენციური ტიპის საბრძოლო მოქმედებებს , სადაც უფრო ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილა და შესრულდა სამხედრო ოპერაციები, ვიდრე მანამდე. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა უკანასკნელი ვარიანტი, რადგან ახალმა საუკუნემ და მრავალწლიანმა მსოფლიო ომებმა საკუთარი წესები მოიტანა და კლასიკურ სტრატეგიებთან ერთად წარმოაჩინა არაკლასიკური სტრატეგიების ადგილი და როლი. არსებობს ამ სტრატეგიების საერთო ტიპი,რომელსაც ეწოდება შერეული ტიპის სტრატეგიები. რადგან ჩვენ ვაპირებთ განვიხილოთ როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე სამხედრო თეორიები, აუცილებელია ზემოთმოყვანილი სამხედრო კონცეფციების განხილვა.

1.1 კლასიკური სამხედრო სტრატეგიების არსი და მათი ზოგადი მიმოხილვა

კლასიკური სამხედრო სტრატეგიები:

ჰენრი ჟომინის, კარლ ფონ კლაუზევიცის, ჰენრი დიტრიხ ბიულოვის, მოლტკე უფროსის, ერცჰერცოგი კარლის, ჰანს დელბრუკისა და კიდევ სხვა, XVIII-XIX საუკუნეების სამხედრო მოღვაწეების აზროვნებაში ყველაზე უკეთ არის გამოხატული კლასიკური სტრატეგიის არსი და ბუნება. ისინი არიან ამ სტრატეგიის მამამთავრები. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს სათავეში უდგას ნაპოლეონი, რომელმაც თავისი სამხედრო მიღწევებით დიდი ევოლუცია მოახდინა ამ თაობის ომებში, რომლებიც გახდა უამრავი სამხედრო მოღვაწის მიერ გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის საგანი.

ამ სტრატეგიებში ყველაზე მთავარი აზრი მდგომარეობს პოლიტიკის გეგმებისა და საბოლოო მიზნების უბრალო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხამდე დაყვანაში, რომელიც არის სწორედ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის საშუალება,ეს არის ბრძოლა. რადგან კლასიკურ სტრატეგიაში ომის მთავარი არსი მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურებაა, სწორედ ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ბრძოლების კასკადი, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით შეიძლება გაიმართოს საერთო მიზნის მისაღწევად. ყოველი შემდეგი ბრძოლა გამომდინარეობს წინა

ბრძოლის შედეგებიდან და მიემართება სასურველი დასასრულისკენ,ეს არის მოწინააღმდეგის ნებისა და სურვილის გატეხა და საბოლოო მიზნის მიღწევა. ამისათვის აუცილებელია ძალების კონცენტრაცია საჭირო დროს და საჭირო ადგილას. ყველა ომს აქვს გადამწყვეტი წერტილი, სადაც უპირატესობის მიღწევა ნიშნავს ომის სასურველ რელსებზე დაყენებას. ამიტომ აუცილებელია ომის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაზების დადგენა,რათა სწორ ადგილას მოხდეს საჭირო რაოდენობის ძალების თავმოყრა.ამ თეორიას ამტკიცებს ცნობილი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი ჰანს დელბრუკი : „თავად ომის ბუნებაში დევს მოთხოვნა, რომ ხელთ იგდო და გაანადგურო მტერი იმისათვის, რომ ის შენს ნებას დაუმორჩილო. ყველა ძალა თავმოყრილ უნდა იქნეს ერთი დიდი დარტყმისათვის, რომელმაც საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს ან რომელსაც მოყვება სხვა ბრძოლები მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება გადამწყვეტი შედეგი“[3]. კლაუზევიცი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ბრძოლის მნიშვნელობას: „ბრძოლა არის ჭეშმარიტი სამხედრო ქმედება, ყოველივე დანარჩენი მხოლოდ მისი თანმხლებია. ყოველი სტრატეგიული ქმედება შეგვიძლია დავიყვანოთ ბრძოლაზე, რამეთუ იგია შეიარაღებული ძალების გამოყენება“[4].

რატომ არის ბრძოლა ასეთი მნიშვნელოვანი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია უფრო ნათლად ავხსნათ ბრძოლის არსი. ყოველი ომის საბოლოო მიზანი იმდენად დიდია,რომ მისი მარტივად და ერთი დარტყმით მიღწევა ყოველთვის შეუძლებელია.ომების უმეტესობა მოულოდნელობას არასდროს წარმოადგენს.ყოველი მხარე ამის წინაპირობასა და სიტუაციის გამწვავებას გრძნობს და შეძლებისდაგვარად ემზადება. ამისთვის იგი აყალიბებს ყველაზე მთავარს,თუ რა საბოლოო მიზანს უნდა ,რომ მიაღწიოს და იწყებს სწორედ კლაუზევიცის მოსაზრების შესაბამისად საკუთარი ძალის ანუ შეიარაღებული ძალების გამოყენებას. შეიარაღებული ძალების უკან მოვისაზრებთ ბრძოლების ერთგვარ კამპანიას, სადაც ბრძოლების კასკადი აწყობილია ერთი საერთო მიზნის მიხედვით. ცალკე აღებული თითოეული ბრძოლა ხიდის თითო ბურჯს წარმოადგენს, მათი ერთობლიობით საჭიროა მივაღწიოთ მეორე ნაპირს.

---

[3] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე

[4] კარლ ფონ კლაუზევიცი_ „ომის შესახებ“

სანამ კიდევ უფრო ღრმად განვიხილავდეთ ბრძოლის არსს, მნიშვნელოვანია დავახასიათოთ ომის დონეები, რათა უკეთ შევძლოთ განვასხვავოთ უფრო მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედებები და გეგმები. არსებობს ომის სამი დონე:ტაქტიკური,ოპერატიული და სტრატეგიული. საომარი ტაქტიკური დონე არის ის დონე, სადაც ადამიანები შეხვდებიან და იბრძვიან ინდივიდუალურ დონეზე ქვედანაყოფების საშუალებით. ეს არის შეტაკებების, შეხვედრებისა და ბრძოლის სფერო. ტაქტიკური დონის დაგეგმვა უახლოვდება დაახლოებით 48 საათს მომავალში, ან რამდენიმე კვირაში. ომის ტაქტიკური დონეა, სადაც ბრძოლის წინაშე ვდგავართ. ტაქტიკური დონეზე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ასეულის და ბატალიონის დონის შენაერთები.ოპერატიულ დონეზე დაგეგმარება ხდება მისიის ჩანაფიქრთან და მიზნებთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებებს ჩვენი ნების შესრულებაში მთელი მოქმედებათა თეატრის ოპერაციებში. ოპერატიულ დონეზე მოქმედებს ბრიგადა და დივიზი, სტრატეგიულ დონე ეხება უმაღლეს დონეზე ომის დაგეგმვასა და ჩატარებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გეგმები პასუხობს შეკითხვას, "როგორ მოვიგებთ ამ ომს?" სტრატეგიულ დონეზე გამოიყენება უფრო დიდი ზომის ქვედანაყოფები როგორიცაა დივიზია კორპუსი არმია და საარმიო დაჯგუფება.როგორც უკვე ვთქვით, ომის დასაწყისში ისახება მიზნები. ამ მიზნების შესაბამისად, თავდაპირველად გამოიყოფა სტრატეგიული გეგმები, რომელთა შესასრულებლად აუცილებელია ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე მათი

დაყვანა.[5]

სწორედ ამაში დევს აზრი, რომ სტრატეგიულ გეგმებს მცირე და დიდი მნიშვნელობის ბრძოლები ასრულებენ. ნებისმიერი ომისთვის არსებობს კულმინაციის წერტილი, რომლის განჭვრეტა მეტად მნიშველოვანია, რადგან ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის ბრძოლისთვის განხორციელდეს საჭირო ძალების თავმოყრა. ასეთი ბრძოლები ახასიათებს ყველა ფართომასშტაბიან ომებს. ამისი მაგალითები მრავლადაა როგორც უახლესი, ასევე შუასაუკუნეების ისტორიაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი

[5] „Understanding Military Strategy and the Four Levels of War“- https://www.esquire.com/newspolitics/politics/news/a39985/four-levels-of-war/

ქვეყნის ისტორია,კერძოდ, დავით აღმაშენებლის ეპოქა და მისი ხანგრძლივი ომი თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. სადავო არაა ის ფაქტი, რომ მეფე დავითი მთელი ცხოვრება ფართომასშტაბიან ომს აწარმოებდა თურქების წინააღმდეგ. ომის განმავლობაში იყო გააზრებული, ერთმანეთზე დამოკიდებული და ლოგიკური თანმიმდევრობით აწყობილი ბრძოლები, თუმცა, დავითი კარგად ხვდებოდა, რომ აუცილებელი იყო გადამწყვეტი და ყველაზე დიდი მნიშვნელობის ბრძოლა და ამისთვის კიდეც ემზადებოდა. სხვა შემთხვევაში იგი წარმატებას ვერ მიაღწევდა. სწორედ დიდგორი აღმოჩნდა გადამწყვეტი და ფაქტობრივად ომის მომგები ბრძოლა, რადგან აქ მოხდა დაპირისპირებული მხარეების მიერ ძალების მაქსიმალური კონცენტრაცია და უმნიშვნელოვანესი ბრძოლის გამართვა. აქვე მტკიცდება ის ფაქტი, რომ ასეთი ბრძოლის მოგება ომში გადამწყვეტია. წარმოვიდგინოთ, რომ დიდგორის ბრძოლა ქართველებს წაეგოთ. ამ შემთხვევაში სრულად განადგურდებოდა ქართველთა სამხედრო ძალა და ყოველი შემდეგი ბრძოლის წარმატებით დასრულება მეტად გართულდებოდა. უახლესი ისტორიიდან კიდევ არის ცნობილი მსგავსი მაგალითი. მეორე მსოფლიო ომში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გერმანია და საბჭოთა კავშირი. გერმანიამ ერთმანეთზე დამოკიდებულ და თანმიმდევრულად აწყობილ ბრძოლებში მიაღწია მოსკოვს, თუმცა ამის შემდეგ, გადამწყვეტ ბრძოლებში, რომელიც სტალინგრადის და კურსკის ბრძოლების სახელითაა ცნობილი, წარმატებას ვერ მიაღწია. ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერტილი, რომლის ბედმა თითქმის გადაწყვიტა საბოლოო შედეგი.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, ომის შიგნით იგულისხმება ბრძოლათა ერთგვარი ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. როგორც ხიდის მშენებლობისას მისი ყოველი შემდგომი ბურჯი საყრდენია მასზე ფილის დადებისა, ისეა ყოველი ბრძოლა გარკვეული მიზნის მისაღწევად. შემდეგ უნდა დაიწყოს ახალი ბრძოლა, რომელიც გამომდინარეობს წინა ბრძოლის წარმატებიდან ან წარუმატებლობიდან. აქვე უნდა განვსაზღვროთ ,რომ ბრძოლებს ასრულებენ ჯარის ყველა სახეობის და გვარეობის ქვედანაყოფები კოორდინირებულად.თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ქვეითი ქვედანაყოფია ის ელემენტი, რომელზეც დამოკიდებულია ბრძოლის საბოლოო შედეგი, სხვა დანარჩენი ასრულებს მის

მხარდამჭერ დავალებებს. „ტერიტორია დაპყრობილად არ ითვლება, თუ მასზე ქვეითმა არ დადგა ფეხი“. ეს ყველაფერი წარმოადგენს კონვენციური ტიპის სამხედრო მოქმედებებს,რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის, თუნდაც თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში. ახლა განვიხილოთ სამხედრო სტრატეგიის ევოლუციის ძირითადი მიზეზები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ სამხედრო მოქმედებათა ხასიათი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თანამედროვე და მოდერნიზებულ საშუალებებზე. სამხედრო ისტორიამ გაიარა არაერთი ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა. პირველად გამოიგონეს დენთი, შემდეგ კი- ცეცხლსასროლი იარაღი. ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ არტილერია იყო. ბრძოლის ამ საშუალებებმა ომში მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დააშორა და შეამცირა უშუალო და ხელჩართული ბრძოლა.თუმცა,ეს იყო მხოლოდ საწყისი, რადგან პირველი თაობის ცეცხლსასროლი იარაღი მაინცდამაინც დიდი ეფექტურობით და მოქნილობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ თავისი წვლილი მაინც შეიტანა საბრძოლო მოქმედებებში. ამის შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სამხედრო აღმოჩენა იყო ხრახნიანი იარაღის გამოგონება.ამ დეტალმა გაცილებით მეტი ეფექტურობა მიანიჭა იარაღს და შემდეგ სულ უფრო და უფრო განვითარდა იგი. აქვე უნდა დავამატოთ, რომ სწორედ ამ ყველაფერმა მანამდე არსებული მიწისზედა ბრძოლა გადააქცია ერთგვარ სანგრის ომად, რასაც უმეტესად იყენებდნენ მსოფლიო ომებში.შეიქმნა გრძელი და უწყვეტი ფრონტის ხაზები, რომელსაც შემდგომში უკეთესად განვიხილავთ.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვიხილოთ კონცენტრაციის ცნება, როგორც კლასიკური სტრატეგიების ერთ- ერთი უმთავრესი ცნება. ნაპოლეონი აღნიშნავდა: „სტრატეგიის არსი იმაშია, რომ უფრო სუსტი არმიის პირობებში იმ პუნქტში, რომელსაც უტევ ან რომელშიც გიტევენ, გყავდეს მეტი ძალა ვიდრე მოწინააღმდეგეს.“ აგრეთვე, იგი მოგვიანებით ამბობს: „ბრძოლის წინ იმის ნაცვლად, რომ ჩემი დივიზიები დამექსაქსა, მე მათ თავს ვუყრიდი იმ პუნქტთან, რომლის დაკავებაც მინდოდა. სწორედ აქ იყო თავმოყრილი ჩემი არმია და ის იოლად ამარცხებდა მოწინააღმდეგეს, რომელიც, ბუნებრივია უფრო სუსტი იყო.“ სწორედ ამ სიტყვებში მდგომარეობს კონცენტრაციის ცნების მნიშვნელობაც. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ უნდა

დაგვავიწყდეს პრინციპი, რომ რაოდენობა ყოველთვის არ გამოხატავს ხარისხს და ძლიერებას. თუმცა, ჩვენ საუბარი გვაქვს პროფესიონალ არმიაზე, როგორიც ,მაგალითად, ნაპოლეონს ჰყავდა და არა იმ პერიოდზე, როდესაც უბრალო მობილიზაციის შედეგად „ქუდზე კაცი“ იკრიბებოდა. ჩვენ შეგვიძლია კონცენტრაციის ცნებაში რაოდენობასთან ერთად ხარისხიც გავაერთიანოთ და, აქედან გამომდინარე, ის უპირატესობა, რაც ხარისხშია გამოხატული. აღნიშნული ცნება მოქმედებს ნებისმიერ სტრატეგიაში და განსაზღვრავს წარმატებას. თანამედროვე სამხედრო დოქტრინებში ასახულია კონცენტრაციის მნიშვნელობა, როგორც უპირატესობის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ეს ცნება განსაზღვრავს ძალების რაოდენობას შეტევისა და თავდაცვის დროს მოწინააღმდეგესთან მიმართებით. მაგალითად, შეტევისა და თავდაცვის დროს უპირატესობის მისაღწევად აუცილებელია სამჯერ მეტი ძალის გამოყენება, რათა შეუზღუდო მოწინააღმდეგეს მოქმედების არეალი. მაგალითად, როდესაც უტევ, შენი ძალები მოწინააღმდეგის ძალებზე მეტად უნდა იყოს გაშლილი, რომ მანევრის საშუალება მოგეცეს და განსაზღვრო, საიდან იქნება უკეთესი შეტევის განხორციელება. როდესაც სამხედრო ძალა ნაკლებია, მაშინ არ არსებობს, ან ძალზე მწირია ალტერნატიული გეგმა, ამიტომ გიწევს მხოლოდ ერთი მიმართულებით მოქმედება და მოვლენების უეცარი ცვლილების შემთხვევაში რთულდება გამოსავლის პოვნა. ძალთა კონცენტრაციის მნიშვნელობას შესანიშნავად აღწერს ერცჰერცოგი კარლი:“გადამწყვეტი მიზნები მხოლოდ გადამწყვეტი დარტყმებით მიიღწევა. ამიტომ გენერლისთვის უმნიშვნელოვანესი ხელოვნებაა, სწორედ განსაზღვროს ის მომენტი და პუნქტები, როდესაც და სადაც ასეთი გადამწყვეტი დარტყმები შეიძლება იქნეს მიყენებული დადებითი ალბათობის ყველაზე მაღალი ხარისხით.ასეთი გადამწყვეტი დარტყმა შესაძლებელია მხოლოდ დარტყმის პუნქტში ძალების უპირატესობის პირობით.“[6] იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ძალთა თანაფარდობის დროს შეუძლებელია რამდენიმე გადამწყვეტი პუნქტის შერჩევა, სადაც განხორციელდება ბრძოლები. ამ შემთხვევაში ეს ძალების დაქსაქსვა გამოდის. საბოლოოდ იგი სამხედრო ხელოვნების ძირითად ამოცანად განსაზღვრავს გადამწყვეტ პუნქტში აღმატებული ძალების თავმოყრასა და გამოყენებას.ძალების ძლიერებასა და მის გაწვრთნილობაზე

[6] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.228

საუბრობს ჩინელი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეტიკოსი სუნ-ძი ძვ.წ.აღ.IV საუკუნეში: „როდესაც ომის ნამდვილი ბუნების გამოცნობისას შედარებით შეფასებას აკეთებ, იკითხე: ვისი ძალებია უფრო ძლიერი?ვისი მეთაურები და ლაშქარია უკეთ გაწვრთნილი?“ „ ზოგადად, სამხედრო ძალის გამოყენების წესი შემდეგია: თუ შენი ძალები ათჯერ აჭარბებს მტრისას, ალყა შემოარტყი მას; თუ ხუთჯერ აჭარბებს, თავს დაესხი; თუ მხოლოდ ორჯერ აჭარბებს, მაშინ ძალები გაყავი. თუ თანაბარი ძალები გყავთ, შეგიძლია ბრძოლაში გამოიწვიო; თუ უფრო ცოტა, შეგიძლია ეშმაკობით აჯობო მტერს. თუ მისი ძალები ბევრად აჭარბებს შენსას, შეგიძლია თავი აარიდო მასთან შეხვედრას. მცირე ძალების პატრონი მოწინააღმდეგე, რომელიც მოუქნელად და ჯიუტად იბრძვის,უფრო დიდი მოწინააღმდეგის მსხვერპლი გახდება“[7]- ნათელია ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი ძალების რაოდენობა და, ამასთანავე, მომზადების ხარისხი.

საბოლოო შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ის ძირითადი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც წინა პლანზეა წამოწეული კლასიკური სტრატეგიების განხილვისას. ესენია:

- ბრძოლის, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი მნიშვნელობის საგანი, რომელთა ერთობლიობით და თანმიმდევრულობით მიიღწევა საბოლოო წარმატება.
- დაგეგმვის თანმიმდევრობა, მათი შესრულების ხარისხი და მიზნების თანმიმდევრული განხორციელება.
- ძალების კონცენტრაცია საჭირო დროსა და ადგილას.

კლასიკური სტრატეგიების პრაქტიკული გამოყენება ამჯერად განვიხილავთ კლასიკური სტრატეგიის შემდეგ მაგალითებს ეს არის ჰანს დელბრუკის მიხედვით სტრატეგიის ორი ფორმა განადგურების და გამოფიტვის სტრატეგიები და აგრეთვე მათი კომბინირებული ვარიანტი. ამასთან ერთად განვიხილავთ დაჩრდილვის სტრატეგიას რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტროიულ სამხედრო ქმედებებში და მისი გამოყენება შესაძლებელია დღესაც თანამედროვე სამხედრო სტრატეგიაში [8] . კლასიკური სტრაეტგიები ეს არ არის მხოლოდ თეორიული ნაწილი სამხედრო

[7] სუნ-ძი „ომის ხელოვნება“

[8] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.198

მოქმედებების ეს არის იმ სამხედრო მოღვაწეების პრაქტიკული გამოცდილება რომლებმაც სწორედ საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე შექმნეს აღნიშნული თეორიები.

განადგურებისა და გამოფიტვის სტრატეგიები. ყოველგვარი განმარტების გარეშე შესაძლებელია ამ სტრატეგიების შესახებ წარმოდგენის შექმნა.თუმცა, მათი ფართოდ განხილვა უფრო ნათელს ხდის მათ შორის განსხვავებას. საკითხის უკეთ გაგებისათვის დასაწყისშივე განვმარტავთ ამ სტრატეგიების არსს. განადგურების სტრატეგია არის სტრატეგია, რომლის მიზანია ძალისმიერი მეთოდებით გამოიწვიოს მოწინააღმდეგე ან აიძულოს იგი, რომ გამართოს გადამწყვეტი ბრძოლები, სადაც მთავარ მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურება. იდეა მდგომარეობს იმაში,რომ მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურებით შესაძლებელია მისი დაყოლიება ნებისმიერ მოთხოვნაზე. რაც ყველაზე მთავარია, განადგურების სტრატეგიისთვის ყველაზე მთავარი საბრძოლო იარაღია ბრძოლა, განსხვავებით გამოფიტვის სტრატეგიისგან, თუმცა, აღნიშნულ სტრატეგიასთან შედარებით გამოფიტვის სტრატეგია ცდილობს, თავი აარიდოს მოწინააღმდეგის ძირითად ძალებს, მასთან გენერალური ბრძოლების გამართვას და ამის საწინააღმდეგოდ მიმართავს უფრო მანევრულ და ეშმაკურ ხერხს. რაც გულისხმობს მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების მონახვას, მისი მაღალი ღირებულების სამიზნეების განადგურებასა და მის დასუსტებას, ამით კი მოწინააღმდეგეს აკარგვინებს ბრძოლის სურვილს.უნდა აღინიშნოს, რომ იმდენად ბევრია ამ სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები მსოფლიო სამხედრო ისტორიიდან, რომ საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს მათ შორის განსხვავებებს, რომლებიც ერთი შეხედვით ადვილია ,თუმცა, სიღრმეებში შესაძლოა სირთულეს წარმოადგენდეს. განხილვის დასაწყისში უკეთესი იქნება მოვიყვანოთ მაგალითი, რომლითაც კახა კაციტაძე თავის წიგნში „სტრატეგიის საფუძვლები“ სწორად ადარებს ამ ორ სტრატეგიას.იგი ეყრდნობა ჰანს დელბრუკის ნაშრომს,რომელშიც მაგალითი მოყვანილია პუნიკური ომებიდან,კერძოდ, ჰანიბალის ბრძოლა რომის წინააღმდეგ. მისი აზრით, ჰანიბალის ბრძოლა წარმოადგენდა სრულად გამოფიტვის სტრატეგიის მაგალითს. როდესაც ესა თუ ის მოწინააღმდეგე ცდილობს გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავის არიდებას ან ზავის დადებას, გამოდის,

რომ მას არ აქვს არჩეული განადგურების სტრატეგია და იგი აღიარებს მოწინააღმდეგეს უპირატესად. აქვე უნდა ითქვას, რომ გამოცდილი სარდალი, რომელმაც იცის საკუთარი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობები, არასდროს დათანხმდება ზავს, თუ მისი გაცილებით დიდი უპირატესობა არ იკვეთება. ხშირად განადგურების სტრატეგია არის ერთადერთი გზა ომის მოგებისა. მინდა მაგალითი მოვიყვანო 1918-21 წლების რუსეთ-საქართველოს ომებიდან. რუსეთის ნომერ პირველი მიზანი იყო საქართველოს სამხედრო ძალის განადგურება, რის შემდეგაც ეხსნებოდა გზა ქვეყნის დაკავებისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის. ძლიერი ქვეყნის უპირველესი მიზანია მოწინააღმდეგის სრული განადგურება. 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის ამოცანა ,გარდა ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურებისა,აგრეთვე ჩვენი შეიარაღებული ძალების სრული განიარაღება და დემორალიზება იყო. ამ მაგალითით შეიძლება ვთქვათ, რომ ნებისმიერ დროს შეიარაღებული ძალები ის ძალაა, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ ამიტომ განადგურების სტრატეგიის მიხედვით იგი პირველ სამიზნეს წარმოადგენს. აქვე შეიძლება ითქვას,რომ განადგურების სტრატეგია ხშირად გამოიყენება უფრო ძლიერი მხარის მიერ(თუმცა,ეს არ ნიშნავს იმას,რომ სუსტ ქვეყანას არ შეუძლია ამ სტრატეგიის არჩევა). ამის მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა უძლიერესი მხედართმთავრები მათი საომარი კამპანიებით. შესაძლოა სადავო იყოს ის ფაქტი, რომ ხშირად მათ კიდევაც უწევდათ ბრძოლა მათზე უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, მაგრამ ისინი ყოველთვის ირჩევდნენ განადგურების სტრატეგიას. აღნიშნული სტრატეგია ახასიათებთ ძლიერი არმიის მქონე მეთაურებს და ხშირად გამომდინარეობს მათი ამბიციურობიდან და პრიციპიდან,რომ ძლიერი არასდროს თამაშობს, როგორც მეორეხარისხოვანი დამალული პოზიციიდან. თუმცა, შესაძლოა ამის წარმოდგენაც და მისი შესრულებაც. განადგურების სტრატეგიას არ აქვს სხვა ალტერნატივა. იგი ეყრდნობა ძალას და მისი მთავარი მიზანი არის ბრძოლა და მოწინააღმდეგის სრული განადგურება, განსხვავებით გამოფიტვის სტრატეგიისგან. ეს უკანასკნელი ბრძოლას განიხილავს, როგორც ერთ-ერთ შესაძლებლობას და ამ ბრძოლამდე იგი ატარებს უამრავ ღონისძიებას მოწინააღმდეგის დასასუსტებლად. რა თქმა უნდა, ამის მიღწევის ხერხი

შესაძლოა ბრძოლაც იყოს, თუმცა, ეს უფრო მცირემასშტაბიანი ბრძოლაა, რომელსაც ხშირად უფრო მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება. ვიდრე დიდი და სისხლისმღვრელი ბრძოლები. მაგალითად, მოწინააღმდეგის მომარაგების პუნქტებზე თავდასხმა, მის ცალკეულ ძალებზე თავდასხმა ,დაუცველი ქვედანაყოფების განადგურება, მცირე შემაწუხებელი თავდასხმები,მოწინააღმდეგის მოკავშირეებზე თავდასხმა და მათი ჩამოცილება.აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა გამოფიტვის სტრატეგიის გამოყენებისას ,დადგეს დრო, როდესაც აუცილებელი გახდება მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან ბრძოლის გამართვა. ეს მაშინ, როცა მანამდე საამისოდ ხდებოდა პლაცდარმის მომზადება. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე უნდა იყოს გამოფიტული როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად.ამ სტრატეგიებს შორის თავად დელბრუკი უპირატესობას ანიჭებს პირველს, ანუ განადგურების სტრატეგიას. ეს მისი სუბიექტური შეხედულებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს ,რომ იგი არ აღიარებს გამოფიტვის სტრატეგიას, როგორც ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას ომში. იგი უბრალოდ მებრძოლის გადმოსახედიდან ფიქრობს და კომპრომისულ ზავს ურჩევნია აბსოლუტური გამარჯვება. რა თქმა უნდა, ეს არ შეესაბამება რეალობას ,რადგან ომი კანონების დაცვით არ გამოირჩევა და, მითუმეტეს, მის მონაწილეს მეორე სიცოცხლეც არ აქვს.ამიტომ ნებისმიერი საშუალება საკუთარი სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადასარჩენად გამართლებულია. უნდა ითქვას, რომ სწორედ გამოფიტვის სტრატეგიაა ერთ-ერთი ძლიერი იარაღი შედარებით სუსტი ძალისთვის, რომელსაც არ შესწევს ძალა გადამწყვეტი ბრძოლები აწარმოოს და პირდაპირ დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგეს. ეს არის სწორედ თანამედროვე ასიმეტრიული ტიპის საბრძოლო მოქმედებები, სადაც მცირე ძალას სხვა გამოსავალი არ რჩება. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა,რომ სწორედ ასეთი ტიპის სტრატეგიები გამხდარა უპირატესი და გამართლებული. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს უძველესი დროის ბრძოლა დავითსა და გოლიათს შორის. რა მოხდებოდა, თუ მხოლოდ ფიზიკური ძალით შეებრძოლებოდნენ ისინი ერთმანეთს? ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა.ამ აზრის დასამტკიცებლად შეგვიძლია გავიხსენოთ კვლავ კლაუზევიცის მოსაზრება ომთან დაკავშირებთ: „ომი არის ძალადობის აქტი და ძალადობის გამოყენებას საზღვარი არ აქვს.“ თანამედროვე მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა

კავშირის ომი ავღანეთში, რომელიც წარმოადგენს გამოფიტვის კლასიკურ მაგალითს. ამ ომში უშუალო ბრძოლების მაგალითები თითქმის არ იქნა გამოყენებული ავღანელების მიერ. ისინი მოქმედებდნენ განსხვავებული ტაქტიკით როგორიცაა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მცირემასშტაბიანი გამომფიტავი შეტაკებები, ასეთი ტაქტიკით აიძულებდნენ მოწინააღმდეგეს უარი ეთქვა ბრძოლაზე. აშკარაა, რომ აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა. ხოლო თანამედროვე ომებიდან განადგურების სტრატეგიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ NATO_ს კოალიციური ძალების მხრიდან ერაყში განხორციელებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ამ ოპერაციის მთავარი მიზანი იყო მოწინააღმდეგის საბრძოლო პოტენციალის განადგურება, რომელიც მიღწეულ იქნა და იგი ითვლება წმინდა კონვენციური ტიპის ომად, სადაც ძალებით აღმატებულმა მხარემ (კოალიციური ძალებმა) გამოიყენა განადგურების სტრატეგია. ამიტომ განადგურების სტრატეგია ყოველთვის არის ძლიერი მხარის სწორი არჩევანი.

რა თქმა უნდა, დელბრუკი სწორად გამოყოფს იმ ნაკლოვანებებს, სისუსტეებსა და რისკებს, რომელიც თან ახლავს გამოფიტვის სტრატეგიას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი უპირატესობას განადგურების სტრატეგიას ანიჭებს. დელბრუკის აზრით, გამოფიტვის სტრატეგიაში ნათლად არაა გამოსახული მოწინააღმდეგის განადგურების გეგმა და საბოლოო შედეგი, რომელიც ძალზე აჭიანურებს ომს. თუმცა,განადგურების სტრატეგია თავად იწვევს მოწინააღმდეგეს ბრძოლაში და მისთვის არ აქვს მნიშვნელობა რაიმე პოზიციას ან პუნქტს. მისი მთავარი მიზანია მოწინააღმდეგის სრული განადგურება.

დელბრუკის შეხედულებით, განადგურების სტრატეგიის შედეგად მიღებული მსხვერპლი გამართლებულია,რადგან შედეგი სახეზეა. ამიტომ მსხვერპლის რაოდენობას აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დასკვნა სწორია მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებში. მაგალითად, როდესაც ერთერთმა მხარემ იცის საკუთარი შესაძლებლობების სისუსტე და მისი წარმატება შეუძლებელია, რა თქმა უნდა, მისი მხრიდან ბრძოლის გადაწყვეტილება ნებისმიერი მიზეზით უდიდესი რისკი იქნება. ასეთი შეცდომა დაუშვეს ქართველებმა 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში. რიცხობრივად უპირატეს მოწინააღმდეგეს მისთვის ხელსაყრელ

პირობებში გაუმართეს გადამწყვეტი ბრძოლა, შედეგი კი ქართული ჯარის თითქმის სრული განადგურება იყო. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა ჩვენთვის ხელსაყრელი პოზიციის გამოყენება. თუ ამ სიტუაციას მოწინააღმდეგის მხრიდან შევხედავთ,მივიღებთ განადგურების სტრატეგიის მაგალითს. ასეთ სიტუაციაში ირანელები სწორედ მოწინააღმდეგე ძალის გამოწვევას და მათ სრულ განადგურებას ისახავდნენ მიზნად. მარაბდის ველზე გამოჩნდა, თუ როგორი უარყოფითი შედეგი მოჰყვება გაუაზრებელ ბრძოლას რიცხობრივად უპირატეს მოწინააღმდეგესთან. გამოფიტვის სტრატეგიის დასახასიათებლად შესაძლოა განვიხილოთ ამავე პერიოდში გიორგი სააკაძის მოქმედებები ირანელების წინააღმდეგ. იგი არასდროს ყოფილა მტერთან პირდაპირ შებმის მომხრე. ყოველთვის არჩევდა მოულოდნელ სიტუაციებს, ხელსაყრელ პოზიციებს და მცირე,თუმცა,მნიშვნელოვანი დარტყმებით მოწინააღმდეგის ძალების შესუსტებას ახერხებდა. გავიხსენოთ მარტყოფის ბრძოლა, რომელშიც დიდი ეშმაკობით დაამარცხა მოწინააღმდეგე. ასევე,მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქსნის ხეობაში გამართული ბრძოლა,სადაც ირანელების 12000-იანი ლაშქარი სრულად განადგურდა. ასეთი მოქმედებებით საბოლოო ჯამში ირანის 120000-იანი ლაშქარი განახევრდა. აშკარაა, რომ გამოფიტვის სტრატეგია მოითხოვს მეტ აზროვნებას, სტრატეგიულ ხედვას, ასეთ დროს რთულდება მოქმედება, ამიტომაცაა ,რომ უფრო ძლიერი მხედართმთავრები ,რომლებსაც შედარებით ნაკლები ძალა ჰყავდათ, აუცილებლად ირჩევდნენ გამოფიტვის სტრატეგიას.

შეიძლება აგრეთვე განხილულ იქნას აღნიშნული სტრატეგიების კომბინირებული ვარიანტიც აქ საუბარია იმაზე რომ ომის გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია ამ სტრატეგიების ურთიერთ ჩანაცვლება ასეთი სტრატეგიის მაგალითად კვლავ აღმაშენებლის მოქმედებები გამოგვადგება. მაშინ როცა სრულიად უუნაროს წარმოადგენდა მის ხელთ არსებული ძალები მან სწორედ მცირე ძალებით და მოწინააღმდეგის მიმართ არაპირდაპირი ფარული და უფრო ეშმაკური ტაქტიკით დაიწყო ბრძოლა მისთვის არავითარ შემთხვევაში გენერალური ბრძოლა არ წარმოადგენდა მიზანს რადგან მისთვის აშკარა დამარცხების ტოლფასი იქნებოდა თუმცა სწორად ირჩევდა იმ ტერიტორიებს და გამაგრებულ პუნქტებს რომლის აღებითაც მცირედით თუმცა მნიშვნელოვნად იუმჯობესებდა პოზიციებს მისი

დაპირისპირება და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას მისი ომი თურქების წინააღმდეგ წარმოადგენდა სრულმასშტაბიან ომს, რომელიც მხოლოდ ერთი ბრძოლით არ დასრულებულა მთელი მისი მეფობის პერიოდში გადადგმული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ნაბიჯები რომელიც ამ ომში წარმატების მომტანი აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კარგად იქნა გამოყენებული ომის მიზნებისთვის, თუნდაც ყივჩაღების ჩამოსახლება ან ჯვაროსნების მიმართ დახმარება ქვეყნის შიგნით პოზიციების გამაგრება და ეს იმ შემთხვევაში როდესაც ძალთა თანაფარდობა ძალზედ არათანაბარი იყო ასეთი მოქმედებები თავისუფლად შეიძლება დავუკავშიროთ გამოფიტვის სტრატეგიას თუმცა იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ დავითი არასდროს ყოფილა კომპრომისული ზავის მოსურნე და მისი საბოლოო მიზანი მოწინააღმდეგის განადგურებას ემსახურებოდა შეიძლება ითქვას რომ მან ბოლო ეტაპზე შეცვალა გამოფიტვის სტრატეგია განადგურების სტრატეგიით და როდესაც საჭირო გახდა ბრძოლა მან ის წარმატებით დაასრულა.ასევე შეიძლება მაგალითად თანამედროვე პერიოდიდან მოყვანილ იქნას აშშ_ს ომი ვიეტნამში, სადაც ერთდროულად გამოიყენებოდა როგორც გამოფიტვის ასევე განადგურების სტრატეგიის ელემენტები ვიეტნამელების მხრიდან.

მთლიანობაში რომ შევაჯამოთ ორივე სტრატეგიას გააჩნია მოქმედების თავისებურებანი: ერთისთვის ბრძოლა ძირითადი საშუალებაა მეორესთვის ერთერთი, ერთისთვის მოწინააღმდეგის ძირითადი ძალებია მთავარი სამიზნე მეორესთვის ნებისმიერი რამ რითაც ზიანს მიაყენებს მას, ერთისთვის ომის მიდინარეობისას ბრძოლები ერთ თანმიმდევრულ ჯაჭვს წარმოადგენს ხოლო მეორესთვის სხვადასხვა ბრძოლებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს, ერთისთვის თუ მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურებაა რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს და აიძულოს მოწინააღმდეგე უარი თქვას ყოველგვარ შემდგომ ბრძოლებზე ხოლო მეორის მთავარი მიზანია არა მოწინააღმდეგის სრული განადგურება არამედ ომამდელი სუტუაციის უფრო უკეთესი პირობების მიღწევა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ განადგურების სტრატეგია დღითიდღე კარგავდა თავის მნიშვნელობას და მისი ერბაშად ბევრი მსხვერპლის შესამცირებლად თანამედროვე სტრატეგიებში ახლა უკვე დიდი სახელმწიფოებიც იყენებენ გამოფიტვის სტრატეგიას რომელიც უფრო

მანევრული და მოქნილი სტრატეგიაა რათა მიღწეულ იქნას შედეგი ნაკლები დანაკარგებით. ასევე მიიჩნევა რომ განადგურების სტრატეგიამ ამოწურა თავის თავი მეორე მსოფლიო ომი დროს.აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების კომპლექსურობიდან.

უმთავრესი ცნებები კლასიკურ სტრატეგიაში: ჩვენ განვიხილავთ იმ ცნებებს, რომლებიც გამოიყენება კლასიკური სტრატეგიის საომარ მოქმედებებში, როგორიცაა: ოპერაცია, პოზიცია, ფრონტი (სახმელეთო), გრავიტაციის ცენტრი, ოპერაციის ტემპი.

ოპერაცია ეს არის დროის, სივრცისა და საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობა. ასეთ დეფინიციას გვაძლევს კახა კაციტაძე „სტრატეგიის საფუძვლებში“. ოპერაციის არსი მდგომარეობს ისეთ მანევრში, რომელიც მოწინააღმდეგეს აიძულებს მოქმედებაზე გადასვლას,რის შედეგადაც საფრთხეს უქმნის მთლიანად მის არსებობას. ამის ნათელი მაგალითია 1973 წლის ისრაელ-არაბების ომის დროს ისრაელის მიერ დესანტის გადასხმის ოპერაცია ეგვიპტის საზღვარზე. ამან გამოიწვია მათი ალყაში მოქცევა და ფაქტობრივად მოწყვიტა ეგვიპტელთა ძალები საკუთარ ზურგს და მათ არსებობას რეალური საფრთხე შეექმნა.[9]

პოზიცია. ნებისმიერი ოპერაციის დაგეგმვა თავდაპირველად იწყება ადგილმდებარეობის განსაზღვრით. ყველა მხედართმთავარი ეძებს ხელსაყრელ გეოგრაფიულ არეალს, საიდანაც უკეთესად შეუტევს მოწინააღმდეგეს ან თავს დაიცავს. აგრეთვე შესაძლებელი იქნება საკუთარი ძალების რაც შეიძლება მარტივად მომარაგება, ანუ ექნება ძლიერი ზურგი. კარგი პოზიცია ნიშნავს პლაცდარმს შეტევისათვის ან თავდაცვისათვის. პოზიცია,რომელიც უპირატესია მოწინააღმდეგეზე,არის მომგებიანი. რომლის შედეგად ხდება მოწინააღმდეგის მიზნების რეალიზება- თავისთავად წამგებიანი, ხოლო როდესაც თანაბარია იწოდება, როგორც ექვივალენტური.

ფრონტი ეს არის ფიზიკური სივრცე, სადაც ხორციელდება მოწინააღმდეგეთა ურთიერთქმედება. კლასიკურ სტრატეგიაში ფრონტი მხოლოდ სახმელეთო ხასიათს ატარებს და აქვს მხოლოდ ორი განზომილება, ეს არის სიგანე და სიღრმე. ფრონტია ის გეოგრაფიული არეალი, სადაც ხორციელდება მოწინააღმდეგეთა უშუალო შეხება.

[9] „იომ-ქიფურის ომის“-აბრაამ რაბინოვიჩი

პოზიციათა ერთობლიობით საბოლოო ჯამში იკვრება ფრონტის ხაზი, სადაც ხორციელდება სხვადასხვა ოპერაციები. თითოეული პოზიციის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ექცევა, რადგან პოზიციისა და, შესაბამისად, მასზე ჩატარებული ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ფრონტი შეიძლება გაირღვეს და საფრთხე შეექმნას ფრონტის სხვა ძალებს ფლანგებიდან ან სულაც ზურგიდან. ასევე ირღვევა მისი მთლიანობა და იშლება კოორდინირებული მოქმედებები. შეიძლება საფრთხე შეექმნას მომარაგების პუნქტებსაც.

გრავიტაციის ცენტრი განისაზღვრება მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი პოციებიდან, რომლის შენარჩუნებაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მისი დაკარგვის შემდეგ მოწინააღმდეგეს ბრძოლის გაგრძლება აღარ შეუძლია. გრავიტაციის ცენტრი მდებარეობს იმ წერტილებში, რომლის დაკავებაც შლის ბმულობას ქვედანაყოფებს შორის, შესაბამისად იშლება მდგრადობა და სინქრონული მოქმედება. შედეგად მოწინააღმდეგეს აღარ აქვს ოპერაციის თანმიმდევრული გეგმის შესრულების შესაძლებლობა. გრავიტაციის ცენტრი შეიძლება თავისი მნიშვნელობით მივამსგავსოთ გადამწყვეტ წერტილს, სადაც უპირატესობის მიღწევა ნიშნავს ომის დაყენებას საკუთარ რელსებზე. გრავიტაციის ცენტრის განსაზღვრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ომის წარმოებისას. 1921 წლის საქართველორუსეთის ომში საბოლოოდ გრავიტაციის ცენტრი აღმოჩნდა დედაქალაქი, რომლის დაკარგვის შემდეგ ვეღარ მოხერხდა ომის შემობრუნება.

ოპერაციის ტემპი. მისი მნიშვნელობის განსაზღვრისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შეტევითი ოპერაციის მახასიათებლები: მოულოდნელობა, კონცენტრირება, ტემპი და გამბედაობა. ოპერაციის მთავარ მნიშვნელობას შეადგენს ბრძოლა ტემპისთვის. ტემპის დაკარგვა ზემოქმედებს საკუთარ ძალებზე, იზრდება დანაკარგი,მოწინააღმდეგე მხარე უფრო მეტად ახორციელებს ოპერაციის კონტროლს. ტემპის დაკარგვა მოწინააღმდეგეს აძლევს საშუალებას, სული მოითქვას და უფრო გააზრებულად იმოქმედოს. მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მხრიდან ტემპის დაკარგვამ უკვე მოსკოვის მისადგომებთან, გამოიწვია საბჭოთა ძალების აღდგენა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომ ოპერაციებში მათ წარმატებას.

დაჩრდილვის სტრატეგია დავით აღმაშენებლის მოქმედებებში.აღნიშნულ სტრატეგიას დღეს ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა, თუმცა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს სამხედრო სფეროში. მისი გამოყენება და განხილვა თანამედროვე ეპოქაში იშვიათად ხდება. დასაწყისში ამ სტრატეგიის განვიხილავთ ისტორიულ მაგალითზე და შევეცდებით გამოვხატოთ მისი ხასიათი დავით აღმაშენებლის მოქმედებების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დავითი სრულიად არ იცნობდა ჩრდილის ეფექტის მნიშვნელობას. მისი ზოგადი არსი მდგომარეობს შემდგეში: ჩრდილის ეფექტს გააჩნია საკუთარი მათემატიკური კოეფიციენტი, რომელიც შესაძლოა გამოვსახოთ მოქმედებათა შესაძლო ვარიანტების განხილვიდან და მათი წინასწარი წარმატების ან წარუმატებლობის განსაზღვრით. ომის ფაზაში არსებობს მნიშვნელოვანი ობიექტები, რომელთა დაკავება შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს. ამიტომ ვთანხმდებით, რომ ე.წ. ჩრდილი უნდა მიადგეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტს, ეს იქნება დედაქალაქი ან მსგავსი მნიშვნელობის პუნქტი. ამისათვის არსებობს მანამდე განსახორციელებელი ოპერაციები, რომელიც პლაცდარმს ქმნის საბოლოო მიზნის მისაღწევად.დავით აღმაშენებლის მაგალითზე ასეთი მნიშვნელობის ობიექტი დედაქალაქი გახლდათ .თუმცა, თავიდან მას მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნაწილზე ჰქონდა ნაწილობრივ კონტროლი. მთელი თავისი მეფობის ხანა ქვეყნის გაერთიანებასა და ამისთვის დედაქალაქის აღებას მოანდომა. ჩრდილის ტაქტიკაც მდგომარეობს იმაში, თუ როგორი თანმიმდევრობით უახლოვდები საბოლოო მიზანს და რამდენად უქმნი საფრთხეს შენს საბოლოო ობიექტს, ანუ რამდენად აყენებ მას ჩრდილს. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, ჩრდილის კოეფიციენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ახლოს ხარ მიზანთან, მოქმედების არსებული ვარიანტებიდან რამდენი წარმატების ისარი იხრება შენკენ. შესაბამისად,თუ ძალები თანაბარია, ჩრდილის კოეფიციენტი 0,5-ის ტოლია. რაც უფრო მეტ წინაპირობას ქმნი მიზნის მისაღწევად, მით უფრო უახლოვდება კოეფიციენტი 1-ს, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს წარუმატებლობას.[10] შეიძლება დაზუსტებით ვთქვათ, რომ დავითისთვის 1121 წლის დიდგორის ბრძოლა იყო ის უკანასკნელი გასაღები, რომელმაც გაუხსნა თბილისის ასაღები ჭიშკარი. თუმცა დიდგორამდე დავითი ნელ-

[10] კახა კაციტაძე -„სტრატეგიის საფუძვლები“

ნელა, დაფიქრებული და მშვიდი ნაბიჯებით იღებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან ტერიტორიებს.მაგალითად,1104 წელს შემოიერთა კახეთ- ჰერეთი, 1110 წელს აიღო სამშვილდე, 1115 წელს-- ქალაქი რუსთავი, 1118 წელს ქალაქი-- ლორე. აღნიშნული ტერიტორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან პუნქტებს ,რომლებიც თბილისს გარს არტყია, ამიტომ თითოეული პოზიცია წარმოადგენს შეტევის თითოეულ შესაძლებლობას. ასე რომ, ერთი ასეთი პოზიციის აღებისას თითო შეტევის ვარიანტი ემატება მთლიან სურათს, ხოლო ყოველი შემდეგი უკვე აორმაგებს პოზიციებს ანუ აორმაგებს ჩრდილს. ამიტომ 1121 წლის დიდგორის ბრძოლის მოგების შემდეგ აღარ რჩება ვარიანტი თბილისის აუღებლობის, ანუ ამ შემთხვევაში ჩრდილის კოეფიციენტი გაუტოლდა ერთს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილის ტაქტიკა მოითხოვს მშვიდი, გაწონასწორებული ნაბიჯების გადადგმას. ამ შემთხვევაში შენს საბოლოო მოწინააღმდეგეს მოქმედების არც ერთ ვარიანტს არ უტოვებ და აიძულებ, უბრძოლველად ჩაგბარდეს. ეს ფაქტობრივად ალყის ვარიანტია,როდესაც მოწინააღმდეგეს დანებების გარდა სხვა გამოსავალი არ აქვს. თუმცა, ეს ალყა გამოწვეულია დიდი ხნის შედეგად წარმოებული ქმედებებით, როდესაც დამხმარე ძალის იმედი არც უნდა ჰქონდეს ალყაში მყოფს. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ტაქტიკის დონე, სადაც მცირე ქვედანაყოფს ალყის გარღვევა შეუძლია. რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ მოყვანილი დავითის ბრძოლის სტრატეგია წარმოადგენს იდეალურ სურათს. მაგრამ დასაშვებია ის მომენტიც,რომ კოეფიციენტი შეიძლება მოწინააღმდეგის მხარეზეც იყოს, ანუ ნაკლები იყოს 0,5-ზე, თუმცა, ამ შემთხვევაში ალბათ შემტევმა მხარემ არ უნდა ეცადოს იერიშის მიტანა ობიექტზე და უნდა განახორციელოს უფრო მეტი ღონისძიება, რათა მოიპოვოს აბსოლუტური უპირატესობა თუ არა, როგორც ეს დავითმა მოახერხა, მცირედი წინსვლა მაინც. დავითს რომ ეჩქარა თბილისის აღება, შეიძლება არც ყოფილიყო მისი მცდელობა წარმატებული.

1.2თანამედროვე ომის თეორია-მეოთხე თაობის საომარი მოქმედებები: არსი და რეალობა

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, ნეოლიბერალთა მოსაზრება, თითქოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა XXI საუკუნეში უკონფლიქტო სისტემა იქნებოდა, ილუზიის სფეროდ დარჩა. დღეს სახეზეა სამხედრო სფეროს სრულიად ახალი, ფუნქციონალური მოდელი, რომელიც დიდად განსხვავდება მისი წინამორბედებისგან. ასეთი სწრაფგანვითარებადი საუკუნის საწყისმა მოიტანა ის ცვლილებები, რამაც აუცილებელი გახადა სამხედრო სფეროს ახლებური მიდგომები. მისი მნიშვნელობაც, როგორც სახელმწიფოს ძლიერებისა და უსაფრხოების გარანტი, კვლავ რჩება მთავარ კომპონენტად. თუმცა, უფრო და უფრო რთულდება სახელმწიფოების მხრიდან ასეთი ტემპისთვის ფეხის აწყობა, რადგან აქამდე ჯერარნახული სისწრაფით ვითარდება უახლესი და ეფექტური სამხედრო საშუალებები, რომლებიც უდიდეს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვენ. ამ განვითარებისთვის ფეხის აწყობას ართულებს არასამხედრო ფაქტორები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ თანამედროვე სამხედრო სფეროში. ასეთებია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, რასაკვირველია, შეცვალა სამხედრო მოქმედებების ხასიათი. ის მოსაზრება, რომ ახალი საუკუნე მოგვცემდა უკონფლიქტო გარემოს, რეალობას არ შეესაბამება. თუმცა, ერთი ნამდვილად აღსანიშნავია, ახალმა საუკუნემ უარი თქვა ფართომასშტაბიან ომებზე.კონფლიქტები უფრო ლოკალური და უკონტაქტო გახდა. ყოველივე ამის მიზეზი იმის გაცნობიერებაა, რომ თანამედროვე ომებში ძნელია გამარჯვებულის დასახელება მოსალოდნელი მსხვერპლის გამო. თუმცაღა, საომარმა და საბრძოლო სიტუაციამ გადაინაცვლა ისეთი სახელმწიფოების საზღვრებში, რომლებსაც არ გააჩნიათ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მაგალითად, როგორიცაა უკრაინა, სირია, თუნდაც გავიხსენოთ საქართველო 2008 წელს.

ორი სიტყვით შევეხოთ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულს,როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო გადაიქცა ერთპოლუსიან მმართველობად. ამერიკის შეერთებული შტატები უდავოდ წარმოადგენდა წამყვან სახელმწიფოს. ამ

პერიოდში მსოფლიომ უდიდესი სახეცვლილება განიცადა გეოგრაფიული თვალსაზრისით და პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ბევრი პატარა სახელმწიფო გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციით. ევროპამ და აშშ-მა დაიწყეს ერთგვარი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის კიდევ უფრო გაფართოება.ისინი შეეცადნენ,რომ ამ სტუქტურაში ჩაერთოთ რუსეთის ფედერაცია. საუკუნის მიწურულს ეს ილუზია საკმარისად შეირყა რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, როგორც ახალი სახელმწიფო მმართველობის ცვლილებით და მათი სამომავლო ფიქრებით, ასევე ჩეჩნეთის ორი ომით, რომელიც დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა. ამ ყველაფერმა საბოლოოდ წერტილი დასვა 2008 წლის აგვისტოში საქარველო-რუსეთის ომით. შემდეგ უკვე გვაქვს უკრაინისა და სირიის მაგალითი. სწორედ რუსეთის ამბიციურ და აგრესიულ ქმედებებზე გაამახვილა ყურადღება ამერიკელმა წარმომადგენელმა კავკასიის საკითხებში რონალდ ასმუსმა და ამ ომს უწოდა „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“. ფაქტობრივად, აქამდე კიდევ გრძელდებოდა დასავლეთის მხრიდან „დათვის მოთვინიერების პროცესი“, თუმცა, აღნიშნული ომი აღმოჩნდა ბოლო იმედგაცრუება. საბოლოოდ, მივიღეთ კვლავ ისეთი მსოფლიო, სადაც შესაძლებელია მოხდეს ისევ ლოკალური ომები რომლითაც დიდი სახელმწიფოები აჩვენებენ ერთმანეთს საკუთარ ძალას. ეს პროცესი უკვე დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს. ასე რომ, ახალ საუკუნეში ჩვენ მივიღეთ კვლავ ბიპოლარული სამყარო, ორი ძლიერი, დაპირისპირებული მხარე, უზომოდ დიდი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქა, უზარმაზარი სამხედრო საშუალებები, რომლის მსგავსი ჯერ არასდროს ყოფილა. სწორედ ასეთმა ვითარებამ გახადა აუცილებელი, რომ მომხდარიყო სამხედრო მოქმედებათა ტრანსფორმაცია ახალი ეპოქისა და შესაძლებლობების შესაბამისად, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. ამ ყველაფერთან ერთად არ უნდა გამოგვრჩეს XXI საუკუნის ახალი და ყველაზე საშიში გარემოება, რომელი გარემოებაც არ არჩევს სახელმწიფოებს ტერიტორიის ან სიდიდის მიხედვით ეს არის საერთაშორისო ტერორიზმი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ მთავარი მიზეზები და ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს საომარ მოქმედებებზე და მიგვანიშნებს მის ახალ ხასიათზე, რომელსაც მეოთხე თაობის ომს და აგრეთვე ჰიბრიდულ ომსაც უწოდებენ.

როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნეთ, სამხედრო სფერომ არათუ დაკარგა, საკუთარი მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში არამედ, პირიქით უფრო მნიშვნელოვან სფეროდ გადაიქცა. ამიტომ კვლავ საჭიროებას მოითხოვს ომის ხელოვნების შესწავლა და შესაბამისად არსებული საშუალებების გამოყენება. სწორედ ამასვე ამბობს ბრიტანელი გენერალი ჯონ ფულერი- „ომი როგორც მეცნიერება იმართება ურყევი კანონების, ან პრინციპების თანახმად , ხოლო როგორ უნდა მიესადაგოს შეიარაღება ჯარი და პრინციპები ცვალებად ახალ და განსხვავებულ პირობებს ეს შეადგენს ომის ხელოვნებას, ჯერ საჭიროა დაეუფლო ომის მეცნიერებას რათა შემდეგ სწორად გამოიყენო ხელთ არსებული ძალები და საშუალებები ანუ გამოიყენო ომის ხელოვნება“[11]. მისი ეს მოსაზრება რა თქმა უნდა წარმოადგენს ჭეშმარიტებას და იგი უპირველესია.

როგორც ვიცით კლასიკური სამხედრო სტრატეგია გამოიყენებდა მხოლოდ ხმელეთს საბრძოლო მოქმედებებისას და არც თუ ისე ძლიერ საზღვაო ძალას. თუმცა საჰაერო და კოსმოსური სივრცის ათვისებამ, ასევე საინფორმაციო საშუალებების განვითარებამ ინტერნეტ ქსელის შექმნამ ასევე არასამხედრო საშუალებების გამოყენებამ სამხედრო სფეროში როგორიცაა საინფორმაციო ომი, კიბერ ომი, ფსიქოლოგიური ომი, ბირთვულმა და ატომურმა იარაღმა ზეზუსტმა იარაღებმა და ასევე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების არსებობამ სრულიად ახალი შესაძლებლობა მოიტანა. ამ ყველაფრის მიღწევისთვის საჭიროა უაღრესად დიდი რესურსები ამიტომ ყველა სახელმწიფოს არ ძალუძს ასეთი პოტენციალის შექმნა როგორც სამხედრო ასევე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით ამიტომ კახა კაციტაძემ სწორად განსაზღვრა სამხედრო ძლევამოსილების მიხედვით სახელმწიფოთა ოთხი ტიპი ეს არის:

1. პოსტინდუსტრიული, რომელიც მაქსიმალურად იყენებს ტექნოლოგიური პროგრესის შედეგებს.

1 სახელმწიფოები რომლებიც განვითარებულნი არიან ცალკეულ დარგებში.

[11] სამეთაურო საშტაბო სკოლა „ომის თეორია და ბუნება“ წიგნი პირველი

2 . ბირთვული იარაღით აღჭურვილი გვიანინდუსტრიული პოტენციალის მქონენი.

3 . სახელმწიფოები რომლებიც არასრულფასოვანი განვითარების გამო ვერ ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს.[12]

საბოლოოდ რომ ვთქვათ ახალმა საშუალებებმა სამხედრო და სამოქალაქო სფეროში (რომლებიც ფართოდ გამოიყენება სამხედრო სფეროშიც), გამოიწვია პარამეტრების ცვლილებები დროსა და სივრცეში, სამხედრო პოლიტიკურ სისტემაში და სამხედრო ორგანიზაციის სისტემაში.

დროითი პარამეტრების ცვლილებები გამოიხატება თანამედროვე პერიოდის ოპერაციების დინამიკაში. ზემოთ ჩამოთვლილმა სამხედრო შესაძლებლობებმა მეტად კომპლექსური და რთულად საწარმოებელი გახადა ესა თუ ის ოპერაცია ამიტომ იგი მოითხოვს შედარებით უფრო მეტ დროს დაგეგმარების ეტაპზე, რომლის დროსაც ხდება მცირედი დეტალების განხილვაც კი, რომელმა დეტალებმაც შეიძლება ოპერაცია წარუმატებელი გახადოს. ამის შესაბამისად გაიზარდა დაგეგმვის დრო და შემცირდა უშუალოდ ოპერაციის ხანგრძლივობა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აშშ-ს მიერ წარმოებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ერაყში სადაც ოპერაციის დაგეგმვის ფაზა და უშუალოდ ოპერაციის შესრულების ფაზები მნიშვნელოვნად მეტყველებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებაზე, სადაც 38 დღე მიმდინარეობდა გაერთიენებული კოალიციის მიერ მოწინააღმდეგესთან უკონტაქტო ბრძოლის და დაგეგმარების პროცესი, ხოლო უშუალოდ კონტაქტურმა ფაზამ მხოლოდ 4 დღე შეადგინა.

ასევე ამის მაგალითს წარმოადგენს უფრო უახლესი სამხედრო ოპერაცია ნატო_ს გაერთიანებული კოალიციის მიერ სერბეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების კუთხით სადაც აგრეთვე უკონტაქტო ბრძოლა მიმდინარეობდა 11 კვირის განმავლობაში და თითქმის არც ყოფილა სახმელეთო ბრძოლის არანაირი კვალი. კოალიციის მიერ გამოყენებული იქნა ბომბდამშენები და მართვადი ჭურვები. ამით დასტურდება ის, რომ თანამედროვე

[12] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.459

საბრძოლო მოქმედებებში ტაქტიკური გამარჯვებების ჯამი სულაც აღარ აღნიშნავს სტრატეგიულ გამარჯვებას. ამ შემთხვევაში სტრატეგიული გამარჯვება წინ უსწრებს ტაქტიკურ გამარჯვებებს. ტაქტიკური მოქმედებები წარმოადგენს მხოლოდ გამარჯვების შემდეგ ერთგვარი ქაოსიდან სიმშვიდის დასადგურებას. აგრეთვე შესაძლებელია მძლავრი იარაღი გამოყენებულ იქნეს უკვე ტაქტიკურ დონეზე. მთლიანობაში დროის შემცირებას იწვევს ის ზეზუსტი იარაღები, რომლის მოქმედებაც იწვევს ზუსტ წერტილოვან დარტყმებს, კონკრეტულ მიზნებზე ამით აგრეთვე შესაძლებელია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შემცირებაც.აგრეთვე ასეთი სიზუსტის მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი უკავია სადაზვერვო აღმომჩენ სისტემებს, რომლებსაც გააჩნიათ სატელიტური მხარდაჭერა კოსმოსიდან და შეიძლება ითქვას რომ ოპერაციის მართვა შესაძლებელია რეალურ დროში, შორი მანძილიდან და უშუალო კონტროლის პირობებში, სადაც შეცდომები მინიმუმადე დაიყვანება.

რაც შეეხება სივრცობრივ პარამეტრებს მისი არეალი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა სახეცვლილებას. ვიდრე ნაპოლეონის ომებამდე აღნიშნული სივრცე მეტად შეზღუდული იყო მოწინააღმდეგეთა უშუალო კონტაქტის გამო. არ არსებობდა შორი ზემოქმედების საშუალებები ამიტომ სივრცე განსაზღვრული იყო მხოლოდ საბრძოლო არეალით და შესაძლო რეზერვით. აგრეთვე შეიძლება ითქვას რომ არსებობდა სივრცის მხოლოდ ერთი პარამეტრი ეს იყო უშუალოდ მოწინააღმდეგეთა შეხების წერტილი ანუ ფრონტალური ხაზი. ნაპოლეონის ეპოქის ომებმა სივრცე მნიშვნელოვნად გაზარდეს გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა ზემოქმედების საშუალებები მაგალითად: ცეცხლსასროლი იარაღი და არტილერია.თუმცა ეს პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ სივრცითი პარამეტრების ცვლილებების პირველ ნაბიჯებად. XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გარდატეხის ეპოქა სივრცით პარამეტრებში, რადგანაც ამ პერიოდში განვითარდა სატრანსპორტო საშუალებები ხმელეთზე, როგორიცაა ავტომობილები და იმ დროისთვის ყველაზე საჭირო საშუალება რკინიგზა, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანია და ფაქტობრივად პირველი სახელმწიფო იყო რომელმაც სატრანსპორტო საშუალებები და განსაკუთრებით რკინიგზა ფართოდ განავითარა საკუთარ საზღვრებში. ამის დამსახურებით შესაძლებელი გახდა დიდი

მანძილის მოკლე დროში დაფარვა და გაიზარდა მანევრირების საშუალება ანუ საბრძოლო მოქმედებები უფრო გართულდა და კომპლექსური გახდა. ამ ყველაფერმა გააფართოვა საბრძოლო მოქმედებათა არეალი შესაბამისად გააჩინა საბრძოლო მოქმედებათა თეატრი და გამოჩნდა კიდევ ერთი პარამეტრი ეს იყო ოპერაციის სიღრმე, სადაც განლაგებული იყო მოწინააღმდეგეთა მომარაგების პუნქტები და შტაბები, რომლებიც გახდნენ ერთერთი მნიშვნელოვანი სამიზნეები საბრძოლო მოქმედებებში. რაც შეეხება საზღვაო სივრცეს იგი თანამედროვე პერიოდისგან განსხვავებით მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ ახდენდა სახმელეთო ოპერაციაზე. თუმცა როგორც საზღვაო სივრცის ასევე კავშირგაბმულობის სფეროში, აღნიშნულმა ეპოქამ ბიძგი მისცა თანამედროვე მძლავრ საშუალებებს, როგორიცაა: თანამედროვე წყალქვეშა გემები და ძლიერი კომუნიკაციის საშუალებები. ამ პერიოდში თავი იჩინა კიდევ ერთმა და დღეისათვის ფაქტიურად ყველაზე მძლავრმა პარამეტრმა, რომელიცაა საჰაერო სივრცე. მისი ათვისება მოხდა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს და შეიძლება ითქვას საბრძოლო მოქმედებები გადაიქცა მრავალგანზომილებიან სივრცედ, სადაც აქტიურად გამოიყენებოდა სახმელეთო,საზღვაო და საჰაერო სივრცეები. ხოლო შეიძლება ითქვას რომ ამ ყველაფერმა ყველაზე მძლავრი გამოყენება ჰპოვა პოსტინდუსტრიულ ეპოქაში სადაც გამოიყენება ე.წ. „ჭკვიანი“ ზეზუსტი იარაღები. რაკეტები რომლის ცდომილება მინიმუმადეა დაყვანილი და მას შეუძლია გაანადგუროს სამიზნე დიდი მანძილიდან შენობის კონკრეტული სართულის კონკრეტულ ოთახში. ამ შესაძლებლობამ აგრეთვე შეცვალა სამიზნეების პრიორიტეტულობა, თუ მანამდე ბრძოლაში მთავარ მიზნებს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები ან მისი საბრძოლო საშუალებები. ახლა შესაძლებელია იერიშის მიტანა მათ მთავარ შტაბებზე სარაკეტო სისტემებზე და მსგავს პრიორიტეტულ სამიზნეებზე.

სივრცობრივი პარამეტრების ცვლილებებიც მდგომარეობს შემდეგში, რომ თანამედროვე სამხედრო პოტენციალმა გამოიწვია სივრცის შეკუმშვა, გააადვილა მანევრირება.თანამედროვე კომპიუტერულმა და ინფორმაციულმა სისტემებმა გაამარტივა მიზნის აღმოჩენის შესაძლებლობა, მისი ზუსტი ადგილდებარეობის განსაზღვრა და მართვის პროცესი. აგრეთვე XX საუკუნის ბოლოს სპარსეთის ყურის

ომში ეფექტურად იქნა გამოყენებული კოსმოსური სივრცის შესაძლებლობები GPS სისტემების მაგალითზე, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ნავიგაცია ხმელეთზე.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ ახალი თაობის ომებში სივრცე გახდა მრავალგანზომილებიანი და იგი მოიცავს: სახმელეთო, საზღვაო(როგორც წყლის ზედაპირს ასევე წყალქვეშა სივრცეს), საჰაერო , კოსმოსურ და აგრეთვე ინფორმაციულ სივრცეებს.

სამხედრო პოლიტიკურ სისტემაში მთავარ ცვლილებას წარმოადგენს სამხედრო ძლიერების განმსაზღვრელი საშუალებების ფლობა. არ იქნება გამართლებული თუ ვიტყვით, რომ ბირთვული იარაღი არ წარმოადგენს სამხედრო პოლიტიკურ ძლიერებას, თუმცა შედარებით ადრეულ ეტაპზე ეს იყო ძირითადი განმაპირობებელი სამხედრო ძლიერებაში. მიუხედავად იმისა რომ მსოფლიოს ახსოვს მისი გამოყენების ფაქტები, დღეს იგი უკვე აღარ წარმოადგენს ერთადერთ ძალას სახელმწიფოებისთვის, რადგან მისი გამოყენება შედარებით რთულია, არა პრაქტიკული კუთხით, არამედ მისი შედეგებიდან გამომდინარე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი კვლავ რჩება მხოლოდ მუქარის ელემენტად. ხოლო თანამედროვე სამხედრო პოლიტიკურ ძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი დაიკავა სარაკეტო სისტემებმა, რომელთა მართვა ხორციელდება კომპიუტერული სისტემებით და უზრუნველყოფს ზედმიწევნით სიზუსტეს, რომელიც დამოკიდებულია ზუსტ სადაზვერვო ინფორმაციაზე. ასევე მთავარ ძალად აღიქმება საჰაერო სივრცეში ჰეგემონობა ფაქტიურად შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ჰაერში მიღწეული ჰეგემონობა ნიშნავს გამარჯვებას მთელ სამხედრო ოპერაციებზე[13]. ექვსდღიანი ომი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის ამის ნათელი დადასტურებაა. ასევე ამის მაგალითებია 2008 წლის აგვისტოს ომი NATO_მიერ ჩატარებული ოპერაციები ერაყსა და სერბეთში. რაც შეეხება სამიზნეებს ეს შესაძლოა გამომდინარეობდეს პოლიტიკური მიზნებიდან თუმცა პრიორიტეტულობის მიხედვით პირველი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის მართვის პუნქტები მათი სარაკეტო კომპლექსების განადგურება, საჰაერო ბაზების დაბომბვა დამოწინააღმდეგის მომარაგების პუნქტების განადგურება. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ

[13] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.454

უკვე ფართოდ გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი უკავიათ სამხედრო პოლიტიკურ ძლიერებაში როგორც საბრძოლო ასევე ინფორმაციის მოპოვების კუთხითაც. აგრეთვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი არასამხედრო სფეროები რომელთა გამოყენებაც ფართოდ ხდება სამხედრო კუთხით, როგორიცაა საინფორმაციო ან კიბერსაშუალებებით ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ეფექტი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ უკრაინის მოვლენები, სადაც აქტიურად გამოიყენება ფსიქოლოგიური ზეგავლენა რუსეთის მხრიდან უკრაინის სამხედროებზე ეს არის რუსული რადიოელექტრონული სისტემების მიერ უკრაინელ ჯარისკაცებთან მუქარის შეტყობინების გაგზავნა[14]. ასე რომ უახლესი მაგალითები ცხადყოფს რომ სამხედრო პოლიტიკური სიძლიერე დამოკიდებულია უახლესი ტექნოლოგიების ათვისებაში და მათ წარმატებით გამოყენებაში.

სამხედრო ორგანიზაციის სისტემა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ახალი თაობის საბრძოლო მოქმედებებში. როგორც აქამდე შევნიშნეთ მეოთხე თაობის ომები წარმოადგენს: მაღალ ტექნოლოგიური იარაღის დომინირებას, მათ დისტანციურ მართვას და კომლექსურ აზროვნებას. ასევე რიგ შემთხვევებში მოითხოვს დამოუკიდებელ და ადეკვატურ აზროვნებას, რომელიც დამოკიდებულია ჯარისკაცის გაწვრთნილობაზე, აქედან გამომდინარე თანამედროვე სამხედრო სტრუქტურა მოითხოვს კარგად გაწვრთნილ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც მიიღწევა არა სავალდებულო არამედ საკონტრაქტო სისტემის შედეგად. საკონტრაქტო სისტემა უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნას მაღალ დონეზე, რომელს გამოყენება ხდება შედარებით უფრო დიდი დროით, ვიდრე სავალდებულო სისტემის ჯარისკაცი. ამოტომ სახელმწიფოები მიმართავენ სამხედრო ორგანიზაციის საკონტრაქტო სისტემას. ასევე, თანამდეროვე თაობის ომები მოითხოვს შედარებით მცირე ზომის მობილურ ქვედანაყოფებს, რომლებიც იქნებიან მეტად გაწვრთნილი ვიდრე დიდი ზომის ქვედანაყოფები და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხარისხი და არა რაოდენობა.

[14] „რუსეთის ახალი თაობის ომი“-საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თბილისი 2018 გვ.20

თავი II

კლასიკური სამხედრო სტრატეგიების ისტორიული ასპექტები

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, არსებობენ კლასიკური სამხედრო სტრატეგიის გამორჩეული ფუძემდებლები ყველა მათგანი წარმოგვიდგენს მნიშვნელოვან თეორიებს, რომელი თეორიებიც გვასწავლის ომის ხელოვნებას. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მათგანის თეორიებს, გაგაცნობთ მათ შეხედულებას ომზე და ომის ხელოვნებაზე, აგრეთვე გამოვყოფთ იმ მნიშვნელოვან მოსაზრებებს, რომლებიც დღესაც წარმოადგენს ფასეულ საგანს საბრძოლო მოქმედებებში და ვფიქრობთ, რომ კვლავ აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ახალი თაობის ომებშიც კი. ასეთები არიან კარლ ფონ კლაუზევიცი,ჰენრი დიტრიხ ბიულოვი და ჰენრი ჟომინი.

2.1 კარლ ფონ კლაუზევიცი: სამხედრო სტრატეგიის ფუძემდებელი და მისი მოდელი

კარლ ფონ კლაუზევიცი დაიბადა 1780 წელს, პატარა ქალაქ ბურგში, რომელიც ბერლინიდან 70 მილის დაშორებით მდებარეობს.იგი ოჯახში მეოთხე და უმცროსი ვაჟი იყო. მისი მამა, პენსიაზე გასული ლეიტენანტი, რომელიც მუსაობდა ადგილობრივ საგადასახადო სამსახურში, იყო ვაჟი თეოლოგიის პროფესორისა. თავად იგი იყო ლუთერანი პასტორების ვაჟი და შვილიშვილი. მისი დედის მამა სამეფო ფერმას განკარგავდა. ფრიდრიხ დიდის გარდაცვალების შემდეგ რომელიც ბოლო წლებში დიდი გაჭირვებით ახერხებდა ოფიცერთა კორპუსის უბრალო წარმომავლობის ადამიანებისგან დაცვას, არმიაში მიიღეს კლაუზევიცი და მისი ორი ძმა კადეტ-ოფიცრებად. ყველა მათგანი გახდა გენერალი და 1827 წელს მათი წარჩინებული სტატუსი ბოლოს და ბოლოს სამეფო ორდენით დამოწმდა. ამ პერიოდში მრავალ სხვა ოჯახთან ერთად, კლაუზევიცებმა მოიპოვეს წარჩინებულობა ეკლესიასა და არმიაში სამსახურით ან პრუსიის სახელმწიფო ბიუროკრატიის საშუალებით.

კლაუზევიცმა ბრძოლა პირველად თორმეტი წლის ასაკში ნახა, კამპანიაში, რომელმაც ფრანგები რაინლანდიდან განდევნა 1793 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე. ივლისში მაინცის დაბრუნების შემდეგ მისი პოლკი გაემართა სამხრეთით ვოზგის მთებში, სადაც ძირითადად რაზმებად იბრძოდნენ. როდესაც 1795 წელს არმიამ დემობილიზაცია განიცადა, კლაუზევიცი დაბრუნდა პრუსიაში და მას უკვე კარგად ესმოდა მცირე შენაერთების ტაქტიკები, განსხვავებით ქვეითთა ოფიცრების უმრავლესობისგან, რომელთა მთავარი და ერთადერთი მოვალეობა ბრძოლაში იყო მჭიდრო ხაზის და სწრაფი ცეცხლის შენარჩუნება. მისი კარიერა იძენდა არაორდინალურ კურსს.შემდგომ წლებში იგი მცირე პოლკში მსახურობდა და მისი მეთაური იყო პრუსიაში სამხედრო განათლების პიონერი. ასეთ ხელისშემწყობ გარემოში კლაუზევიცი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეძლო შეეტანა განაცხადი ბერლინის სამხედრო სკოლაში. 1801 წლის ზაფხულში, ოცდაერთი წლის ასაკში იგი ჩარიცხეს სამწლიან კურსზე.[15] სკოლა არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაიქმნა, გერჰარდ ფონ სარნჰორსტის მიერ, რომელმაც შემდგომ პრუსიისა და კლაუზევიცის ცხოვრებაში

[15] სამეთაურო საშტაბო კოლეჯი „ომის თეორია დაბუნება“ თბილისი 2014

მთავარი როლი შეასრულა. შარნჰორსტი,პენსიაში გასული კავალერიის სერჯანტის ვაჟი, იყო სამხედრო მოსამსახურე 16 წლის ასაკიდან.მას შემდეგ, რაც ჰანოვერი ჩაება საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, 1793 წელს, შარნფოსტმა აღმოაჩინა რომ მეტად რისკიანი მებრძოლიც იყო. მან თავისი რეპუტაციის გამო პრუსიისგან მიიღო შეთავაზება პოლკოვნიკის პოსტსა და გადავიდა პრუსიის სამსახურში 1801 წელს. მრავალ სხვა მოვალეობასთან ერთად, მას ჩააბარეს ბერლინში სამხედრო სკოლის დირექტორობა, და მალე გადააქცია ეს სკოლა ერთ-ერთ არხად, რომლის საშუალებითაც იმედოვნებდა ომის შესახებ თანამედროვე იდეების შეთავაზებას პრუსიის არმიისთვის. შარნჰოსტი იყო პირველთაგანი რომელმაც აღიარა და გააანალიზა ობიექტურად ურთიერთკავშირი სამხედრო ნოვაციისა და სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისა რევოლუციურ ომებში.მისი აზრით, ცენტრალური ევროპის ძალების წინაშე, რომლებიც იყვნენ გაცილებით სუსტი, ვიდრე საფრანგეთი, იდგა ამოცანა, თუ როგორ განაწილებულიყო მოდერნიზაციის სათანადო კომპონენტები დროულად, რათა მომხდარიყო პრევენცია რესპუბლიკის გაბატონების და მას ჰქონდა რწმენა, რომ შეეძლო პრუსიის ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა. არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი მასწავლებელი კლაუზევიცისთვის,ვიდრე ეს სწავლული სამხედრო, რომელმაც გაღვიძა ახალგაზრდა მებრძოლში თეორიული ინტერესები და ამავდროულად, აძლიერებდა მის უკმაყოფილებას პრუსიის არმიის ტრადიციონალიზმის გამო.

ასეთი წანამძღვრების გაკეთება საჭიროდ მივიჩნიეთ რათა გავაანალიზოთ კლაუზევიცი როგორც უდიდესი პრაქტიკის მქონე სამხედრო მოაზროვნე, რომელმაც აღნიშნული პრაქტიკიდან შეეცადა ჩამოეყალიბებინა თეორია „ომის შესახებ“. როგორც ყველა კლაუზევიცის თანამედროვე სამხედრო მოაზროვნისთვის ასევე კლაუზევიცისთვისაც გადაულახავ ბარიერად იყო ნაქცევი ნაპოლეონის სიძლიერის და მისი საომარი სტრატეგიის მთავარი გასაღების მოძებნა. კლაუზევიცი განსხვავებულად ხედავდა ყოველივე ამას. იგი აღიარებდა ნაპოლეონის სიძლიერეს, როგორც „ომის ღმერთს“[16], თუმცა არ ეთანხმებოდა სხვა იდეის მქონე სამხედრო თეორიტიკოსებს

[16] კარლ ფონ კლაუზევიცი „ომის შესახებ“ წიგნი I

რომლებიც თვლიდნენ რომ ნაპოლეონის სიძლიერე მის საიდუმლო სტრატეგიაში მდგომარეობდა. კლაუზევიცი ფიქრობდა რომ ნაპოლეონის წარმატეტები იყო მისი უძლიერესი არმიის დამსახურება, „ფიზიკური ძალის გამოყენება მთელი მისი სისრულით, ყველა შემთხვევაში გამორიცხავდა ინტელექტის მონაწილეობას“[17]. უფრო ნათლად რომ ვთქვათ ნაპოლეონის მთავარი გასაღები იყო განადგურების სტრატეგია არსებული ძალიდან გამომდინარე. კლაუზევიცი აღიარებდა იმას რომ ომი ეს არის ძალადობის გამოყენება და რომ მხედართმთავარი რომელიც ომის მიმდინარეობისას არ გაითვალისწინებდა ამ მოსაზრებას აუცილებლად დაუშვებდა შეცდომას-“ისეთ საშიშ საქმეში როგორიც ომია, კეთილგანწყობის გამოვლინება შეცდომაა,- თანაც უსაშინლესი“-ამბობდა კლაუზევიცი.

კლაუზევიცი აღიარებდა იმ ფაქტს რომ ომი შედგება ცალკეული ბრძოლებისგან რომელთა ერთობლიობას მივყავართ საბოლოო მიზნისკენ, ამიტომ იგი მიიჩნევდა რომ ომის წარმოებისთვის მოითხოვება:1) ბრძოლის წარმოების წესების განსაზღვრა; 2) მისი დაკავშირება ომის საერთო მიზანთან. პირველ მათგანს განსაზღვრავს როგორც ტაქტიკა ხოლო მეორეს როგორც სტრატეგია. აგრეთვე გამოყოფს ბრძოლისთვის მოსამზადებელ პერიოდს რომელიც გამოიხატება ჯარისკაცების გაწვრთნაში.მას ვერ დავუკავშირებთ ვერც სტრატეგიას და ვერც ტაქტიკას. ასევე კლაუზევიცი ყურადღებას აქცევს უზრუნველყოფას როგორც ბრძოლის დამხმარე მნიშვნელოვან ელემენტს მას ყოფს ორ ნაწილად პირველი ეს არის საბრძოლო უზრუნველყოფა რომელიც გულისხმობს ჯარების გადაადგილებასა და განთავსებას რომელიც თანამედროვე გაგებისგან ცოტა შორსაა, ხოლო მეორე ნიშნავს ჯარების მომარაგებას იარაღით და აღჭურვილობით ასევე საკვებით და სამედიცინო დახმარებით თანამედროვე ტერმინით ეს არის ლოჯისტიკა.

კლაუზევიცისთვის ომში მთავარი მიზანი მდგომარეობს მოწინააღმდეგის ძალების სრულ განადგურებაში ან მოწინააღმდეგის მიერ წინააღმდეგობის გაწევის სურვილის დაკარგავში. ომში დაპირისპირებული მხარეები წარმოადგენენ აქტიურ მხარეებს რომლებიც ყოველთვის ემზადებიან ბრძოლისთვის და წინააღმდეგობის გაწევისთვის აქედან გამომდინარე ომის მიზანი მიღწეულად არ ითვლება, მანამ სანამ

[17] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე

მოწინააღმდეგე ცოცხალია.აქვე იგი აღნიშნავს ისეთ ფაქტორებს, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება არმიათა მომზადებას თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში ეს არის მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური და მორალური მდგომარეობა.ამისათვის კლაუზევიცი გვკარნახობს, რომ ყოველ ეტაპზე უნდა მოხდეს ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რადგან მოწინააღმდეგის შეფასებისას, შესაძლოა მხედველობაში ვერ მივიღოთ სწორედ ზემოთ მოყვანილი ფაქტორები.ამ ყველაფერს იგი უკავშირებს ადამიანის ამოუწურავ შესაძლებლობებს.

ომის გეგმების განხილვისას კლაუზევიცი გვთავაზობს სამ ელემენტს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის რომ განაიარაღო სახელმწიფო წაართვა მას წინააღმდეგობის გაწევის საშუალება და სურვილი. ეს ელემენტებია: 1.შეიარაღებული ძალები; 2.ტერიტორია; 3.წინააღმდეგობის სურვილი[18].

- მოწინააღმდეგის ძალები უნდა განადგურებულ იქნეს იმ მდგომარეობამდე, რომ ვეღარ შეძლოს ბრძოლის გაგრძელება.
- ტერიტორია უნდა იქნეს დაპყრობილი იმიტომ, რომ ის შეიძლება გახდეს წყარო ახალი შეიარაღებული ძალებისა
- წინააღმდეგობის სურვილი შეწყვეტილ იქნება მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ხელს მოაწერს მშვიდობის ხელშეკრულებას და დაემორჩილება გამარჯვებულის პირობებს. თუმცა კლაუზევიცის აზრით აღნიშნული ელემენტი ყოველთვის წარმოადგენს მეტად რთულად განსასაზღვრ საკითხს. შესაძლებელია პირველი ორი ელემენტის მიღწევის ან, თუნდაც ზავის შემთხვევაში მოსალოდნელი იყოს მოვლენების შემობრუნებაც. თუმცა საბოლოოდ ზავის მიღწევის პირობებში ითვლება რომ მიზანი მიღწეულია.

კლაუზევიცი აგრეთვე გამოყოფს იმ ვითარებას, როდესაც სულაც შეიძლება ომი არ მივიდეს საბოლოო შედეგამდე და მოხდეს მანამდე დაზავება ვიდრე რომელიმე მხარე დაკარგავს ბრძოლის სურვილს. ასეთ შემთხვევაში იგი საუბრობს შემდეგ გარემოებაზე და გამოყოფს ორ მდგომარეობას როდესაც შეუძლებელია ზავის პირობებზე შეწინააღმდეგება. „პირველი,წარმატების ეჭვქვეშ დაყენება და მეორე მისი ძალიან

[18] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.256

მაღალი ფასი“.იმ შემთხვევაში როდესაც ზავის დადების მოტივები საკმარისი აღმოჩნდება ორივე მხარისთვის მაშინ შესაძლებელია ზავზე საუბარი, თუმცა აქაც აღნიშნავს კლაუზევიცი, რომ ამ შემთხვევაშიც შეთანხმება იქნება სასარგებლო იმ მხარისთვის, რომლისთვისაც ომის დამთავრების სურვილი შედარებით სუსტი იქნება. საბოლოოდ იგი აღნიშნავს:“ როდესაც კი საჭირო გახდება ძალთა დანაკარგი, რომელიც ღირებულებით აღემატება პოლიტიკურ მიზანს,ამ უკანასკნელზე უარის თქმა მოგვიწევს;შედეგად მყარდება მშვიდობა“.

ზემოთ ჩამოთვილი სტრატეგიის მიზნების მისაღწევად კლაუზევიცი მიიჩნევს შემდეგ 4 მთავარ პრინციპს:

პირველი როგორც უკვე აღვნიშნეთ არის ძალების მაქსიმალური დაძაბვა რომელიც უზრუნველყოფს მოულოდნელობის ეფექტის მინიმუმადე დაყვანას მოწინააღმდეგის მხრიდან და ასევე ფსიქოლოგიურ მზადყოფნას ნებისმიერი მოქმედებისთვის.აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დანარჩენი სამის მთავარ წინაპირობას.

მეორე პრინციპი არის ძალების თავმოყრა იქ სადაც მოსალოდნელია მთავარი დარტყმა.ეს წარმოადგენს კლასიკური სტრატეგიის ერთ ერთ მნიშვნელოვან ცნებას რომელზეც ნაშრომსი უკვე გვქონდა საუბარი ეს არის კონცენტრაციის ცნება.

მესამე წარმოადგენს დროის სწორად გამოყენებას რომელიც მდგომარეობს აზრში რომ არ დაყოვნდე მაშინ როცა შენი დაყოვნებით არავითარი სარგებელი არ ვლინდება ამით აძლევ შესაძლებლობას მოწინააღმდეგეს უფრო მომზადებული დაგხვდეს. და რაც ყველაზე მთავარია კარგავ მოულოდნელობის ეფექტს რომელიც ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ომში. მეოთხე არის მოპოვებული წარმატების სწრაფად და ეფექტურად გამოყენება რათა

არ ვაცადოთ მოწინააღმდეგეს ძალების აღდგენა.

კლაუზევიცის ნაშრომში ვხვდებით ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც განასხვავებს მას თავისი თანამედროვეებისგან. ეს არის საკითხის განსხვავებულად მიდგომის უნარი შეიძლება ითქვას რომ იგი წარმოადგენდა იშვიათ მოაზროვნეს, რომელიც ომს სხვადასხვა გადმოსახედიდან უყურებდა მიუხედავად იმისა, რომ იგი საუბრობს ყველა იმ აუცილებელ საჭიროებაზე კლასიკური სტრატეგიების კუთხით.ის

აგრეთვე განიხილავს ომს, როგორც უამრავი სხვა საშუალებებიდან და ეშმაკური ფანდებიდან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგე მხარეების მხრიდან. ეს ყველაფერი ასეთი შეკითხვით დასვა მან;"როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ წარმატების მოსაპოვებლად მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების დარბევის გარეშე"? დარბევაში იგი გულისხმობს უშუალო კონტაქტს ანუ ბრძოლებს და ამით ფიქრს იწყებს არაკლასიკური სტრატეგიების გადმოსახედიდან.ყოველივე მისი მოსაზრებებიდან გამომდინარე, როდესაც იგი ომს უწოდებს ძალადობის გამოყენებას მიზნების მისაღწევად, ასევე მისთვის ამ ძალადობის გამოყენებაში ნებისმიერი ხერხი მისაღებია და ასევე იმაში, რომ ომი ეს არის პოლიტიკის გაგრძელება, იგი არ გამორიცხავს არაპირდაპირ ზემოქმედებას ომის მსვლელობისას, რომელმაც შესაძლოა უფრო მარტივად მიგვაღწევინოს მიზანს.ასეთი ტაქტიკით იგი გულისხმობს შედარებით მოქნილ კომპლექსურ მიდგომას საომარ მოქმედბებში. შესაძლოა ვინმე არ ეთანხმებოდეს მის ასეთ მოსაზრებებს, თუმცა თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებში აშკარაა ასეთი ტიპის მოქმედებები, როდესაც მცირე ზომის ეშმაკურმა ქმედებამ შეიძლება დაზოგოს ძალები და მივიღოთ უფრო ეფექტური შედეგი.ერთ-ერთ ასეთ ქმედებად კლაუზევიცი მიიჩნევს მოწინააღმდეგის მოკავშირეებზე თავდსხვას და საკუთარი მოკავშირეების ძებნას.

მეორე კითხვას იგი შემდეგნაირად სვამს „როგორი უნდა იყოს მოქმედების საშუალებები, რომ მოწინააღმდეგეს ძალები გამოელიოს?"[19] როგორც უკვე ვთქვით იგი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ დაპირისპირებაში არსებობს

ყველაზე უმნიშვნელო შტრიხიც კი, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს აღნიშნულ კონფლიქტში. სწორედ ამიტომ იგი არ გამორიცხავს ასეთ ქცევას ომის მიზნების მისაღწევას.

იგი ასევე გამოყოფს სამ სხვადასხვა გზას რომელსაც მივყავართ მოწინააღმდეგის ძალების ხარჯვასთან.პირველი - არის მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავება არა მისი შენარჩუნების მიზნით არამედ მისთვის ზარალის მისაყენებლად. მეორე მიზანმიმართული ოპერაციები მოწინააღმდეგის ზარალის გასაზრდელად.ამ დროს კლაუზევიცი უშვებს შემთხვევას როდესაც შეიძლება ძალები ორ ფრონტზე მიმართო რომლებსაც ექნებათ კონკრეტული დავალებები.მესამე_მოქმედებების

[19] კლაუზევიცი „ომის შესახებ" წიგნი II

გახანგრძლივების წყალობით მოწინააღმდეგის დაუძლურება, ფიზიკური ძალის და ნების განადგურება[20]. ამის ნათელი მაგალითი იყო ვიეტნამის მიერ აშშ_ისთვის მიყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზარალი.

ჩვენ აღვნიშნეთ რომ შესაძლოა კლაუზევიცის ასეთი ხედვები მიუღებელი და მეტად სარისკო იყოს ომში. ასევე შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს მოსაზრება რომ კლაუზევიცი ხშირად ეწინააღმდეგება საკუთარ მოსაზრებებს, რადგან ერთგან საუბრობს ძალთა კონცენტრაციის მნიშვნელობაზე როგორც ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პირობა ხოლო სხვაგან აღიარებს ძალების ერთგვარ დანაწევრებაზე. თუმცა მინდა ავღნიშნო, რომ იგი ამგვარ მოსაზრებებს უსადაგებს სხვადსხვა ტიპის დაპირისპირებებს. ასევე იგი აღიარებს ომის კომლექსურობას და დაუნდობლობას და მისთვის ნებისმიერი ქმედება მისაღებია მისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას.

ამით იგი მიგვანიშნებს რომ ომში არსებობს მრავალი გზა რომლებსაც მიზნისკენ მივყავართ. მისი ასეთი აზროვნება განსაკუთრებით მისაღებია შედარებით სუსტი ძალების მქონე მოწინაღმდეგის მხრიდან. აღნიშნული მოსაზრება აშკარად შეესაბამება მის მიერ მოყვანილ მაგალითს ფრიდრიხ დიდთან დაკავშირებით.რომ მის მიერ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა ავსტრიელებთან აშკარა დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა.

ნამდვილად არ ნიშნავს კლაუზევიცის ასეთი შეხედულება იმას რომ იგი მომხრეა ძალების დაქსაქსვის. მისთვის მისაღებია ძალების გამოყენება მანევრისთვის იმ შემთხვევაში როდესაც პარალელურად შეგვეძლება მოწინააღმდეგეს გადამწყვეტ ბრძოლაში საკმარისი ძალა დავუპირისპიროთ. მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგე თავიდანვე აღემატება ჩვენს ძალებს ამ შემთხვევაში პირდაპირ გადამწყვეტ ბრძოლასაც არ აქვს მნიშვნელობა ამიტომ ასეთ ვითარებაში იგი მიმართავს გამოფიტვის სტრატეგიას. ის ფაქტი რომ მისთვის ნებისმიერ შემთხვევაში ბრძოლა იყო ძირითადი მიზნის მიღწევის საშუალება შეიძლება აიხსნას იმით რომ მისი ეპოქა განიცდიდა სხვა საშუალებათა დეფიციტს რაც შემდგომმა ეპოქებმა მოიტანა მაგალითად ინფორმაციული და კიბერ საშუალებები ან ისეთი ზუსტი და ძლიერი იარაღები როგორებიც დრეევანდელ სამხედრო სფეროს გააჩნია.

[20] კლაუზევიცი „ომის შესახებ“ წიგნი II

რაოდენობრივი უპირატესობა ბრძოლაში: როგორც ვიცით ბრძოლას ახასიათებს დასმული ამოცანები,ბრძოლის ტაქტიკა და სხვა მახასიათებლები ერთ-ერთი ასეთი არის ჯარების რაოდენობა. კლაუზევიცის მიხედვით რაოდენობა ხშირად განმსაზვრელია ბრძოლაში. თუმცა აქვე აღნიშნავს რომ იგი არ წარმოადგენს ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. შესაძლოა მოხდეს ისეც რომ რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად ვერ მივაღწიოთ მიზანს ამის ძალიან ბევრი მაგალითები არსებობს ისტორიაში. მის დასამტკიცებლად მარტო დიდგორის ბრძოლა კმარა. აქვე გასათვალისწინებელია მხედართმთავრის ნიჭი და მის მიერ გამოყენებული ტაქტიკა რომელმაც შეიძლება შეამციროს რიცხობრივი უპირატესობა მაგალითად ადგილმდებარეობის გამოყენება სუსტი ძალების მიერ.ასევე კლაუზევიცი აღნიშნავს რომ მხედართმტავრის ნიჭი მდგომარეობს იმაში რომ თუნდაც მთლიან ომი კამპანიის დროს ნაკლები ძალებით მიაღწიოს იმას რომ გადამწყვეტ პუნქტში მოახდინოს ძალთა მაქსიმალური კონცენტრაცია. აგრეთვე კლაუზევიცი რაოდენობრივ უპირატესობას განსაზღვრავს მისი ხარისხებით რომელიც გულისხმობს ისეთ რაოდენობრივ თანაფარდობას როდესაც ასეთი რაოდენობა გამარჯვების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა.

მოულოდნელობა. მოულოდნელობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს ფარულობა და სისწრაფე. ამისათვის საჭიროა კარგად მომზადებული არმიის ყოლა. კლაუზევიცის აზრით მოულოდნელობის ეფექტი ყველაზე ქმედითია იქ, სადაც სტრატეგია მაქსიმალურად უახლოვდება ტაქტიკას. როგორც კლაუზევიცი განმარტავს ტაქტიკურ დონეზე მოულოდნელობის მიღწევა შედარებით მარტივი განსახორციელებელია სივრცობრივი ნაკლებობის გამო, რადგან მოწინააღმდეგის მხრიდან წარმოადგენს უფრო რთულად აღმოსაჩენ ქმედებას, ხოლო სტრატეგიული მოულოდნელობა შესაძლოა დავაბრალოთ უფრო სუსტ ინფორმაციის წყაროს.მოულოდნელობის სტრატეგიულ მაგალითს წარმოადგენს ჰანიბალი, რომელმაც გამოიარა ალპები და რომაელებს იმ მიმართულებიდან შეუტია, რომელსაც არ მოელოდებოდნენ. ასევე დიდგორის ბრძოლაში შესანიშნავად იქნა მიღწეული ტაქტიკური მოულოდნელობა, რომელმაც თითქმის გადამწყვეტი როლი ითამაშა

ბრძოლის ბედზე და მიაღწია მოულოდნელობის ეფექტის, რომელმაც მოწინააღმდეგის რიგებში გამოიწვია არეულობა და დაბნეულობა.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ კლაუზევიცი დღესაც რჩება კლასიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ბევრი კრიტიკული აზრის მიუხედავად მისი ნაშრომი „ომის შესახებ“ დღესაც წარმოადგენს ბევრი სახელმწიფოებისთვის საკუთარი სამხედრო ორგანიზების და სტრატეგიის საფუძველს. ალბათ ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან რომ კლაუზევიცი წარმოადგენდა ისეთ თეორიებს რომლებიც ომს უდგებოდა კომლექსურად. მას განიხილავდა მრავალი კუთხიდან და საშუალებებით. და შეიძლება ითქვას რომ თანამედროვე ძლიერი სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინებში გამოიხატება სწორედ კლაუზევიცისეული მიდგომები რადგან ახალმა ეპოქამ მოგვცა სწორედ იმდენი შესაძლებლობა რომელსაც შეუძლია ბრძოლის გარეშეც დაამარცხოს მოწინააღმდეგე როგორც ამას კლაუზევიცი აღნიშნავდა და ომში მნიშვნელოვან ფუნქციას აძლევდა ისეთ საკითხებს როგორიც იყო ფსიქოლოგიური მორალური მდგომარეობა მხედართმთავრის ნიჭი, ბრძოლის ტექნიკის მუდამ განვითარებას, ცნობების მნიშვნელობას, თანამედროვე ტერმინით შეიძლება გამოვხატოთ როგორც დაზვერვის მონაცემები. გამომდინარე ასეთი მიდგომებიდან კლაუზევიცმა დაიმკვიდრა ადგილი ბევრ სხვა სამხედრო თეორიტიკოსთან ერთად.

2.2 ჰენრი დიტრიხ ბიულოვი: სამხედრო სტრატეგიის გეომეტრიული დაგეგმვის პრინციპი

ჰენრიხ დიტრიხ ბიულოვი სამხედრო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თვალსაჩინო წარმომადგენელია. წარმოშობით არისტოკრატი იგი პრუსიის გვარდიის ოფიცერი იყო. ბარონმა ბიულოვმა მაშინვე მიატოვა სამხედრო სამსახური გაიგო თუ არა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ და მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიელთა წარუმატებელ აჯანყებაში ავსტრიელების წინააღმდეგ. იგი ბევრს მოგზაურობდა. მისთვის ნაცნობი იყო ნიუ-იორკი, ბერლინი, ლონდონი, ჰამბურგი, პარიზი. მის ყურადღებას იქცევდა პოლიტიკური და პოლიტიკურეკონომიკური

საკითხები. ამ თემებზე მან რამდენიმე ბროშურა დაწერა, მათ შორის „ფულის შესახებ“, „ნაპოლეონის- ფრანგთა იმპერატორის შესახებ“, „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალ სახელმწიფოზე“ და ა.შ. ბერენჰორსტის ნაშრომმა „შენიშვნები საომარი ხელოვნების შესახებ“, რომელიც მე-18 საუკუნის სამხედრო ხელოვნების არაჩვეულებრივ კრიტიკას წარმოადგენდა, აიძულა ბიულოვი მიბრუნებოდა სამხედრო საქმეს და კონკრეტულად სამხედრო თეორიას. 1799 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი „ომის ახალი სისტემის სული“ რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიქცია. მასვე ეკუთვნის ნაპოლეონის 1800-1805 წლების კამპანიების შესახებ კვლევებიც.

ბიულოვის უმთავრესი თეზისები ომის შესახებ ჩამოყალიბებულია მის განსაზღვრებებში და თერთმეტ პრინციპში სტრატეგიის შესახებ, სადაც იგი ომის თეორიისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან ტერმინსაც იძლევა, მათ შორის ისეთ ცნებებზე როგორებიცაა საომარი ოპერაცია, სტრატეგია, ტაქტიკა, ოპერაციული ბაზისი და ოპერაციის სუბიექტი და ობიექტი.

უფრო კონკრეტულად ეს განსაზღვრებები და პრინციპები შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი განსაზღვრება: არმიის ნებისმიერი მოძრაობას, რომლის მიზანიც უშუალოდ მოწინააღმდეგეა, სამხედრო ოპერაცია ეწოდება;

მეორე განსაზღვრება: იმდენად რამდენადაც ოპერაციის სუბიექტი და ობიექტი დაშორებულია სივრცით რომელშიც არმიებმა უნდა იმოძრაონ, აქედან ჩნდება ოპერაციის ხაზის ცნება;

მესამე განსაზღვრება: ყველანაირ საომარ გადაადგილებას მოწინააღმდეგის არტილერიის წვდომისა და ხედვის მიღმა ეწოდება სტრატეგიული; შესაბამისად სტრატეგია წარმოადგენს მეცნიერებას არტილერიის წვდომისა და ხედვის მიღმა საომარი გადაადგილების შესახებ. ტაქტიკა კი მეცნიერება ამ წვდომის არეში საომარი გადაადგილებების შესახებ;

პირველი პრინციპი: ახალ არმიებს არსებობა შეუძლიათ. მხოლოდ საკუთარი მაღაზიებიდან მომარაგებით და მათი გადაადგილება განისაზღვრება მათივე მაღაზიებით; მეორე პრინციპი: მთავარი მაღაზია, რომლისგანაც მოქმედი არმია იკმაყოფილებს

თავის მოთხოვნებს, წარმოადგენს ფუნდამენტს, იგივე ოპერაციის სუბიექტს.

მესამე პრინციპი: ოპერაციები ერთი ოპერაციული ხაზით, რომელიც ერთადერთ ოპერაციულ სუბიექტს ემყარება, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრისას, არასაკმარისად უზრუნველყოფილია და ვერ მიგვიყვანს წარმატებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწინააღმდეგე უარს იტყვის ყველა შესაძლო კონტრქმედებაზე; მეოთხე პრინციპი: გამომდინარე აქედან, თავდაცვითი ოპერაციის დროს სასურველია არ განლაგდე უშუალოდ მოწინააღმდეგის ფრონტის წინაშე და პასიურად მოიგერიო მისი შეტევები, არამედ საჭიროა ავირჩიოთ ფლანგური პოზიცია და შემდგომ გადავიდეთ შეტევაზე. მოქმედებები მიმართული უნდა იყოს მოწინააღმდეგის ფლანგისა და ზურგის წინააღმდეგ და მიზნად მტრული არმიის მომარაგების ხაზებს და შეძლებისდაგვარად მის ტერიტორიებსაც ისახავდეს;

მეხუთე პრინციპი: როგორც წესი, ნორმალური ოპერაციებს, რომლებიც სამკუთხედის ფორმას ქმნიან, შეტევის წვერის კუთხე 60° ან ნაკლებია და მოწინააღმდეგე ცდილობს თავისი უპირატესობების გამოყენებას, მათ არ უნდა ქონდეს წარმატება და არ უნდა მივყავდეთ მიზანთან, რადგანაც ისინი არასაკმარისად ბაზირებულია;

მეექვსე პრინციპი: ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების მქონე ოპერაციის ხაზები, მიმართული ცენტრიდან წრისკენ ანდა მცირე წრიდან უფრო დიდისკენ, ასევე ქმნიან არა მომგებიან ოპერაციულ ხაზებს, თუ მოწინააღმდეგე იყენებს უახლოესი საომარი სისტემის წესებს;

მეშვიდე პრინციპი: პარალელური ოპერაციული ხაზები, მიმართული რამდენიმე ოპერაციული სუბიექტიდან თანაბარი რაოდენობის ობიექტების წინააღმდეგ, ასევე სუსტად პასუხობს სწორი ომის თეორიის მოთხოვნებს; მერვე პრინციპი: ოპერაციული ხაზები რომლებიც ქმნიან 90° -იან ან უფრო მეტ
სამკუთხედს, ბაზირებულია საკმარისად წარმატებით;

მეცხრე პრინციპი: ჩვენი კვლევიდან გამომდინარეობს შემდეგი, იმისთვის რომ ბაზისი იყოს მომგებიანი, უნდა შეზნექილი ფორმით მოიცავდეს მოწინააღმდეგის ბაზის; თუკი ჩვენი და მოწინააღმდეგის ბაზისები პარალელურია, მაშინ ჩვენი ბაზისი უფრო გრძელი უნდა იყოს; ამისგან განსხვავებით ოპერაციული ბაზისი რომელიც ამოზნექილია, ან

მოკლეა მოწინააღმდეგის ბაზისზე წარმოადგენს არასახარბიელოს და უპირატესობას აძლევს მოწინააღმდეგეს.

მეათე პრინციპი: ბაზისიდან უკან დახევა ერთი ოპერაციული ხაზით არ პასუხობს, არც თეორიას და არც უახლესი ომის სისტემას;

მეთერთმეტე პრინციპი: ერთადერთ სწორ უკანდახევას წარმოადგენს, პარალელური და ექსცენტრიული ოპერაციული ხაზებით უკან დახევა;

ჩვენ ზოგიერთ ამ პრინციპს ქვემოთ მესამე თავში კიდევ ერთხელ და უფრო ფართოდ შევეხებით. გარდა ამისა, საინტერესოა ბიულოვის რამდენიმე მოსაზრება ნაშრომიდან. მაგალითად, ბიულოვი ასევე იძლევა ომის დანიშნულებისა და მიზნის განმარტებასაც. მისი თქმით, „ყველა საომარი ოპერაციების მიზანს წარმოადგენს ჩვენთვის სასურველი და მოწინააღმდეგისთვის მიუღებელი მშვიდობის მიღწევა, მოწინააღმდეგეზე ზარალის მიყენების გზით“. ეს ომის თეორიისთვის მისი ნაშრომის მნიშვნელოვანი პასაჟია. აქ ავტორი ფაქტობრივად ეხება ომის დაწყებისა და დასრულების თემას, რომელიც დაგეგმარების პროცესისათვის მნიშვნელოვანი მომენტია და ფაქტობრივად უცვლელია დღემდე. ნებისმიერი ომის გეგმა სადაც არ იკითხება ომიდან გამოსვლის გარემოება, შეიძლება შეფასდეს როგორც არასრული და დაუმთავრებელი.

ბიულოვის თქმით, საერთო მიზნიდან გამომდინარე, რომლისგანაც ყალიბდება უმთავრესი ოპერაცია ანუ ომი, განხილულ უნდა იქნას, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება. მარში კი რომლისგანაც საკუთრივ ოპერაცია შედგება, წარმოადგენს ოპერაციის განხორციელების საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ბიულოვი თვითონ არ ახსენებს უშუალოდ სტრატეგიასა და ომის პოლიტიკურ მიზანს, ზემოთ მოყვანილი მსჯელობაში უკვე იკითხება ომის თითქმის ყველა დონე, რომელთაც შემდგომში მაგალითად კლაუზევიცთან უფრო ნათლად ვხვდებით. მოცემული გვაქვს ომის პოლიტიკური მიზანი, ანუ ის რისთვისაც ვესწრაფვით მშვიდობის ტრანსფორმაციას ახალ, ჩვენთვის სასურველ მშვიდობად. ამ ტრანსფორმაციის საშუალება საომარი ოპერაცია და მარში, ფაქტობრივად ოპერატიულ-ტაქტიკური დონე. უფრო მეტიც, ბიულოვი ამბობს, რომ პოლიტიკური სტრატეგია ისეთივე კავშირშია ომის

სტრატეგიასთან, როგორც ეს უკანასკნელი ტაქტიკასთან. თავის არსით ეს სწორედ კლაუზევიცის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზია, რომ „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა“.

მნიშვნელოვანი საკითხი რასაც ბიულოვი ასევე ეხება, არის ოპერაციული ბაზისის ცნება, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. მისი თქმით ბაზისი ანუ ოპერაციის საფუძველი, საყრდენი წარმოადგენს ერთმანეთის გვერდი გვერდ ერთ ხაზზე განლაგებულ მომარაგების მაღაზიებს. ბიულოვის აზრით, ოპერაციის მიმართულება უნდა ქმნიდეს გარკვეულ სამკუთხედს, რომლის საფუძველს წარმოდგენს ეს ოპერაციის ბაზისი. ოპერაციული ხაზი - ეს ის გზაა რომლითაც არმია ღებულობს თავის მომარაგებას მაღაზიებიდან. ვინაიდან ეს ხაზი, ისევე როგორც მაღაზიები დაცული უნდა იყოს მოწინააღმდეგის ზემოქმედებისგან, იგი განსაზღვრავს არმიის კოლონების მოძრაობის მიმართულებას და თვით არმიის განლაგებასაც. ბიულოვის აზრით, ვინაიდან კოლონების მარშირების გზები თავისი მნიშვნელობით მეორე ხარისხოვანია, ხოლო მომარაგების გზა პირველადი მნიშვნელობის, ოპერაციული ხაზი სწორედ მეორეს უნდა ეწოდოს. აქედან გამომდინარე ბიულოვი სწორე სტრატეგიად განიხილავს ბრძოლას მოწინააღმდეგის ბაზირებისა და კომუნიკაციებისათვის.

გარდა ამისა ბიულოვი თვლის, რომ თითოეული საომარი ოპერაცია ემყარება სამ ძირითად პუნქტს: სუბიექტს ანუ ოპერაციის საფუძველს-ბაზისს, ოპერაციულ ხაზსა და ობიექტს. თითოეული ოპერაცია ერთიმეორის გვერდით დაახლოებით ერთ ხაზში განლაგებულ სუბიექტებს უნდა ემყარებოდეს და მაგვარად ქმნიდეს ბაზირებას ოპერაციისათვის.

ავტორის აზრით, ოპერაციული ხაზი რომელიც შეტევაში გადადის, წარმოადგენს განსაკურებულად მგრძნობიარე ნაწილს და აუცილებელია ეს ხაზი დავიცვათ მოწინააღმდეგის ყველანაირი საზიანო ზემოქმედებისგან.

ბიულოვი ასევე განმარტავს, რომ როდესაც ოპერაციული ბაზისი იმდენადაა გავრცობილი, რომ ოპერაციის ორივე უკიდურესი ხაზები ოპერაციის ობიექტთან ქმნიან კუთხეს რომელიც 60°-ზე მეტია, მაშინ არის შეტევის განხორციელების საშუალება.

თუ ოპერაცია საკმარისად არის ბაზირებული, მაშინ შესაძლებელია წინსვლა პარალელური ოპერაციული ხაზებით- იმისთვის, რომ ერთდროულად შევუტიოთ რამდენიმე ობიექტს, რომლებიც ბაზისის პარალელურ ხაზე არიან განლაგებული. აქვე

ბიულოვი აღნიშნავს, რომ შეტევის მთავარი ობიექტის წინაშე საჭიროა უფრო მეტი ძალების თავმოყრა, ანუ ძალთა კონცენტრირება, რაც ნაპოლეონის მიერ წარმოებული ომების დამახასიათებელი თვისება იყო.

ბიულოვის აზრით, რაც უფრო გაფანტულია ძალები და ბევრია ოპერაციების ობიექტები რომელთა მიმართ საჭირო ხდება ერთდროული მოქმედება, მით უფრო სათუთს წარმოადგენს ოპერაციის გეგმა, ვინაიდან მცირდება ალბათობა რომელიმე პუნქტზე გადამწყვეტი უპირატესობის მიღწევისა. ბიულოვის თქმით, ჯარისგან ერთიანი კედლის შექმნა ეს შეტევითი ომის წარმოების ყველაზე გაუაზრებელი ფორმაა.

მისივე მოსაზრებით, ოპერაციის ხაზის კუთხეები გრადუსები უნდა ქმნიდენ 90°იან კუთხეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერაციის ხაზების უკიდურესი მიმართულებები ქმნიან იმდაგვარ კუთხეს, რომ ქმნიან შეტევის ერთ მთლიან სამკუთხედის ფორმას, რომელიც მოწყვლადი ხდება ფლანგებიდან და საფრთხე ექმნება ოპერაციის ბაზისა და მომარაგების ხაზებს.

როგორც ვხედავთ, ბიულოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მაღაზიებსა და მათ უსაფრთხოებას. იგი თვლის, რომ ომის ახალი მიდგომებიდან გამომდინარე, უფრო ბუნებრივია ოპერაციის მიზანი მოწინააღმდეგის მაღაზიები და მომარაგების ხაზები გავხადოთ, რომლების მათ არმიებთან აკავშირებს. ამის მიზეზი ბიულოვის თქმით, მდგომარეობს იმაში, რომ ახალ არმიებს არ ძალუძს დიდი ხანი საკუთარი მარაგებით ცხოვრება და დამოკიდებულნი არიან მომარაგების გარე წყაროებზე. მისი მაზრით: „მაღაზია ეს -გულია, რომლის დაზიანების შემთხვევაში იშლება კოლექტიური ადამიანი, ანუ არმია. მომარაგების ხაზები, კი კუნთები, რომელთა გადაჭრით ჩვენ მთელი სამხედრო ორგანიზმის პარალიზებას ვახდენთ“.

იმდენად რამდენადაც მაღაზიები და მოძრაობის ხაზები შეიძლება გვქონდეს მხოლოდ უკან ან გვერდით, ბიულოვის აზრით, აქედან გამომდინარეობს, რომ ფლანგები და ზურგი უნდა წარმოადგენდნენ ოპერაციის საგანს, როგორც შეტევაში, ისე თავდაცვის დროს.

ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია ბიულოვის მხრიდან განსაკუთრებით ითხოვს შეტევის ხაზების ფორმის მიმართ ყურადღებას, ვინაიდან როგორც აღვნიშნეთ, არასაკმარისად ბაზირებული ან მოკლე ბაზირების მქონე ხაზი ქმნის შეტევის ოპერაციის

ისეთ კუთხეს რომელიც ნაკლები შეიძლება იყოს 60°-ზე, რაც ფლანგებიდან ადვილად მოწყვლადობის შედეგად ქმნის საფრთხეს ოპერაციის ბაზირებისა და მომარაგების ხაზებისათვის.

ჩვენის მხრივ უნდა დავამატოთ, რომ ბაზირების თემით ამდაგვარი გატაცებაში მას გამორჩა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ რევოლუციური არმიები უკვე აღარ იყვნენ ასე დამოკიდებულები მაღაზიებზე და მათ ადგილობრივ საშუალებებზე ცხოვრება ისწავლეს. ნაპოლეონის მიერ შემოთავაზებული განადგურების სტრატეგია აღარ ხედავდა ბრძოლას მხოლოდ როგორც ერთ-ერთ საშუალებას და უმთავრეს სამიზნედ-მოწინააღმდეგის არმიის განადგურებას ისახავდა.

ბიულოვის გეომეტრიით ამდაგვარი გატაცების მიუხედავად, მან ფაქტობრივად ერთ-ერთმა პირველმა დაინახა ომისა და მშვიდობის ერთიანობა და ურთიერთკავშირი. ამ ერთიანობაში ომი მან დაინახა როგორც ის დაშენება რომელიც მშვიდობას ემყარება და აქედან ოპერაციული ბაზისის ცნებაც ფაქტობრივად წარმოადგენს მომავალში იმ ყველაფერს რასაც მშვიდობის დროს ქმნის სახელმწიფო მომავალ ომში გამოსაყენებლად. გარდა ამისა იგი ფაქტობრივად პირველი იძლევა ტერმინს- სტრატეგია, დაახლოებით იმ გაგებით როგორც ის ჩვენს დღეს გვესმის და ჰყოფს მას ტაქტიკისაგან. ამ მხრივ მისი ხედვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული აზროვნების ევოლუციისათვის.

2.3 ჰენრი ჟომინი: სამხედრო ტაქტიკის თეორიტიკოსი და კლასიკოსი ანტუან

ჰენრი ჟომინი, თავისი თანამედროვეების, ნაპოლეონის და კლაუზევიცის მსგავსად, იყო პირმშო დიდი რევოლუციისა, რომელმაც შეარყია საფრანგეთის და მთელი დასავლური სამყარო 1789 წლიდან. იგი იყო შვეიცარიელი, დაბადებული 1779 წელს. ცხრამეტი წლის ასაკში იგი აშკარად-თუმცა უხალისოდ მიიწევდა წინ საბანკო და ვაჭრობის კარიერაში. თუმცა,ათი წლის ასაკიდან მას ყოველთვის აღელვებდა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ ამბები.იგი ბაზელში 17 წლის ასაკში ბანკირის შეგირდი იყო, როდესაც თავად იხილა საფრანგეთის ჯარები.შემდგომი ორი წლის განმავლობაში პარიზში მან საკუთარი თვალით იხილა რაქტიდორის გადატრიალება

და გაეცნო ანგარიშებს იტალიიდან გენერალ ბონაპარტის ეფექტური სამხედრო გამარჯვებების შესახებ. მაშინ, 1798 წელს, შვეიცარიაში რევოლუცია მღელვარებდა, რომელშიც მას საფრანგეთის სამხედრო ძალები ეხმარებოდა; ახალგაზრდა ჟომინიმ მიატოვა საბანკო საქმეში სავარაუდოდ პერსპექტიული კარიერა და თავისი ცხოვრების შემდგომი 70 წელი მიუძღვნა ომს და მის კვლევას.[21] ჟომინი სტრატეგიას მეტწილად ათავისუფლებს გეომეტრიისგან და მას უფრო პრაქტიკული მნიშვნელობით გასაგებს ხდის. ამაზე, როგორც ჩანს ზეგავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჟომინის მიზნად ქონდა შეექმნა სახელმძღვანელო ოფიცრებისათვის, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა ზედმეტი ბუნდოვანებისგან და აღსაქმელად მარტივი იქნებოდა. თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია მის ნაშრომს უფრო დეტალურად შევეხოთ.

შეიძლება ითქვას, რომ ჟომინიმ კლასიკური სტრატეგიის საუკეთესო განმარტება მოგვცა როდესაც როდესაც მან შეადარა ნაპოლეონამდელი ომები მის თანამედროვე ომებს რომელზეც ამბობს შემდეგს:“ აქედან (1800 წლის კამპანიიდან - გ.ა.) მომდინარეობს გაბედული მიზნების დასახვა, რომელიც არც მეტი არც ნაკლები მოწინააღმდეგის არმიის განადგურებას ან კაპიტულაციას გულისხმობს“[22]. ამ სიტყვებით ნათლადაა გამოხატული ის ცვლილება რაც ნაპოლეონის ომებმა მოგვიტანა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოპერაციულ ხაზებს, რომლებიც ქმნიან ოპერატიულ და სტრატეგიულ ფრონტს, რომელიც შემდგომში გახდება საყრდენი პუნქტი .საბოლოო ჯამში ჟომინი აღწერს მთლიანი ფრონტის მიმართ მოქმედებათა სურათს: როდესაც ერთი მხარე განლაგებულია დასაცავ ობიექტზე და აწარმოებს თავდაცვას, ხოლო შემტევი მხარე გადავა შეტევაზე. ასეთ შემთხვევაში მას ექმნება შესაძლებლობა ან შეუტიოს ფრონტალურად ან აირჩიოს მანევრი. მეორე ვარიანტის შემთხვევაში ჟომინი თვლის, რომ ეს მანევრი იქნება დროებითი ხასიათის, რომელიც გადაუხვევს საერთო ოპერაციული ხაზიდან[23].

---

[21] სამეთაურო საშტაბო კოლეჯი_ „ომის ტეორია და ბუნება“ გვ.109

[22] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.232

[23] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.232

როდესაც ოპერაციული ხაზი გაწელილია და ამავე დროს მოწინააღმდეგე იმყოფება ჩვენს სიახლოვეს ამ შემთხვევაში ხდება ერთგავრი რისკების გაწევის აუცილებლობა ასეთ ვითარებაში აუცილებელია განისაზღვროს შეტევის აუცილებლობა მოწინააღმდეგის მეორეხარისხოვან ძალებზე, რომლებმაც შესაძლოა ხიფათი შეუქმნან საკუთარ ძალებს. იმ შემთხვევაში თუ გადაწყდება, რომ შეტევა აუცილებელია, საჭირო ხდება ძალების გაყობა, შესაბამისად ჩნდება ახალი საოპერაციო ძალები და საჭიროა იმის დადგენა, თუ რომელ მიმართულებაზე რა რაოდენობის ძალებია საჭირო. უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს მხოლოდ კონტროლი აღნიშნული ძალებისა. სტრატეგია ჟომინისთან. სტრატეგიას ჟომინი შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„მე განვსაზღვრე სტრატეგია, როგორც რუკაზე ომის გაძღოლის ხელოვნება, როგორც ხელოვნება, მოიცვა ომის მთელი თეატრი. ტაქტიკა არის ადგილზე ბრძოლის ხელოვნება, ხელოვნება განალაგო ძალები ადგილობრივი პირობების შესაბამისად და ჩართო ბრძოლაში, ბრძოლის ველის სხვადასხვა პუნქტებში, ანუ 1620 კილომეტრის მომცველ სივრცეზე, სადაც მათ შეუძლიათ ბრძოლის განმავლობაში მიიღონ და შეასრულონ ბრძანებები“[24].

ჟომინის მოსაზრებით სტრატეგია არის ნებისმიერი ჩანაფიქრი მთლიანად ომის მოქმედებათა თეატრში, რომელიც გამოხატულია შემდეგ ამოცანებში:

- განისაზღვროს თეატრის ხასიათი და ის სხვადასხვა კომბინაციები, რომელიც ამ ხასიათიდან შეიძლება გამომდინარეობდეს;
- მუდმივი ბაზისა და ოპერატიული ზონის არჩევა და მოწყობა;
- თავდაცვის ან შეტევის ობიექტის არჩევა;
- თეატრის გადამწყვეტი პუნქტების (საკვანძო წერტილების) დადგენა;
- ოპერატიული ფრონტების და თავდაცვითი ხაზების განსაზღვრა;
- ოპერატიული ბაზებიდან შეტევის ობიექტისაკენ ან ოპერატიული ფრონტებისკენ მიმავალი ოპერაციული ხაზების განსაზღვრა;

[24] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.234

- განისაზღვროს მოცემული ოპერაციისათვის საუკეთესო სტრატეგიული ხაზი; აუცილებელია აგრეთვე განისაზღვროს სხვადასხვა მანევრები ,რათა ეს ხაზები სხვადასხვა კომბინაციებით იქნეს გამოყენებული;
- დროებითი ოპერატიული ბაზები და სტრატეგიული რეზერვები;
- განისაზღვროს არმიის მარშები; ეს უკანასკნელნი გააზრებულ უნდა იწქნენ, როგორც მანევრები;
- განისაზღვროს მაღაზიები და მათი მიმართება მანევრირებად არმიასთან;
- განისაზღვროს ციხე-სიმაგრეები, როგორც სტრატეგიის საშუალებები, როგორც არმიის თავშესაფრები ან მისი მარშებისთვის ხელისშემშლელები; ალყები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ციხე-სიმაგრეების მიმართ და ამ ალყებიდან თავდაცვის საშუალებები;
- გამაგრებული ბანაკები და სხვა გამაგრებები;
- დემონსტრაციები მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით;
- შერეული ოპერაციები კამპანიის საწყის ეტაპზე. შერეული ნიშნავს, რომ ისინი საერთო ხელმძღვანელობის თვალსაზრისით სტრატეგიას განეკუთვნებიან, მაგრამ განხორციელების თვალსაზრისით ტაქტიკას.

ჟომინისთვის სამხედრო ხელოვნების მეორე ელემენტი არის ტაქტიკას. ამ უკანასკნელს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „არმიის მანევრირება შეტაკების ან ბრძოლის დღეს, აგრეთვე იმ განსხვავებულ მწყობრთა ერთობლიობა, რომლითაც უნდა გაუძღვე ჯარებს შეტევაში“. და ბოლოს, ჟომინი სამხედრო ხელოვნების მესამე ელემენტად გამოყოფს ლოჯისტიკას, თუმცა მისეული გაგებით ლოჯისტიკა გულისხმობს:“ლოგისტიკა ანუ არმიის გადაადგილების პრაქტიკული ხელოვნება: სალაშქრო გადაადგილებების პრაქტიკული ხელოვნება: სალაშქრო მოძრაობების, საბრძოლო მწყობრების, დასასვენებლად ან „კვარტირებად“ განთავსების ტექნიკური დეტალები, ერთი სიტყვით - სტრატეგიული და ტაქტიკურ სტრატეგიული და ტაქტიკური ჩანაფიქრების განხორციელება“. აღნიშნული განმარტება ნამდვილად არ შეესაბამება ტერმინი ლოჯისტიკის თანამედროვე მნიშვნელობას, თუმცა, როგორც ჩანს ჟომინის გაგებამ რეალური გავლენა მოახდინა სამხედრო აღმშენებლობაზე. ჟომინი ტაქტიკის ელემენტების შესახებ :

- თავდაცვითი ბრძოლებისათვის პოზიციებისა და მიჯნების შერჩევა.
- ბრძოლისას აქტიური თავდაცვა;
- სხვადასხვა საბრძოლო მწყობრები და ძირითადი მანევრები მოწინააღმდეგის ძალებზე შეტევისათვის;
- მარშზე მყოფი ორი არმიის შეტაკება ან შემთხვევითი ბრძოლა;
- მოულოდნელობა საარმიო მასშტაბით;
- ჯარების გაწყობა ბრძოლის წინ;
- გამაგრებული პოზიციებისა და ბანაკების შეტევა; • მოულოდნელი თავდასხმა;

დანარჩენ სამხედრო მოქმედებებს ჟომინი ახასიათებს, როგორც მცირე ომის დეტალებს.

ჟომინი სტრატეგიის პრინციპების შესახებ. როგორც ყველა თეორიტიკოსი ასევე ჟომინი გამოყოფს სტრატეგიის პრინციპებს რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- მისი შეხედულებით პირველი პრინციპი არის მთლიანად ომის მოქმედებათა თეატრში ძალების თანმიმდევრული გადაადგილება.
- მანევრის განხორციელება მოწინააღმდეგის შედარებით მცირე ძალებთან და არა მთელ არმიასთან.
- ბრძოლის ველზე მთავარი ზალების მიმართვა პუნქტისკენ რომლის დაკავება აუცილებელია არსებული ვითარებიდან გამომდინარე.
- მოქმედებები რომლის დროსაც მოწინააღმდეგის საკუთარი ძალები ერთვება ბრძოლაში არა ნაწილ-ნაწილ არამედ ერთობლივად.

ჟომინი შეტევით და თავდაცვით ოპერაციებზე. მისი აზრით ომის დასაწყისში ხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორი ტიპის ოპერაციები უნდა აწარმოოს მხარემ.იგი გამოყოფს ორივე სახის ოპერაციათა დადებით და უარყოფით შედეგებს. ხოლო არჩევან მათ შორის აკეთებს უპირატესი ძალებიდან ან დამარცხებიდან გამომდინარე.

შეტევითი ოპერაცია მისი აზრით მომგებიანია როგორც პოლიტიკური ისე მორალური თვალსაზრისით. შეტევისას ხდება საბრძოლო მოქმედებების გადატანა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, საკუთარი ტერიტორიის ხელყოფის თავიდან აცილება, უმცირებს დამცველ მხარეს რესურსებს და ზრდის შემტევი მხარის

უზრუნველყოფის საშუალებებს. რაც შეეხება შეტევის უარყოფით მხარეებს ჟომინი აღნიშნავს რომ შეტევის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ღრმა შეჭრისას იზრდება ოპერაციული ხაზი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს. ასევე იზრდება საფრთხე მტრულად განწყობილი საზოგადოების.თუმცა ჟომინი შეტევას გარდაუვალ ქმედებად მიიჩნევს იმ შემთხვევისთვის როდესაც საჭიროა მოწინააღმდეგის ძალების განადგურება და საკუთარი მიზნების მიღწევა. შეტევის გარეშე კი დადებითი შედეგი შეუძლებელია.

რაც შეეხება თავდაცვას იმ შემთხვევაში ხდება როდესაც მხარეს გააჩნია შედარებით სუსტი ძალები ან მარცხი განიცადა მნიშვნელოვან ბრძოლაში. თუმცა ჟომინის მოსაზრებით კომბინირებულ და კარგად მომზადებულ თავდაცვას შეუძლია მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს ხელი შეუშალოს. თავდაცვა არ გულისხმობს მხოლოდ თავდაცვითი ოპერაციების წარმოებას. იგი ასევე მოქმედებს კონტრშეტევებზე მოწინააღმდეგის ცალკეულ რაზმებზე, მათი შეწუხების და მოქანცვის მიზნით. მანამ სანამ მოწინააღმდეგე იქამდე არ დასუსტდება რომ უარი თქვას შეტევაზე.

ჟომინი სტრატეგიული პუნქტების სესახებ.ჟომინი სტრატეგიულ პუნქტებს ყოფს სამ სახედ:

- გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით
- მოწინააღმდეგის ძალების განლაგებიდან და შესაბამისად მასზე მოქმედების ჩანაფიქრიდან.
- გადამწყვეტ სტრატეგიულ პუნქტებად, რომლებსაც წინა ორი მათგანიდან განსხვავებით წარუვალი მნიშვნელობა აქვთ.

მისი აზრით გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტი არის ის წერტილები რომლის კონტროლსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი კამპანიის განმავლობაში ესენი შეიძლება იყოს სავაჭრო და სამხედრო გადაადგილების რამდენიმე მარშუტების ერთდოულ გადაკვეთისწერტილს და ა.შ.

ობიექტური პუნქტების შემთხვევაშიც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც გადამწყვეტი პუნქტებისას: ანუ არსებობენ მუდმივი და ფუნქციონალური (მანევრული) ობიექტური პუნქტები. როგორც ითქვა ასეთ გადამწყვეტ ობიექტურ პუნქტს წარმოადგენს დედაქალაქი ან მისი სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიული

ტერიტორია. ამას გარდა ობიექტური პუნქტი (ანუ შეტევის სამიზნე) შეტევითი ომისას შეიძლება იყოს, რომელიმე ოპერატიული ფრონტი (ამ ტერმინში ჟომინი ჩანს გარკვეულ პოზიციას გულისხმობს), რომელიც მოწინააღმდეგის მთავარ ბაზას წარმოადგენს და რომელზეც მდებარეობს რამდენიმე ციხე-სიმაგრე რომელთა კონტროლი მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპირების საშუალებას იძლევა[25].

ასევე ჟომინი ასახელებს კონსტანტურ,სუბსტანციონალურ გადამწყვეტ წერტილს, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციების გადაკვეთის წერტილს ასეთიმნიშვნელობის პუნქტებს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქი, რომელბიც ძირითადად განლაგებულია რამდენიმე კომუნიკაციური ქსელის გადაკვეთაზე.

ჟომინის მიხედვით ბრძოლის ველის გადამწყვეტ პუნქტებს სამი სახის ფაქტორები განსაზღვრავენ:

- ადგილმდებარეობის ხასიათი;
- სტრატეგიული ჩანაფიქრი;
- ორივე მხარის დაჯგუფებების ხასიათი;

ჟომინი ოპერაციულ ზონას უწოდებს საბრძოლო მოქმედებათა თეატრის გარკვეულ მონაკვეთს, რომელზეც არმია გადაადგილდება გარკვეული ობიექტისაკენ, რომელიც ოპერაციის მიზანს წარმოადგენს. თეატრის თავისებურებებიდან (ადგილმდებარეობის კონფიგურაცია, კომუნიკაციების ხასიათი და ა.შ.) შეიძლება მასზე მოქმედ არმიას მხოლოდ ერთ ოპერაციულ ხაზს უდგენდეს. თუმცა ჟომინის აზრით ასეთი შემთხვევები იშვიათია. ჩვეულებრივ ოპერაციული ზონა რამდენიმე ოპერაციული ხაზს იძლევა, რომელთა რაოდენობა ნაწილობრივ მხედართმთავრის ჩანაფიქრით განისაზღვრება, ხოლო ნაწილობრივ ადგილმდებარეობით. მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს ყოველი გზა თავისთავად წარმოადგენს ოპერაციულ ხაზს. ცხადია გარემოებების და მიხედვით ნებისმიერი ვარგისი გზა, რომელსაც მოწინააღმდეგე არ აკონტროლებს, დროებით შეიძლება იქცეს ოპერაციულ ხაზად. მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს გზა იქცევა ჭეშმარიტ ოპერაციულ ხაზად ,თუგინდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხედართმთავრის გეგმიდან გამომდინარე იგი შეიძლება

[25] „სტრატეგიის საფუძვლები"_კახა კაციტაძე გვ.239

მეორეხარისხოვან მიმართულებაზე აღმოჩნდეს. ამასთან სამი ან ოთხი ვარგისი გზა, რომელთაც ერთსადაიმავე ოპერაციულ ფრონტამდე მივყავართ სამ სხვადასხვა ოპერაციულ ხაზს არ წარმოადგენენ. სხვაგვარად, ოპერატიული ხაზების ოდენობას განსაზღვრავს იმ ოპერაციული ფრონტების ოდენობა, რომლებზეც ამ კომუნიკაციურ ხაზებს გავყავართ. ანუ, ერთ ოპერაციულ ფრონტზე გამავალი სამი გზა სამს კი არა, მხოლოდ ერთ ოპერაციულ ხაზს შეადგენს.

ოპერაციული ხაზი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ სივრცეს, რომელიც საკმარისია იმისათვის რათა ცენტრი და ორივე ფრთა გადაადგილდნენ ოპერაციული ფრონტისაკენ. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ აღნიშნული სივრცის ფარგლებში ამ ფრონტისაკენ მიმავალი სულ მცირე, სამი ან ოთხი ვარგისი გზა არსებობს.

ოპერაციული ხაზის ეფექტიანობის კრიტერიუმს ჟომინი ასე განსაზღვრავს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ოპერაციული ხაზი, რომელსაც წარმატებისკენ მივუყვანივართ, აკმაყოფილებს ძირითად პრინციპს, მარტივ და შინაგანს ხაზებს ის ფუნქცია აქვთ, რომ უმნიშვნელოვანეს პუნქტთან სტრატეგიული მანევრის საშუალებით თავი მოვუყაროთ უფრო მეტ დივიზიებს და შესაბამისად უფრო დიდ მასას ვიდრე ეს მოწინააღმდეგეს შეუძლია. ყველა წარუმატებელ ოპერაციულ ხაზს ამ პრინციპის საპირისპირო თვისებები ახასიათებს, ვინაიდან რთულ ოპერატიულ ხაზებს ახასიათებთ ის, რომ კონცენტრირებულ მასას რომელიც ამ ხაზების მომხმარებელს უნდა შეეჯახოს უპირისპირებს სუსტ და იზოლირებულ ნაწილებს“.[26]

ჩვენს თემაში, ჟომინის თეორიის ბოლო და თანამედროვე პერიოდის ყველაზე აქტუალური საკითხი ეს არის „შორეული ექსპედიცია“. ამ ტერმინით ჟომინი აღწერს ნებისმიერი სახის მსხვილმასშტაბიან ოპერაციას ეროვნული ტერიტორიიდან შორი მანძილის მოშორებით, როგორც სახმელეთო ასევე საზღვაო ოპერაციების სახით[27]. ასეთი ოპერაციის მაგალითად კაციტაძეს მოყავს ნაპოლეონი ლაშქრობა რუსეთში 1812

[26] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.245

[27] „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე გვ.249

წელს და ასევე ჰანიბალის მიერ ალპების გადალახვის შემდეგ რომზე შეტევა. ჟომინი გამოყოფს შორეული ექსპედიციის ხუთ სახეს:

- მოქმედება, როდესაც საექსპედიციო დაჯგუფება მოკავშირის დასახმარებლად კონტინენტურ თეატრზე იბრძვის.
- მსხვილი კონტინენტური შეჭრები და შემოსევები. ამის მაგალითია მონღოლების ან თემურ ლენგის ლაშქრობები.
- მეორე ტიპის მსგავსი ლაშქრობები,იმ განსხვავებით რომ ისინი კომბინირებულ საზღვაო სახმელეთო ხასიათს ატარებენ.
- ზღვისიქითა ექსპედიციები, რომელთა ამოცანაა შორეული კოლონიების მოპოვება ან დაცვა.
- მსხვილი, სტრატეგიული დესანტი, რომელიც მიმართულია დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ჟომინის შორეული ექსპედიცია ჩვენ ამით არ ამოგვიწურავს რადგან ბოლო თავში განვიხილავთ ამ სამხედრო მოქმედების თანამედროვე მოდელებს და მათ მიზნებს აგრეთვე შევეცდებით ვაჩვენოთ განსხვავებები ჟომინის ძირითადი თეორიიდან თანამდეროვე ოპერაციებთან მიმართებაში თუ რათქმა უნდა გამოიკვეთება.

თავი III

კლასიკური სამხედრო სტრატეგიების რეალიზება და ასახვა თანამედროვე გეოსტრატეგიული მოდელირების დონეზე

თანამედროვე უსაფრთხოების სისტემა არ გვაძლევს საშუალებას შევწყვიტოთ ფიქრი სამხედრო სფეროში. ისევე როგორც ვერ უგულებელვყოფთ თანამედროვე

ომებში კლასიკური სამხედრო სტრატეგიების გავლენას და მის არსებობას.მიუხედავათ არსებითი ცვლილებებისა სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაში ძირითადი პრინციპები მაინც უცვლელი დარჩა, რომელ პრინციპებსაც აღიარებდნენ სამხედრო თეორიის კლასიკოსები. აშკარაა ის ფაქტი, რომ თანამედროვე კონფლიქტებმა შეიცვალა ხასიათი და ფორმა, მაგრამ აქვე შენიშვნას მოითხოვს ერთი გარემოება: ლოკალური მცირე მასშტაბიანი ომები, არათანაბარი ძალთა თანაფარდობით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ფართომასშტაბიანი თანაბარი ძალის მქონე ომისგან. ამით შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ასეთი ფართომასშტაბიანი ომების ძალზედ მცირე მაგალითები გვაქვს. გამომდინარე იქიდან რომ ხმელეთი წარმოადგენს ჩვენს საბოლოო მიზანს და მომავალი ძნელად პროგნოზირებადია სახელმწიფოები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ადგენენ სტრატეგიებს და გეგმებს რომელიც მნიშვნელოვნად ეყრდნობა სწორედ ომის კლასიკურ მიდგომებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფოები კვლავ ითვალისწინებენ ადგილმდებარეობის ფაქტორს, სავარაუდო დაპირისპირების ხასიათს. თანამედროვე ომის კომპლექსურობიდან გამომდინარე არასდროს ყოფილა კოორდინაციული მოქმედებები არმიის სხვადასხვა სახეობებს შორის ისეთი რთული და ამავდროულად საჭირო როგორც დღეს. არასდროს ყოფილა ძალთა დაძაბვა ისე აუცილებები, როგორც ახლა, რადგან რაიმე კომპონენტში ხარვეზი დღეს უკვე უდიდესი პრობლემაა. აქედან გამომდინარე ჩვენ ამ თავში განვიხილავთ კლასიკური სამხედრო აზროვნების ტრანსფორმაციას და თანხვედრას თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებში,გეგმებში და უკვე ჩატარებულ სამხედრო მოქმედებებში.

3.1 კლაუზევიცის სამხედრო თეორიების გავლენა აშშ-ს თანამედროვე სტრატეგიებზე

როგორც აქამდე აღვნიშნეთ ომის საწარმოებლად არ კმარა მხოლოდ საშუალებები. რაც არ უნდა დიდი ძალა და შეძლება გააჩნდეს სახელმწიფოებს თუ გონივრულად არ გამოიყენა არაფრის მომტანი არ იქნება მისთვის ეს ძალა. თავდაპირველად უნდა შეისწავლო ომის ხელოვნება, რომ ისწავლო, როგორ გამოიყენო ხელთ არსებული საშუალებები. რატომ დავუკავშირეთ კლაუზევიცის

თეორია აშშ-ს თეორიას? ისევე როგორც კლაუზევიცი ხედავდა ომის ტაქტიკის და სტრატეგიის პრინციპებს, დღეს მეტ წილად ამერიკაც ასეთ მოქმედების პრინციპს ირჩევს.ამის დასასაბუთებლად შეგვიძლია განვიხილოთ აშშ-ს ის სამხედრო მოქმედებები, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში ცივი ომის შემდგომ განხორციელდა.თავდაპირველად რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება არის ის, რომ ამერიკისთვის ომი ყოველთვის გამომდინარეობს პოლიტიკის მიზნებიდან ამით დასაწყისშივე ეთანხმება კლაუზევიცს, რომ „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება“[28].ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ კლაუზევიცი შინაგანად არ იყო ისეთი დაუნდობელი და სისხლისღვრის მოყვარული, თუმცა იმას ნამდვილად აღიარებს რომ ომში კეთილმოსურნეობა უდიდესი შეცდომაა, ზოგიერთ კაცთმოყვარეს წარმოუდგენია, რომ შესაძლოა ხელოვნური გზით, განსაკუთრებული სისხლისღვრის გარეშე დაარბიო და დაიპყრო მოწინააღმდეგე. ეს სამხედრო ხელოვნებით უნდა იყოს შესაძლებელი. ეს მაცდუნებელი აზრია და შეცდომაში შევყავართ, ამიტომ ეს აზრი
უნდა გავფანტოთ.“[29]

.იგი ომს უწოდებს ძალადობის აქტს და მისთვის აღნიშნული ძალადობა მიზანშეწონილია.ასე რომ თავისუფლად შეგვიძლია განვიხილოთ აშშ-ს მიერ II მსოფლიო ომში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღის გამოყენება იაპონიის წინააღმდეგ.

ახლა მინდა კიდევ ერთხელ დავუბრუნდე კლაუზევიცის მიდგომას სტრატეგიის პრინციპების შესახებ.მისი აზრით ომის წარმოებისას მხარეები სამი ძირითადი ამოცანის წინაშე დგანან: პირველი ეს არის მოწინააღმდეგე ძალების განადგურება, მეორე ხელთ იგდო მოწინააღმდეგის არსებობის წყაროები და მესამე შენს სასარგებლოდ განაწყო საზოგადოებრივი აზრი. ამის შესაბამისად განვიხილოთ რა არის აშშ-ის ძირითადი ამოცანები საომარ კამპანიებში. ავიღოთ აშშ-ს სამხედრო მოქმედებები ავღანეთში[30].

როგორც ვიცით 2001 წლის 11 სექტემბერი იყო ურთულესი თარიღი ამერიკელების

[28] კარლ ფონ კლაუზევიცი-„ომის შესახებ“ წიგნი II
[29] კარლ ფონ კლაუზევიცი-„ომის შესახებ“ წიგნი I
[30] კახა კაციტაძე-„სტრატეგიის საფუძვლები“ გვ256

ისტორიაში. ამ დღეს განხორციელებული ტერაქტის შემდგომ ერთ თვეში 2001 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც თალიბებმა უარი თქვეს ამერიკისთვის ბინ ლადენისა და ალ-ქაიდას სხვა წევრების გადაცემაზე, შეერთებულმა შტატებმა ავღანეთზე შეტევა დაიწყო მოკავშირეებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში მე-5 მუხლის ამოქმედების პირველი შემთხვევაა. მე-5 მუხლის მიხედვით, ალიანსი, მის რომელიმე წევრზე თავდასხმას, ალიანსის ყველა წევრზე თავდასხმად განიხილავს.ნატოს შეტევამ თალიბებს ქვეყანაზე ფორმალური კონტროლი დააკარგვინა. ისინი იძულებულნი გახდნენ, ქალაქები დაეტოვებინათ. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდნენ. ამერიკულ და მის მოკავშირეების საბრძოლო ტექნოლოგიებს იოლად შეუძლია ძალის ნებისმიერი კონცენტრაცია გაანადგუროს ჰაერიდან და ხმელეთიდან.ავღანეთი გადავიდა პარტიზანული ტიპის სამხედრო მოქმედებებზე.რას წარმოადგენდა კოალიციის ძირითადი ამოცანა: პირველი ეს იყო ავღანური პარტიზანული ძალის განადგურება ამისათვის ისინი არ ერიდებოდნენ კოალიციის საკმარისი ძალებით შევსებას. 2009 წლის აგვისტოში ამერიკელმა გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა, რომელიც ნატოს ჯარებს ხელმძღვანელობდა ავღანეთში, განაცხადა, რომ კოალიციის ავღანურმა მისიამ შესაძლოა მარცხი იწვნიოს, თუ შეერთებული შტატები და ნატო არ განახორციელებენ ახალ ანტიპარტიზანულ სტრატეგიას, რომელსაც ზურგს დამატებით 80 000-მდე ამერიკელი ჯარისკაცი გაუმაგრებს. დასაწყისისთვის გენერალმა 40 000 ჯარისკაცი მოითხოვა. მანვე აღნიშნა, რომ სწორი სტრატეგიის შემთხვევაში ამერიკა და მისი მოკავშირეები შეძლებენ თალიბებთან და ალქაიდასთან ბრძოლაში გამარჯვებას.ამის საფუძველზე პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოქმედებამ არ დააყოვნა და 3 თვის შემდეგ ავღანეთში გაგზავნა 30000 მდე სამხედრო მოსამსახურე.მეორე ამოცანას ამერიკელებისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავება როგორიცაა დედაქალაქი, მნიშვნელოვანი ქალაქები, მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების ადგილსამყოფელი, რომელიც შეიძლება წყარო გამხდარიყო მოწინააღმდეგე ძალებისთვის. ამ ამოცანით ამერიკელები მიიღებდნენ საკმარის სივრცეს შემდგომი ამოცანის შესასრულებლად.მესამე ამოცანა ეს იყო საზოგადოების განწყობა თავის სასარგებლოდ. ერთია, რომ ამერიკელების მცდელობა გადასულიყვნენ

სტაბილურობის ოპერაციებზე და გადაებარებინათ ადგილობრივი მთავრობისთვის კონტროლი შეამცირებდა მათ მიერ გაწეულ ხარჯებს, თუმცა აგრეთვე ადგილობრივი ლეგიტიმური ხელისუფლებისთვის მხარდაჭერა სახელმწიფო ინსტიტუტების ორგანიზება (რომელზეც თანხმობას აცხადებდნენ დიდი ბრიტანთი, გერმანია, იაპონია და რაღა თქმა უნდა აშშ, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ავღანელთა სამხედროების გაწვრთნა), ქმნიდა დადებით განწყობას საზოგადოებაში, როგორც ავღანეთში ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. თავდაპირველად აღნიშნული გეგმები საკმაოდ წარმატებით განხორციელდა პირველ და მეორე ამოცანის კუთხით, თუმცა ღარიბი და დაბალი განათლების მქონე ავღანეთი არ აღმოჩნდა მზად გადაებარებინა მმართველობა და თავად ემართა ქვეყანა, ამიტომ როგორც უკვე აღვნიშნეთ შემდგომ წლებში კვლავ გააქტიურდა თალიბანი და საჭირო გახდა ხელახალი ძალისხმევა მათ წინააღმდეგ.უახლესი მდგომარეობა კი კვლავ მოითხოვს იგივე პროცედურების თანმიმდევრობით შესრულებას, რომელიც ამერიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა. შეიძლება ითქვას რომ მან დაიწყო კვლავ პირველი ფაზის შესრულება, რომელიც გულისხმობს ძალების განადგურებას. ეს კი აღნიშნულია ამერიკის 2018 წლის სტრატეგიაში ავღანეთის წინააღმდეგ.

ახლა მინდა განვიხილოთ ამ მიზნების მიღწევის უმთავრესი პრინციპები კვლავ კლაუზევიცის მაგალითზე.მისი აზრით პირველი პრინციპი მდგომარეობს ძალების მაქსიმალურ დაძაბვაში. თუ დავუკავშირებთ ამ პრინციპს ამერიკას-ავღანეთის ოპერაციებში მაშინ უნდა მოვიყვანოთ პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადება, რომელიც დაგვარწმუნებს იმაში რომ ამერიკა იყენებს ყველა საშუალებას რაც საჭიროა. „ჩვენ ვიბრძოლებთ ჰაერში, ბარში, მთაში - 18 თვის განმავლობაში. შემდეგ ჩვენ სახლში დავბრუნდებით... იმიტომ, რომ მე საკუთარი ქვეყნის შენება მაინტერესებს". რაც შეეხება მეორე პრინციპს ეს არის ძალების თავმოყრა იქ სადაც მთავარი დარტყმაა მოსალოდნელი. არ დაგვავიწყდეს რომ ავღანეთის წინააღმდეგ ომი ეს იყო ატლანტიკური ალიანსის ერთობლივი მოქმედება და შეიძლება ითქვას, რომ დიდი რაოდენობის ძალების თავმოყრა მოხდა ამ კამპანიის პერიოდში და ასევე დღესაც შენარჩუნებულია იგივე მდგომარეობა.რაც შეეხება მესამე პრინციპს ეს არის დროული მოქმედებები. ფაქტიურად, აღნიშნული კონფლიქტის საწყისი ეტაპი სწორად

მიმდინარეობდა, თუმცა როგორც უკვე ავღნიშნეთ ვერ მოხდა საბოლოო მიზნის მიღწევა, რომელიც გულისმობდა მმართველობის გადაბარებას ადგილობრივებისთვის. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ აღნიშნული კონფლიქტის გაჭიანურება სწორედ ამან განაპირობა.ბოლო, მეოთხე პრინციპი ეს არის წარმატების გამოყენება.ცხადია,რომ კონფლიქტი დღესაც აქტიურ ფაზაშია მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი კონვენციური დაპირისპირება ორ მოწინააღმდეგეს შორის.ეს არის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა რომელიც ყველაზე რთულ ოპერაციებს წარმოადგენს თანამედროვე სამყაროში[31].

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ აღნიშნული მაგალითის განხილვა მივიღებთ, რომ კლაუზევიცის მიხედვით ომის მთავარი მიზნების შესაბამისად აშშ პრაქტიკულად იყენებს ამგვარ სტრატეგიას თანამედროვე ოპერაციებში.შესაძლოა დავის საგანი იყოს ამერიკის და მთელი კოალიციის მიზნების მიღწევა ავღანეთთან მიმართებაში, თუმცა გამოყენებული სტრატეგია არ წარმოადგენს ამერიკისთვის პირველ მცდელობას ამის მაგალითები მრავლადაა ახლო წარსულიდან.

ამერიკის თანამედროვე სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიის უკეთესად წარმოჩენისთვის შესაძლოა განხილულ იქნეს მისი და მთლიანად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მოქმედება სერბეთის წინააღმდეგ, სადაც კოალიცია წინ აღუდგა სერბეთის მხრიდან განხორციელებულ ეთნიკურ დანაშაულებებს. 1997-99 წლებში ალბანური შეიარაღებული ამბოხის შემდგომ ნატო-მ 78 დღიანი თავდასხმა განახორციელა იუგოსლავიაზე რათა კოსოვოს ომი შეეჩერებინა.1999 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე ნატოს ძალები იძულებული გახდნენ დაებომბათ იუგოსლავია, რათა მილოშევიჩს შეიარაღებული ძალები კოსოვოდან გაეყვანა.ამ კამპანიაში ნატოს მთავარ მიზნებს წარმოადგენდა: კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება და სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში. ამ კამპანიაში ალიანსის მხრიდან გამოყენებული იქნა საჰაერო შეტევები რომლითაც ფაქტიურად აიძულეს მილოშევიჩი დაეთმო პოზიციები. მიუხედავად სამხედრო ძალის გამოყენებისა და შემდგომი პოლიტიკური შედეგებისა კოალიციამ მაინც მოახერხა

[31] კახა კაციტაძე-„სტრატეგიის საფუძვლები“ გვ257

საზოგადოებრივი განწყობის მოპოვება თავის სასარგებლოდ.ნატო-ს საშუალება მიეცა ალიანსის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანიც ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება გახლდათ.მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა,როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა და მორალური ფასეულობების დაცვის პრინციპები არსებულსაერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა.ამ მოქმედებებით ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები მყარად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად.ამგვარად, ნატო თავის მოქმედებაში საერთაშორისო სამართალზე მაღლა მორალურ საწყისს და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს ანიჭებს უპირატესობას. საბოლოოდ შეიძლება შევაჯამოთ აშშ-ს სამხედრო პოლიტიკური მოქმედებები. არასოდეს ასე ნათლად არ გამოყენებულა შეიარაღებული ძალები პოლიტიკის იარაღად. რომელიც აშკარაა თანამედროვე კონფლიქტების სახით. აშშ-ს მიერ ჩატარებულ ოპერაციებში იკვეთება რამდენიმე მთავარი ამოცანა და მიზანი.მათგან შეიძლება განვასხვაოთ სამხედრო და პოლიტიკური.სამხედრო მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ძალების მაქსიმალური კონცენტრაციით, ოპერაციის ტემპით, ძალთა მაქსიმალური დაძაბვით,უახლესი ტექნოლოგიების გამოცდაგამოყენებით,ზეზუსტი იარაღის გამოყენებით, ე.წ. „ქირურგიული ოპერაციებით“ და წერტილოვანი მიზნობრივი დარტყმებით, მოხდეს მოწინააღმდეგის ძალთა ნეიტრალიზება და გადამწყვეტი მნიშვნელობის პუნქტების დაკავება.პოლიტიკურ მიზნებს წარმოადგენს აშშ-ის და ზოგადად ატლანტიკური ალიანსის ავტორიტეტის გაზრდა, დემოკრატიის და მისი ფასეულობების დაცვა და ყველაზე მთავარი, როგორც განხილული მაგალითებიდან დავინახეთ, ეს არის საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვება.

3.2 ბიულოვის სამხედრო თეორიული მიდგომების ასახვა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში

როგორც უკვე ავღნიშნეთ თანამედროვე რუსეთის გეგმები როგორც სამხედრო ასევე სხვა ნებისმიერ სფეროში მეტად მზარდი და კომლექსურია. განსხვავებით მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულისა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი

მეტად მოწყვლადი იყო დასავლეთის პოლიტიკისთვის. ახალმა საუკუნემ სულ სხვა რეალობა მოიტანა ამ კუთხით.იმის გათვალისწინები რომ რუსეთის ტერიტორია (17,1მლნ/კვ² ფართობით) მდიდარია ბუნებრივი რესურსებით მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთის გაძლიერებაში და ეს ძლიერება განსაკუთრებით ეხება სამხედრო სფეროს და იმ რუსულ პროპაგანდის მანქანას რომელიც უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა სივრცით."ფიქრი იმისა, რომ რუსეთის გამოწვევა მხოლოდ შიდა რეპრესიასა და მისი მეზობლების-საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიით შემოიფარგლება, მცდარია.კრემლის მიერ, პარალელური ინსტიტუტების შექმნა, მთავრობის მიერ კონტროლირებადი სამოქალაქო საზოგადოება, პროპაგანდის მანქანა, მედია ტექნოლოგიები,რეალისტური, მაგრამ დაკორატიული არჩევნები, აქამდე აღიქმებოდა, როგორც მხოლოდ რუსული პროექტი,თუმცა კრემლი ცდილობს რეალობის ეს ვერსია დემოკრატიულ მსოფლიოში გაავრცელოს" [32] ,-ნათქვამია ფრიდომ ჰაუსის კვლევაში.თუ დავაკვირდებით თანამედროვე რუსეთის მოქმედებებს დავინახავთ აღნიშნული კვლევის სისწორეს.

ამ თავში ჩვენს განსახილველი გვაქვს რუსეთის სამხედრო გეგმების და სტრატეგიების თანამედროვე მოდელი სწორედ ამიტომ მიგვაჩნია რომ აღნიშნული სფერო უნდა განვიხილოთ რამდენიმე კუთხით რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ თანამედროვე რუსეთი აღარ წარმოადგენს მხოლოდ ხისტ სამხედრო ძალას მან დაიწყო ერთგვარი კომლექსური მიდგომა საგარეო პოლიტიკაში და მასში საბრძოლო მოქმედებები წარმოადგენს არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ საშუალებას.

თანამედროვე სამხედრო სფეროში გაჩნდა ე.წ. „ჰიბრიდული ომის" ცნება რომელიც მეტად რთული საწარმოებელია სახელმწიფოებისგან თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ამ მოვლენას სწორედ რუსეთმა შესანიშნავად აუღო ალღო. ჰიბრიდულ ომი ეს არის ის ფენომენი რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ პირველ თავში. ეს არის ახალი მეოთხე თაობის ომის ხასიათი. ჰიბრიდული ომი ეს არის „ფიზიკური და ფსიქოლოგიური, კინეტიკური და არაკინეტიკური,საომარი და არასაომარი კონცეფციების კონვერგენცია". ჰიბრიდული ომი სულ ბოლო წლებში აღმოცენებული ცნებაა მის

[32] http://cyc.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/

ყველაზე ზუსტ და რეალურ განსაზღვრებას გვაძლევს ფრენკ ჰოფმანი. მისი აზრით ჰიბრიდული საფრთხეებია რომელიც წარმოადგენს რეგულარული და არარეგულარული საშუალებების,ფარული და ღია ქმედებების,უსაფრთხოებისთვის ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების კომბინაციას და ამასვე უნდა დაემატოს და ყურადღება მიექცეს არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობის ზრდას. ჰიბრიდული ომის საბოლოო განმარტებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ეს ისეთი მოვლენაა რომელიც მიმართულია სტრატეგიული ამოცანების მიღწევაზე ფიზიკური კონტაქტის გარეშე.

თანამედროვე რუსეთის სტრატეგიული ხედვების ყველაზე ნათელი მაგალითი გვაჩვენა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. ჰიბრიდული ომი საბრძოლო მოქმედებებამდე ბევრად ადრე იწყება.სწორედ ასე მოხდა 2008 წელს საქართველოში. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო დაძაბულობა, პროვოკაციები და სხვადასხვა ინციდენტები, რომლის საბოლოო მიზანიც სწორედ საქართველოს ომში ჩათრევა იყო. ამ კონფლიქტში საუკეთესო შედეგი აჩვენა სწორედ ასეთმა ტაქტიკამ რუსეთის საბოლოო მიზნებისთვის, თუმცა ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით მის უშუალო საბრძოლო მოქმედებებზე.რომელსაც შემდგომში უკეთესად შევეხებით.

ჰიბრიდული ომის პრინციპები რომ საუკეთესოდ მოირგო რუსეთმა და ახორციელებს ეს ჩანს სხვადასხვა კამპანიებში.ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი განსხვავება ევროპისგან და ამერიკისგან არის, რომ სამხედრო კამპანიებში რუსეთისთვის ამოცანას არ წარმოადგენს მოსახლეობის კეთილგანწყობა და დემოკრატიული ღირებულებების გატარება შეიძლება ითქვას რომ რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა უკანასკნელ ხანებში და ნამდვილად ფარული და ეშმაკური პროპაგანდა გახდა მისი მძლავრი იარაღი ე.წ ფიბრიდულ ომებში.ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ვალერი გერასიმოვის მიერ ჩამოყალიბებული დოქტრინა: რომელიც „გერასიმოვის დოქტრინის“ სახელითაა ცნობილი რომელსაც უფრო ფართოდ განვიხილავთ შემდგომში.თანამედროვე რუსეთი რა თქმა უნდა არ წარმოადგენს დემოკრატიის სახეს. მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხელისუფლებაში მოსვლის

დღიდან ცდილობდა და კიდეც მიაღწია სახელმწიფოს ისეთი სადავეების ხელში ჩაგდებას, რომელიც საჭიროა სწორედ ფიბრიდული ომების საწარმოებლად ასეთებად კი მიჩნევა მედია საშუალებები, სამოქალაქო საზოგადოება,ოპოზიცია და ა.შ.

დღეს რუსეთის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ავტორიტარული სისტემების განვითარება და გავრცელება.რუსეთს დღეს ხშირად „პოსტ-მოდერნულ იმპერიასაც“ უწოდებენ დღეს უკვე გააჩნია ამბიციები მსოფლიოს მთელ სივრცეში და ამის მაგალითებიც ადასტურებს მის მისწრაფებებს.მისი სურვილი გაავრცელოს საკუთარი გავლენა არ მთავრდება მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს შიგნით ან მხოლოდ მეზობელი ტერიტორიებით ის ცდილობს გავლენა იქონიოს მთელ მსოფლიოზე.რაც ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მისი მოქმედების ტაქტიკაა ის, თუ როგორ ახორციელებს იგი საკუთარ მიზნებს.ამისათვის ის იყენებს როგორც ხისტ ასევე რბილ ძალასაც.ხისტი ძალის გამოყენება რუსეთის ფედერაციიდან არასდროს ყოფილა გასაკვირი საკითხი და არც მომავალში იქნება, თუმცა ნამდვილად წარმოადგენს მისგან ახალი ტიპის სტრატეგიას რომელიც რბილ ძალას ეყრდნობა. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ როგორც რბილი ძალის ასევე ხისტის ძალის სტრატეგიას.

რბილი ძალა რუსეთის სტრატეგიაში.რუსეთისთვის და განსაკუთრებით მისი ლიდერისთვის ყოველი სამხედრო კამპანია აღმოჩნდა ახალი გაკვეთილის მიღების წინაპირობა.თავდაპირველად თუ დავიწყებთ საკუთრივ საზღვრების შიგნით პირველი რომელიც რუსეთისთვის მეტად უსიამოვნო საკითხი გახდა ეს იყო ჩეჩნეთის ორი ომი აქედან პირველი ომი ეს იყო რუსეთის სრული კრახი სადაც უდიდესი ზარალი მიიღო როგორც ადამიანური ისე მატერიალური. ვერ ვიტყვით რომ მეორე ომი მწარე გაკვეთილის შედეგად გამოსწორებული ქმედება იყო თუმცა იგი წარმოადგენდა სრულად ძალთა დემონსტრირებას და გადამეტებული ძალის ჩვენებას რომელსაც მივყავართ კლასიკურ სტრატეგიაში ძალთა თანაფარდობის ხარისხის ცნებასთან სადაც არსებობს ისეთი თანაფარდობა როდესაც წაგება გარდაუვალია სწორედ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი ჩეჩნეთის მეორე ომში თუნცა შეიძლება ითქვას რომ სწორედ აქედან იწყება რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენების ტექნიკის დახვეწა, როდესაც იგი იწყებს მედიის და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებას და ცრუ ინფორმაციის საშუალებით მანიპულირებას ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს

ჩეჩნეთთან დაპირისპირების პერიოდში საქართველოს დადანაშაულება თითქოს ჩვენს ტერიტორიაზე ხდებოდა ჩეჩენი მებრძოლების წვრთნა და შეფარება. რუსეთის შემდგომი სვლა ჩეჩნეთთან მიამრთებაში იყო ხელისუფლების ცვლილება და სათავეში ისეთი ადამიანის დანიშვნა რომელიც გაატარებდა კრემლის მიზნებს.ასეთი იყო ახმად კადიროვის შვილი რამზან კადიროვი აღნიშნულ ნაბიჯს ჰქონდა დიდი დატვირთვა რადგან 2004 წელს მისი მამის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად განიხილებოდა სწორედ კრემლის დავალება სპეცსამსახურებზე ხოლო შემდგომ მოლოდინი რომ მის შვილს შური უნდა ეძია მამის მკვლელებზე, თუმცა როგორც დავინახეთ იგი ჯერ სახელმწიფო მდივნის ხოლო შემდეგ უკვე პრეზიდენტის რანგში რომელმაც გაატარა კრემლის პოლიტიკა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში და რუსეთისთვის მოიხსნა აღნიშნული პრობლემა.შემდგომი მაგალითი უკვე გვაქვს 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ომში გამოყენებულმა პროპაგანდამ საუკეთესოდ იმუშავა დაწყებული პროვოკაციიდან და ომის დაწყების თარიღიდან დამთავრებული საქართეევლოს დადანაშაულებით თითქოს იგი გენოციდს აწყობდა საკუთარ ტერიტორიაზე და რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდა დაეცვა საკუთარი მოსახლეობა ეთნიკური წმენდისგან რომელი მოსახლეობაც ომამდე ევაკუირებული ყავდა ცხინვალის ტერიტორიიდან. აღნიშნულ კონფლიქტში შესანიშნავად იქნა გამოყენებული ოლიმპიური თამაშები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადასატანად და საკუთარ ტელევიზიებში სასურველი ინფორმაციის გაშუქებით კონფლიქტის არასწორი ინტერპრეტაცია.აღნიშნულ ომში გამოყენებულ იქნა როგორც მასმედიის და კიბერ სივრცის ასევე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები.უნდა ითქვას რომ აგვისტოს ომი რუსეთისთვის აღმოჩნდა კარგი პრაქტიკა რათა შემდგომ 2013 წელს უკრაინაში განეხორციელებინა უფრო ეშმაკური ქმედებები და შედარებით ნაკლები სამხედრო მანქანის გამოყენებით მოეხდინა უკრაინის ტერიტორიების ანექსია.როგორც ვთქვით და რუსეთის მოქმედებების დინამიკაც ცხადყოფს რუსეთი სწორად და მიზანმიმართულად ითვისებს ყველა წარსულის გაკვეთილს.საინტერესოა ფაქტია რუსეთის მოქმედებების დაწყება უკრაინაში და ასევე გენერალ ვალერი გერასიმოვის მიერ 2013 წლის 27 თებერვალს გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის დროში დამთხვევა. გენერლის აღნიშნულ სტატიას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს

რუსეთის ახალი ტიპის ომის ხასიათთან.დღეს უკვე აღნიშნული იდეები აშკარად შეკრებილია და „გერასიმოვის დოქტრინითაა“[33] ცნობილი.

გერასიმოვის დოქტრინის არსი ეფუძვნება იდეას, რომლის თანახმად თანამედროვე ომში ხისტი ძალის სანაცვლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რბილი ძალა რომლის მეშვეობითაც მიღწეულ იქნეს მიზნები ნაკლები ძალისხმევის ფასად.იგი აღნიშნავს რომ თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში დომინანტური ადგილი ეკუთვნის საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს.აღნიშნულ საშუალებებს შეუძლიათ მოწინააღმდეგის როგორც სამხედრო ძალაზე ასევე მათ სამოქალაქო საზოგადოებაზე იმოქმედოს მორალურად და ფსიქოლოგიურად ამით მიიღწევა მოწინააღმდეგის ნების გატეხვა და შესაბამისად საკუთარი ხისტი ძალა აღარაა საჭირო.ამ დოქტრინის მკაფიო ანარეკლს წარმოადგენს უკრაინაში განხორციელებული მოვლენები და ყირიმის ანექსია. სადაც ნამდვილად იქნა გატეხილი სამხედრო მოსამსახურეთა და მეთაურთა ნებაც კი, უარი ეთქვათ ბრძოლაზე.უბრალო მარტივმა მოქმედებამ შესაძლოა დიდი ფსიქოლოგიური გავლენა იქონიოს მოწინააღმდეგის მდგომარეობაზე მაგალითად რუსეთის მხრიდან საკუთარი რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გამოყენებით,რომელსაც აქვს შესაძლებლობა დაადგინოს ელექტრომაგნიტური სიგნალის მიმართულება და ამ რადიოტექნიკური დაზვერვის საშუალებების საფუძველზე გამოიძახოს ზუსტი ცეცხლი მოწინააღმდეგის ძალების მიმართულებით.მაგალითად აღმოსავლეთ უკრაინაში უკრაინის სახმელეთო ძალები რადიოშეტყობინებას გადასცემდნენ, როდესაც მათ გაუხსნეს ზუსტი საარტილერიო ცეცხლი.მრავალი მებრძოლი დაშავდა.ამ დროს უკრაინულმა ქვედანაყოფმა მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილურ ტელეფონზე, რუსების მიერ მართული სეპარატისტი მეთაურისგან,რომელიც ეკითხებოდა, როგორი ეფექტი მოახდინა საარტილერიო ცეცხლმა. ასევე ხშირად ხდებოდა მსგავსი სისტემებით უკრაინელ სამხედროებზე შეტყობინების გაგზავნა რომელიც წარმოადგენდა მუქარას მათი ოჯახების წინააღმდეგ და ინფორმაციას მათი ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ.ასეთი ქმედება სცდება ყოველგვარ ზღვარს ომში ეს არ არის ბრძოლის კლასიკური მეთოდი თუმცა კიდევ ერთხელ შეიძლება ავღნიშნოთ რომ ომი ეს არის ძალადობის გამოყენება

[33] http://infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471530452_hybrid-warfare-report-geo_web.pdf

და საკუთარი მიზნების მიღწევისთვის დასაშვებია ყოველი მოქმედება.სწორედ ასეთი მოქმედებებით ცდილობს რუსეთი უკრაინაში მიზნების მიღწევას.გერასიმოვის დოქტრინაში აგრეთვე გამოხატულია უფრო ფართო მასშტაბის მიზნები რომელიც არ შემოისაზღვრება მხოლოდ მეზობელი ტერიტორიებით და რომელიც აღნიშნული დოქტრინის გამოვლინების შემდგომ უკვე გამოჩნდა სირიის კონფლიქტში.სადაც რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.იგი უკვე გვევლინება არა როგორც მცირე მასშტაბის გეოპოლიტიკური აქტორი არამედ როგორც აქტიურად ჩართული მსოფლიოს სამხედრო პოლიტიკურ მოვლენებში.სადაც წარმატებულად იყენებს განსაკუთრებით პროპაგანდისტულ კამპანიებს როგორც მცირე ისე დიდი მოთამაშეების წინააღმდეგ. მაგალითად იგი ავრცელებს ცრუ მაგრამ უამრავ ინფორმაციას ამერიკის წინააღმდეგ სადაც ნათქვამია რომ ამერიკამ „ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები დაიქირავა, რათა სინაიში 2015 წელს რუსული სამგზავრო ავიახაზები ჩამოგდო ან ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა უკრაინულმა ძალებმა სლავიანსკში 2014 წელს სამი წლის ბავშვი ჯვარზე გააკრეს[34]. ასეთი ქმედებით ნაკელბად მაგრამ გარკვეულ საკითხებში წარმატებასაც აღწევს. ფაქტი ერთია, რუსეთმა აშკარად გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ რბილი ძალის გამოყენების საქმეში და საკმაოდ წარმატებით ახორციელებს.

ხისტი ძალა რუსეთის სტრატეგიაში

მიუხედავად რუსეთის მიერ წარმოებული რბილი ძალის სტრატეგიისა და გენერალ ვალერი გერასიმოვის მიერ გამოქვეყნებული სტრატეგიისა რომელიც განიხილავს სამხედრო პოლიტიკური მიზნების მიღწევას არასამხედრო საშუალებებით.ვერაფრით გამოვრიცხავთ რუსეთის მხრიდან ხისტი ძალის გაძლიერებას რომელიც ასევე წლების განმავლობაში განიცდიდა სახეცვლილებას. რუსეთის მეთაური რაღათქმა უნდა აანალიზებს იმასაც რომ როდესაც საქმე შეიძლება მივიდეს უშუალოდ იარაღის გამოყენებაზე ამ შემთხვევაში არასამხედრო საშუალებები ნაკლებად ეფექტურია ვიდრე იარაღი.უნდა ითქვას რომ არც ამ სფეროში წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია გამონაკლისს და აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე იგი ყოველწლიურად

[34] http://cyc.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/

აძლიერებს საკუთარ სამხედრო პოტენციალს.რუსეთისთის კარგი მაგალითი გამოდგა 2008 წლის ომი საქართველოსთან. აღნიშნული ომის შემდეგ რუსეთმა დაიწყო რადიკალური და ყოვლისმომცველი სამხედრო რეფორმები.2010 წლის 21 სექტემბერს მაშინდელმა რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ“, რომლის მიხედვით ექვსი სამხედრო ოლქის რაოდენობა მცირდება ოთხამდე მათი დამსხვილების ხარჯზე(დანართი 1). რაც შეეხება სამხრეთის სამხედრო ოლქს აქ ძალები შემდეგნაირად გაერთიანდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქი და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფება ამასთან გარდა ზემოთ ნახსენებისა დაემატა რუსეთის შავი ზღვის ფლოტი,კასპიის ფლოტილია, სამხედრო საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის მე-4 სარდლობა (დანართი 2).ასეთი გაერთიანების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სწორედ 2008 წელს მიღებული გამოცდილება. ეს იმ ძალებს წარმოადგენს რომელიც ებრძოდა საქართველოს აღნიშნულ ომში სადაც საკმაოდ ბევრი ხარვეზები იქნა აღმოჩენილი კოორდინაციის კუთხით სწორედ ამიტომ ასეთი ნაბიჯით მიღწეულ იქნა ერთიანი მართვის პრინციპი.აღნიშნულ პერიოდში აგრეთვე განხორციელდა ცვლილებები არმიის შიგნითაც რომელიც ეხებოდა როგორც გამარტივებულ მართვა და კონტროლის სტრუქტურას,წვრთნების გაუმჯობესება,ასევე პროფესიონალი ჯარისკაცების ზრდას (რომელსაც ახორციელებს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლით),და ასევე სპეციალური ძალების გაძლიერებით.ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად გაძლიერდა გაერთიანებული ოპერაციების შესაძლებლობა, შიდა უწყებრივი კოორდინაცია და სტრატეგიული მანევრულობა. მეტიც რუსეთმა ასევე გააუმჯობესა იარაღი და აღჭურვილობა საბოლოოდ აღნიშნული რეფორმების დაწყებიდან უკვე 10 წლის შემდეგ შედეგი საკმაოდ რეალური გახდა რომელიც უკვე აისახება რუსეთის მოქმედებებში როგორც უკრაინაში ასევე სირიაში.სანამ სხვა საკითხზე გადავიდოდეთ მინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს მივაქციოთ ყურადღება რომელიც უკეთესად წარმოაჩენს რუსეთის მისწრაფებას გააძლიეროს სამხედრო პოტენციალი ყველა კუთხით და გახდეს ჰეგემონი სახელმწიფო პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ასევე გახდეს ძლიერი მოთამაშე მთელს მსოფლიოში, ეს გახლავთ რუსეთის მიერ სამხედრო ხარჯების

შეფარდებითი წილი ქვეყნის მოსახლეობასთან და მშპ-სთან რომელიც შედარებულია სხვა წამყვან სახელმწიფოებთან (დანართი3). 2011 წლის მონაცემებით, რუსეთის სამხედრო ხარჯების შეფარდება არაპროპორციულია მის მთლიან შიდა პროდუქტთან და მოსახლეობასთან.რუსეთის ჯდპ-ის რაოდენობა არის 6-7 ჯერ დაბალი ვიდრე ამერიკის და ჩინეთის,ასევე მოსახლეობა არის დაახლოებით ორჯერ ნაკლები ვიდრე ამერიკის და თითქმის 10 ჯერ ნაკლები ვიდრე ჩინეთის.მაგრამ ჯდპ-ის პროცენტულობის თვალსაზრისით, რუსეთი თავდაცვისთვის ხარჯავს იმდენსავეს რამდენსაც ამერიკა და ორჯერ მეტს ვიდრე ჩინეთი.ასეთი ტენდენცია კი 2011 წლიდან დღემდე მხოლოდ უმჯობესდება.

ეს რაც შეეხებოდა რუსეთის მიერ შეიარაღებული ძალების რეფორმებს თუმცა ახლა გვინდა განვიხილოთ მისი სტრატეგიული ხედვები აღნიშნული ძალის გამოყენებით.როგორც უკვე აღვნიშნეთ ომის კამპანიაში,წინამოსამზადებელ ან უკვე მოქმედების ეტაპზე არასამხედრო საშუალებებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მთლიანად ომზე, თუმცა ახლა გვინდა განვიხილოთ საკუთრივ კონვენციური და კლასიკური ხედვებით რუსეთის სამხედრო ძალების მხრიდან.აღნიშნულ განხილვაში შედარება იქნება რუსეთის კლასიკური სამხედრო სტრატეგიული გეგმებისა ასევე კლასიკური სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ჰენრი დიტრიხ ბიულოვის სამხედრო თეორიასთან, რომელიც მეორე თავში განვიხილეთ.შევეცდებით გამოვსახოთ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში კერძოდ კავკასიის მიმართულებით შესაძლო სამხედრო გეგმები ბიულოვის გეომეტრიული მოდელით.

საკითხის განხილვისთვის კიდევ ერთხელ მოვიყვანთ იმ მთავარ პრინციპებს რომელიც მიაჩნდა ბიულოვს ომის წარმოებისას. მთავარი რასაც ბიულოვი მიიჩნევდა ეს იყო „ოპერაციის საფუძველი“ ანუ ბაზისი“ (იგივე „მაღაზია“ბიულოვის განმარტებით). ეს ბიულოვის განმარტებით არის საწყისი ბაზები საიდანაც ოპერაციის მსვლელობისას მოხდება საკუთარი ძალების მომარაგება.მეორე მთავარი ცნება ბიულოვისთვის არის ოპერაციული ხაზი რომელსაც შეიძლება მეორენაირად ფრონტიც ვუწოდოთ რადგან ოპერაციის ხაზი წარმოადგენს უშუალო ოპერაციაზე გადასვლას მოწინააღმდეგესთან და მესამე ცნება ეს არის თავად ობიექტი რომლის დაკავება ან განადგურებაც გვსურს. როგორც ბიულოვი მიიჩნევს ოპერაციის წარმოება ერთი ოპერაციის ბაზისიდან ერთი

ოპერაციული ხაზით წარუმატებელია ამიტომ მას მიაჩნია რომ ბაზისები უნდა შეადგენდნენ ერთ ჰორიზონტალურ ხაზს და ოპერაცია უნდა განხორციელდეს ერთიანი ოპერაციული ბაზისის სისტემით. და ასევე გამოყენებულ იქნას რამდენიმე უკან დახევის ოპერაციული ხაზები.ეს რაც შეეხებოდა განმარტებებს ახლა შევეხოთ ყველაზე მთავარს. ბიულოვი გამოყოფდა ორი ტიპის შეტევას პირველი ეს იყო შეტევა მოწინააღმდეგის ცალკეულ ობიექტებზე სამკუთხედის მეთოდით და და მეორე შეტევა მოწინააღმდეგეზე პარალელური ოპერაციული ხაზებით.პირველის არჩევისას, რომელიც სამკუთხედის ფორმას ქმნის შეტევის კუთხე არ უნდა იყოს 60° ნაკლები ამ შემთხვევაში ბიულოვს მიაჩნია რომ ბაზები არასაკმარისადაა ბაზირებული (დანართი4).მეორე როდესაც მოწინააღმდეგეს უტევ პარალელური ოპერაციების ხაზით და ჩვენი ბაზისის სიგრძე ფრონტის მიმართულებით თანაბარია მოწინააღმდეგის ბაზისთან მიმართებით მაშინ ოპერაცია წარუმატებელი იქნება. პარალელური ოპერაციული ხაზის შეტევისას საკუთარი საოპერაციო ხაზი უფრო გრძელი უნდა იყოს მოწინააღმდეგეზე ამ შემთხევაში საშუალება გვეძლევა ვომოქმედოთ მოწინააღმდეგის ფლანგებზე და ზურგში და მივაყენოთ დარტყმები მოწინააღმდეგის ბაზისებს რომელიც ბიულოვის აზრით წარმოადგენს ყველაზე მეტად პრიორიტეტულ სამიზნეებს. ასევე ამ შემთხვევაში დაცულია საკუთარი ფლანგები და ზურგი (დანართი5).ასეთი მოდელის საფუძველზე განვიხილოთ რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება სამხრეთ სამხედრო ოლქის კერძოდ კავკასიის მიმართულებაზე ბიულოვის მეთოდის თანახმად რუსების ძირითადი მექანიზებული შემტევი ბაზები განლაგებულია ერთი ჰორიზონტალური ხაზით. დაწყებული სოხუმის მექანიზებული ბაზიდან და დამთავრებული დერბენტის მექანიზებული ბაზით მათ შორის კი განლაგებულია შუალედური მექანიზებული ბაზები ცხინვალში და დაღესტანი- ჩეჩნეთის საზღვარზე ბოთლიხის სადესანტო ბაზის სახით.მთლიანობაში იქმნება ერთი საოპერაციო ხაზი რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის პარალელური ოპერაციების ხაზებით შეტევისას. უპირატესობა კი გამოიხატება ამ საოპერაციო ხაზის საკმაო სიგრის საფუძველზე იგი აღემატება სავარაუდო შეტევის ობიექტების საერთო საოპერაციო ხაზს სიგრძეში და როგორც ბიულოვი აღნიშნავს ასეთი შეტევის შემთხვევაში საოპერაციო ხაზები უნდა ქმნიდეს არანაკლებ 90°(დანართი6).ასევე თუ განვიხილავთ ცალკეულ ობიექტებზე შეტევას

სამკუთხედის მეთოდით ყველა სავარუდო შეტევის ობიექტისთვის შეტევის კუთხე არ ჩამოუვარდება 60°(დანართი4). ეს არის ბიულოვის მათემატიკური მათოდების ანალოგია რუსეთის სავარაუდო სამომავლო შეტევის სტრატეგიებში.ამას შეიძლება აგრეთვე დავუმატოთ ის დამატებით უმნიშვნელოვანესი საშუალებები როგორიცაა ავიაცია და საზღვაო ძალები და კიდევ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები რომელიც დამატებით აძლიერებს რუსეთის შეტევით სტრატეგიას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო აზროვნებაში არსებობს ორი ტიპის ომის სტრატეგია: პირველი ეხება სამხედრო კონფლიქტებს, რომელიც იწყება შეტევით ფაერიდან, ხმელეთიდან და წყლიდან.იყენებს მაღალი სიზუსტის იარაღს და მეწინავე ტექნოლოგიებს, თუმცა ეს ყველაფერი ხდება საბრძოლო მოქმედებათა თეატრის სივრცეში ანუ კლასიკური სამხედრო სტრატეგიების საფუძველზე, ხოლო მეორე სტრატეგია ეხება არაპირდაპირ მოქმედებებს ე.წ. „წიბრიდულ ომს, რომელიც შთაგონებულია მსოფლიოს უახლესი ისტორიის პრაქტიკული მაგალითებიდან, როგორიცაა „ფერადი რევოლუციები“, „არაბული გაზაფხული“ და სხვა მსგავსი. აღნიშნული მოსაზრება არის რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის გენერალ ვალერი გერასიმოვის შეხედულება ახალ სამხედრო სტრატეგიის შესახებ რომელიც ნამდვილად წარმეტებით ხორციელდება.

3.3 ჟომინის მოდერნიზებული სამხედრო სტრატეგია მოქმედებაში- „შორეული საექსპედიციო ომის“ თეორია (აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე)

ჟომინის -„შორეული საექსპედიციო ომი“ გულისხმობს ნებისმიერი სახის მსხვილმასშტაბიან ოპერაციას საკუთარი სახელმწიფოსგან დიდი მანძილის მოშორებით. ასეთი სახის სამხედრო კამპანიები მრავლადაა ჯერ კიდევ შორეული ისტორიიდან.მის მაგალითს წარმოადგენს ჰანიბალის სამხედრო კამპანია რომის წინააღმდეგ, ასევე ჯვაროსნული ომები წარმოადგენს ნათელ მაგალითს. კლასიკური თეორიების ეპოქაში ნაპოლეონის საომარი კამპანია 1812 წელს რუსეთის მიმართულებით ეს მართლაც კლასიკური გაგებით შეესაბამება ჟომინის თეორიას აღნიშნული კამპანიის წარმატებით დასრულების შემდგომ კი ნაპოლეონის მიზნები

კიდევ უფრო შორს მიმავალი იქნებოდა შუააზიის მიმართულებით თუმცა დამარცხებამ შორეული ექსპედიციის სამომავლო გეგმებიც დაასამარა. როგორც უკვე განვიხილეთ მეორე თავში, ჟომინის მიხედვით შორეული ექსპედიციის რამდენიმე სახე არსებობს:

- კონტინენტური შეჭრები ანუ შემოსევები.
- კონტინენტზე მოკავშირეების დახმარების მიზნით.
- კომბინირებული სახმელეთო საზღვაო საომარი კამპანია.
- ზღვისგაღმა ექსპედიციები რომელთა მიზანს წარმოადგენს კოლონიების მოპოვება ან დაცვა.
- მსხვილი დესანტი რომელიც მოქმედებს დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

რაც შეეხება შორეული ექსპედიციის თანამედროვე საომარ კამპანიებში წარმოჩენას შეიძლება ითქვას რომ ცვლილებს განიცდის თავად მიმდინარეობისას, ხოლო მიზნები და სახეები იგივეა რასაც ჟომინი გვთავაზობს.რაც შეეხება მოქმედებაში განსხვავებას ამას ალბათ კვლავ სამხედრო ტექნოლოგიურ განვითარებას მივაწერთ რადგან ჯომინის მიერ აღნიშნულ ექსპედიციის სახეებს კიდევ სხვა სივრცობრივი პარამეტრებიც ემატება როგორიცაა ჰაერი, წყალქვეშა სივრცე კოსმოსი და ასევე ვირტუალური სივრცე.ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს განვიხილოთ ახალ თანამედროვე ეპოქაში მომხდარი მსგავსი სამხედრო კამპანიები და შედარება მოვახდინოთ ჟომინის მიერ მოცემულ თეორიასთან. წარსულშიც და დღესაც ასეთი ტიპის კამპანია შეუძლია აწარმოოს მხოლოდ ეკონომიკურად და სამხედრო ძლიერების კუთხით ძლიერმა სახელმწიფოებმა, რომელსაც შესწევს ძალა მოახდინოს ყველა სახის უზრუნველყოფა საკუთარი ძალებისთვის და ასევე შესწევდეს ძალა იმოქმედოს კოორდინირებულად.

კონტინენტური შეჭრა ანუ შემოსევები.ასეთი ფაქტი თანამედროვე სამხედრო მოქმედებებში ძალზედ ნაკლებია შეიძლება ითქვას რომ თითქმის არც არსებობს. მისი მიზანია ახალი ტერიტორიების ძებნა მათი რესურსების გამოყენება დარბევა და განადგურება მსგავსი ფაქტები ხშირად გვხვდება წარსულის ეპოქებში როგორიცაა მონღოლების შემოსევები ან თემურ ლენგის ლაშქრობები თუნდაც მაკედონელის ლაშქრობები და სხვა. მისი ფართო მასშტაბიდან და მიზნების ამბიციურობიდან შეიძლება მეორე მსოფლიო ომის და ჰიტლერის ამბიციების შედარება როგორც კონტინენტური შეჭრა აზიის კონტინენტზე და ასევე აფრიკის მიმართულებით.

ექსპედიცია კონტინენტზე მოკავშირეების დახმარების მიზნით ამგვარი ექსპედიციების კარგი მაგალითია თანამედროვე სამხედრო ოპერაციები რუსეთის ფედერაციის მხრიდან სირიის მოქმედი ხელისუფლების მხარდასაჭერად იგი ყოველთვის უჭერდა მხარს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადს.ასევე ირანიც საკმაოდ აქტიურადაა ჩართული კამპანიაში.ამ კამპანიაში რუსეთის მიზნები რა თქმა უნდა არ შემოიფარგლება მხოლოდ მოკავშირის დახმარებით ისევე როგორც დასავლეთისთვის და ამერიკისთვის არ არის მხოლოდ ოპოზიციის გამარჯვება საბოლოო მიზანი.არსებობს კიდევ სხვადასხვა არც თუ ლოგიკას მოკლებული მოსაზრებები მის მიზნებთან დაკავშირებით რომ ეს იყო ერთგვარი ყურადღების გადატანა უკრაინაში მომხდარი მოვლენებისა, ასევე ერთერთ მიზნად შეიძლება დასახელდეს რუსეთის ფედერაციის ავტორიტეტის ზრდა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც სირიის ხელისუფლების გამარჯვებამ შეიძლება მოიტანოს.ვერსად გავექცევით იმ ფაქტს რომ ასევე რუსეთი წარმატებით იყენებს და შეიძლება ვთქვათ კიდეც რომ ცდის საკუთარ სამხედრო პოტენციალს, როგორც ტექნოლოგიური ასევე ადამიანური კუთხით.ამ ყველა ქმედებაში იკვეთება რუსეთის მიზნები გახდეს საერთაშორისო მოთამაშე და გაზარდოს გავლენის სივრცეები მსოფლიოში. როგორც გამოიკვეთა რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებებიდან მას დიდად არ აინტერესებს დემოკრატიის პრინციპები და რომელიც დასავლეთისთვის ნომერ პირველ დასაცავ ობიექტს წარმოადგენს.ამიტომ სახეზე გვაქვს რუსეთის მხრიდა წაქეზებული ასადის მკაცრი და სასტიკი მოქმედებები ოპოზიციის მიმართულებით როემლშიც უფრო მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება ეს შეეხება ქიმიური იარაღის გამოყენებას და რუსეთის მხრიდან ავიაიერიშებს.მეორეს მხრივ სირიის ოპოზიცია დახმარებას იღებს ევროპის სახელმწიფოებისგან და რათქმა უნდა ამერიკისგან რომელთა მთავარი ღირებულება დემოკრატიული პრინციპების გავრცელებაა და ფიქრობენ რომ ასადი თავისი დიქტატორული ქმედებებით და რუსეთი სამხედრო ჩარევით რომელსაც მშვიდობიანი ხალხი ეწირება ხელს უშლიან დემოკრატიის გავრცელებას. სირიის კონფლიქტი თავისი ღრმა საფუძვლებით შეიძლება განვიხილოთ როგორც მოქმედება უფრო ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ ეს შეეხება რუსეთს როგორც ევროპის

და ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლა და პირიქით ამერიკის მხრიდან ეს არის ბრძოლა რუსეთის აგრესიული და წამქეზებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ჟომინისეულ შორეული ექსპედიციის სხვა სახეებს თანამედროვე პერიოდში შეიძლება გამოვყოთ კიდევ ერთი სახე ეს არის მსხვილი, სტრატეგიული დესანტი რომელიც მიმართულია დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ. უფრო ადრე პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დროს ასეთ მაგალითს წარმოადგენს ოპერაცია „თორჩი“ [35] . მოკავშირეების მხრიდან განხორციელებული სტრატეგიული დესანტი აფრიკის კონტინენტზე რომელიც მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა სტრატეგიულად მის ალყაში მოქცევას და აფრიკის მიმართულების დაბლოკვას ასევე წარმეტების შემთხვევაში მოკავშირეები გადიოდნენ კიდევ უფრო შორს როგორიც შეიძლება ყოფილიყო სუეცის არხი ახლო აღმოსავლეთი და გერმანია ექცეოდა სტრატეგიულ ალყაში. უფრო ახალ პერიოდში ასეთი ოპერაციის ნათელს მაგალითს წარმოადგენს ერაყის წინააღმდეგ წარმოებული ომები, კერძოდ ოპერაცია, რომელიც „უდაბნოს ქარიშხალის“[36][37] სახელითაა ცნობილი. ეს იყო 1991 წელს ერაყის სამხედრო აგრესიული მოქმედება ქუვეითის ტერიტორიაზე რომელსაც წინ აღუდგა გაეროს გაერთიანებული კოალიცია აშშ-ის მეთაურობით.აღნიშნულ კამპანიაში მოკავშირეთა მიზნებს წარმოადგენდა ერაყის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის შეკავება. მოკავშირეები ხვდებოდნენ რომ სირიის მხრიდან ქუვეითის დაპყრობას მოყვებოდა არასასიამოვნო შედეგები მთელ ახლო აღმოსავლეთში.საფრთხე იქმნებოდა ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგ როგორიცაა საუდის არაბეთი ისრაელი და თავად ქუვეითი შედეგად შეიცვლებოდა სურათი დასავლეთისთვის ნავთობის მოპოვების და მიწოდების გზებზე ამიტომ გაეროს მიერ წაყენებული „რეზოლუცია 678“-ის შეუსრულებლობის საფუძველზე, რომელიც მოითხოვდა ერაყელების მხრიდან ჯარების გაყვანას ქუვეითის ტერიტორიიდან,კოალიციამ დაიწყო შეტევა ერაყელების წინააღმდეგ.როგორც ყველა თანამედროვე ოპერაციებში მოკავშირეთა მხრიდან გამოყენებული იქნა ძალთა მაქსიმალური რაოდენობა და

---

[35] კახა კაციტაძე-„სტრატეგიის საფუძვლები“ გვ.59

[36] https://cecxli.wordpress.com/2014/05/01/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%

[37] %94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0-2/

ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობა როგორიცაა საჰაერო სივრცე რომელსაც მოჰყვა სუფთა კონვენციური მოქმედებები ხმელეთზე სადაც გამოყენებული იქნა მექანიზებული და სატანკო ქვედანაყოფები.აღნიშნული ოპერაციაში საუკეთესოდ იქნა გამოყენებული როგორც ტაქტიკურ ასევე სტრატეგიულ დონეზე GPS-ნავიგაციის სისტემები.საბოლოოდ კი კოალიციურმა ძალებმა დაამარცხეს ერაყელები.აღნიშნული ოპერაცია ითვლება ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და წარმატებულ ოპერაციად, რომელიც კი ჩატარებულა თანამედროვე პერიოდში.

საბოლოოდ როგორც ჩვენი კვლევა გვაჩვენებს ჟომინის თეორია შორეული ექსპედიცია მეტად პოპულარული და გამოყენებადია თანამედროვე ეპოქაშიც კი და მისი მაგალითებიც მრავლადაა.მიუხედავად ომის და საბრძოლო მოქმედებათა ხასიათის ცვლილებისა, რომელშიც ტექნოლოგიურმა განვითარებამ დიდი მნიშვნელობა იქონია, ასევე შემცირდა სივრცის დაძლევის პრობლემები გახდა უფრო კომლექსური და შესაბამისად რთულიც, თუმცა თეორია მაინც დგას იგივე მიზნებზე და პრინციპებზე მაგალითად შორეული ექსპედიციის თეორია კვლავ რჩება ძლიერ სახელმწიფოთა პრეროგატივად და ასეთი ტიპის მოქმედებები კვლავ წარმოადგენს საფრთხის გადატანას საკუთარი სახელმწიფოს საზღვრიდან შორს, საიდანაც შედარებით რთულია სახელმწიფოს უსაფრთხოების დარღვევა.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რას წარმოადგენს სამხედრო სფერო მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემაში, როგორ მოქმედებს მასზე და როგორ განიცდის თავად სახეცვლილებებს. ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე ჩვენ პასუხები გავეცით ჩვენს მიერვე შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებს:

- რამ გამოიწვია თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებში და დაგეგმვის პროცესში ცვლილებების აუცილებლობა და კონკრეტულად როგორ შეიცვალა თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების და სამხედრო სტრატეგიული მიდგომების თვისებები?

პირველი საკვლევი კითხვის პასუხი შეიძლება ამგვარად ჩამოვაყალიბოთ- მთავარი ფაქტორი რაც მუდმივად ცვლის ომის წარმოების ტაქტიკას და სტრატეგიას ეს არის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცვლილებები. მისი გავლენით თანამედროვე საომარი მოქმედებები გახდა მეტად კომლექსური და შესაბამისად რთულიც. კლასიკური სამხედრო სტრატეგიების ეპოქიდან დღემდე უამრავი ცვლილებების ეტაპმა გაიარა.აუცილებელი გახდა ცვლილებები სამხედრო სტრატეგიებში დაგეგმვის ეტაპზე, რომლებიც გამოიწვია ისეთმა სიახლეებმა როგორიცაა ომის სხვადასხვა განზომილებების გაჩენამ ეს არის საჰაერო, კოსმოსური, წყალქვეშა და ვირტუალურმა სივრცემ. რა შეუძლია სახელმწიფომ დაუპირისპიროს მეორე სახელმწიფოს რომელსაც

გააჩნია ზეზუსტი იარაღი, რომელსაც გააჩნია შორსმსროლელი ბალისტიკური რაკეტები, რომელიც აკონტროლებს საჰაერო სივრცეს და რომელიც ფლობს უდიდეს პოტენციალს ინფორმაციული სივრცეში.ასეთ შემთხვევაში კლასიკური სტრატეგიის პერიოდის სამხედრო დაგეგმვის მეთოდი აღარაა ისეთი ეფექტური გვჭირდება ისეთი სიახლეების შეტანა დაგეგმვის პროცესში რომელიც წარმოადგენს ერთგავარი ეშმაკობის ხერხებს და ფაქტიურად გადადის ვირტუალურ სივრცეში.საბრძოლო მოქმედებები მეტ წილად აღარ იყენებს აქტიურ საბრძოლო ელემენტებს, როგორიცაა ბრძოლა არამედ ცდილობს ბრძოლამდე მოახდინოს მოწინააღმდეგის ნების გატეხვა.

- რა როლს თამაშობს სამხედრო კლასიკური თეორიები თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას?

მეორე საკვლევი კითხვის პასუხი მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა ახალი გარემოებები მაინც არ აღმოჩნდა ომის კონტაქტური ფაზის საბოლოოდ დავიწყების მიზეზი. როგორც კვლევებმა გვიჩვენა თანამედროვე ეპოქაში, იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა გამოსავალი აღარ რჩება პოლიტიკას ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ომის ფენომენი, ხოლო ამ უკანასკნელს კი ნებისმიერ ეპოქაში ჭირდება ომის ხელოვნების ცოდნა, რომელი ცოდნაც საუკეთესოდაა წარმოდგენილი სწორედ კლასიკურ სამხედრო სტრატეგიებში. სწორედ ასეთ ვიტარებაში მეტად აქტიურად გამოიყენება წარსული ომების გამოცდილება და კლასიკური სამხედრო სტრატეგიის ფენომენი. შეიძლება ითქვას რომ ნებისმიერმა სტრატეგმა ჯერ უნდა შეისწავლოს ომის ხელოვნება და შემდეგ ის თუ როგორ გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები.ნაპოლეონის ეპოქამ უდიდესი ცვლილებები მოიტანა სამხედრო სფეროში.ამ პერიოდის სამხედრო თეორიული ნაშრომები აღმოჩნდა ფასდაუდებელი კვლევები არაერთ სამომავლო ოპერაციებში და აღნიშნული ტენდენცია თანამედროვე ეპოქაშიც ნათელ მაგალითებს გვთავაზობს, რომელიც განხილულ იქნა ჩვენს ნაშრომში.

- რომელი ქვეყნების სამხედრო სტრატეგიულ მიდგომებში ჰპოვებს ასახვას კლასიკური და მოდერნიზებული სამხედრო სტრატეგიები და როგორი ფორმით?

მესამე საკვლევი კითხვა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები, რომელთა გავლენის სფეროები საკმაოდ ფართოა გამომდინარე

მათი სიძლიერიდან რომელიც მოიცავს ბევრ საკითხს და ყველაზე მეტად კი სამხედრო პოტენციალს ასე რომ სტრატეგიები რომლებიც ეფუძვნება ფართო მასშტაბიან ოპერაციებს შეიძლება აწარმოოს მხოლოდ ძლიერმა სახელმწიფოებმა ასეთები კი დღეს არიან აშშ და ზოგიერთი ევროპის სახელმწიფო და ასევე სწრაფად განვითარებად და დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე რუსეთის ფედერაცია.

რაც შეეხება ჩვენს მიერ დასმულ ჰიპოთეზას, მოხდა თუ არა კლასიკური სამხედრო სტრატეგიის ტრანსფორმაცია თანამედროვე სამხედრო მოქმედებებში, ვფიქრობთ რომ აღნიშნულმა ნაშრომმა პასუხი გასცა და შეიძლება ითქვას, რომ ომის ხასიათში არსებობს უცვლელი ფაქტორები, რომელიც ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და მისი შესწავლა აუმჯობესებს ომის სურათის საერთო ხედის დანახვას, ხოლო რაც შეეხება ცვალებად ფაქტორებს რომელიც მოაქვს განვითარებას ეს უკვე ომში მონაწილე მხარეებს სძენს ახალ შესაძლებლობებს.

თემის საბოლოო სიტყვისთვის შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ფენომენი ჯერ ჯერობით არ კარგავს საკუთარ გავლენას მსოფლიო პოლიტიკაზე და სავარაუდოდ არც არასდროს დაკარგავს.სამხედრო სფერო წარმოადგენდა და კვლავ წარმოადგენს სახელმწიფოების ძალას წარმართონ საკუთარი პოლიტიკა და გამოიყენონ იგი ამ პოლიტიკის განსახორციელებლად. ამისათვის საჭიროა მუდმივი მზადყოფნა მოსალოდნელ საფრთხეებთან გასამკლავებლად. მზადყოფნას კი უზრუნველყოფს მსოფლიოს განვითარებისადმი მუდმივად ფეხის აწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1 „სტრატეგიის საფუძვლები“_კახა კაციტაძე

2 „ჯარისკაცი და სახელმწიფო“_სამუელ ჰანტინქტონი

3 ნიკა ჩიტაძის _“გეოპოლიტიკა“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011 წელი.

4 არჩილ გეგეშიძე_“გეოპოლიტიკა“ თბილისი 1999 წელი.

5 ირაკლი გორგილაძე _“გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2009 წელი.

6 სამეთაურო საშტაბო კოლეჯი „ომის თეორია და ბუნება-წიგნი პირველი“ თბილისი 2014.

7 „SOFT-POWER რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში“-თენგიზ ფხალაძე

8 ალექსანდრე რონდელი-„როგორ შეცვალა სამხედრო ტექნოლოგიამ ომის ხასიათი“.

9 კახა კაციტაძე- „მორის ნასაუელი, გუსტავ ადოლფი, რაიმონდო მონტეკუკოლი და მე-17 საუკუნის “სამხედრო რევოლუცია”

10 სუნ-ძი “ომის ხელოვნება“

11 Air Force Studies and Analyses Agency EFFECTS OF AIR INTERDICTION ATTACKS ON ADVANCING ARMORED AND MECHANIZED GROUND FORCES

12 Dr. Richard P. Hallion, SES- „CONTROL OF THE AIR: THE ENDURING REQUIREMENT“

13 Joseph-Nye-„understanding international conflicts study guide“

14 „Strategic Theory and The History of War“

15 „Reflectio on future war“-Mackubin thomas owens

16 Mackubin Thomas Owens „STRATEGY AND THE STRATEGIC WAY OF THINKING“

17 Vitaly Zhurkin-„Russia and the Enlargement of NATO“-Daniel moran

18 Russian military capability in a ten-year perspective_ 2013. Jakob Hedenskog and karolina Vendil Pallin.

19 Modern strategy_colin s. gray

20 „Cooporative security structures of the western world:Challenges to western security in the XXI century.“-Anthony Forster

21 “COSTS OF A NEW COLD WAR The U.S.-Russia Confrontation over Ukraine” - Paul J. Saunders, Editor

22 „Department of Military Strategy, Planning, and Operations“-U.S. Army War College

23 ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება http://infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471530452_hybrid-warfare-report-geo_web.pdf

24 სპარსეთის ყურის ომი (ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“) ნაწილი II https://cecxli.wordpress.com/2014/05/01

25 „MCDC Countering Hybrid Warfare Project:Understanding Hybrid Warfare“MCDC January 2017 https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment

_data/file/647776/dar_mcdc_hybrid_warfare.pdf

26 რუსეთი თანამედროვე ავტორიტარიზმის წარმატება http://cyc.ge/

27 „Understanding Military Strategy and the Four Levels of War“- https://www.esquire.com/news-politics/politics/news/a39985/four-levels-of-war/

28 Matej Cota -„War-making in NATO's strategic culture: the transformation of modern Western strategy“- https://ru.scribd.com/document/281163295/War-Making-in-NATO-Strategic-Culture-Transformation-of-Modern-Western-Strategy

29 The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/

დანართები

დანართი 1
Russia's regional military commands
By December 1, 2010, the number of military districts in Russia will be cut from six to four.
Unified strategic commands will be set up on their basis
The Kaliningrad special region
The Baltic Fleet
The Western Military District (West Strategic Command) with headquarters in St. Petersburg
The Moscow and Leningrad military districts
The Central Military District (Central Strategic Command) with headquarters in Yekaterinburg
The Volga-Urals Military District and the western part of the Siberian Military District
St. Petersburg
Yekaterinburg
Rostov-on-Don
Khabarovsk
The South Military District (South Strategic Command) with headquarters in Rostov-on-Don
The North Caucasus Military District
The East Military District (East Strategic Command) with headquarters in Khabarovsk
The Far East Military District and the eastern part of the Siberian Military District
The reduction of the number of military districts will not lead to cuts in the military personnel. The 150,000 officers currently serving in the Army will continue to perform their duties, but officers may be moved to serve at new locations
RIANOVOSTI © 2010
www.rian.ru


დანართი 2
22
აქსაი, როსტოვის ოლქი
20
ვოლგოგრადი
56
კამიშინი, ვოლგოგრადის ოლქი
727
Astrakhan
Sea of Azov
Kropotkin
Slavyansk-na-Kubani
382
Krasnodar
Armavir
Stavropol
247
108
10
33
Belorechensk
Nevinnomyssk
Budyonnovsk
205
Simferopol
Sevastopol
810
Maykop
Apsheronsk
Tuapse
Cherkessk
Mineralnye Vody
Georgiyevsk
Fort-Shevch
Kislovodsk
Pyatigorsk
Kizlyar
100
Baksan
Malgobek
Nalchik
Sochi
34
Grozny
18
Vladikavkaz
Khasavyurt
19
17
414
Makhachkala
8
Buynaksk
136
Izberbash
Derbent
Kutaisi
Georgia
Tbilisi
Rustavi
Kars
Gyumri
Ganja
Mingachevir
Sumgait
Baku
Azerbaijan
Shirvan
Pärsabäd
Armenia
Igdir
Erzurum
Erzincan
Sivas
Trabzon
Rize
Giresun
Ordu
Fatsa
Samsun
Bafra
Kastamonu
Karabük
Çankırı
Çorum
Amasya
Tokat
Turhal
Kirikkale
Ankara
Yozgat
Sorgun
Polatlı
Kırşehir
Boğazlıyan
Turkey
Kayseri
Aksaray
Nevşehir
Elbistan
Malatya
Elazig
Bingöl
Muş
Ahlat
Van
Özalp
Patnos
Doğubeyazıt
Erciş
Khoy
Marand
Ardabil
Tehran
Samxedro flotis bazis
saavia cio bazis
mexanizirebuli brigada/bazis
samoto mexanizirebuli brigada
sadazvervo brigada (eqsperimenturi)
GRU-s specdanicnulebis brigada
sadesanto-mioirimi brigada
saxmeleo qveiti brigada
sadesanto-mioirimi polki (VDV-s me-7 diviziis)
calkeuli saxmeleo qveiti batalioni
me-7 bazis
me-4 bazis
102-e bazis

დანართი 3
Russia is the world leader in military expenditures boosting
Moscow's military costs increased by 15.6% during the year.
Generally, they have doubled during the last decade.
-6% by 2011
National military budgets (2012), billion
+15,6% by 2011
+7,8% by 2011
USA $668 4,4% GDP
CANADA $22 1,3% GDP
FRANCE $62 2,3% GDP
GREAT BRITAIN $60 2,5% GDP
GERMANY $49 1,4% GDP
UKRAINE $4,8 2,7% GDP
RUSSIA $91 4,4% GDP
ITALY $34 1,7% GDP
TURKEY $18 2,3% GDP
SOUTH KOREA $31 2,7% GDP
JAPAN $59 1,0% GDP
CHINA $157 2,0% GDP
INDIA $48 2,5% GDP
Thus, Russian military expenditures are disproportionate in comparison with the GDP amount and the population. The Russian GDP amount is 6-7 times lower that the American and the Chinese, Russian population is approximately twice (2 times) less than in the USA, and almost 10 times less than in China. But in terms of the GDP percentage, Russia is spending for the defense as much as USA does, and twice more than China does.


დანართი 4
შეტევა ცალკეულ ობიექტებზე სამკუთხედის პრინციპით
>60°
ბათუმი
თბილისი
ყვარელი
Data SIO, NOAA, U.S. Navy, NGA, GEBCO
Image Landsat / Copernicus
Google earth


დანართი 5
შეტევა პარალელური ოპერაციული ხაზებით
Chechnya
North Ossetia–Alania
Georgia
Dagestan Republic
ბათუმი
თბილისი
Rize
Artvin
Ardahan
Kars
Armenia
Erzurum
Azerbaijan
US Dept of State Geographer
© 2018 Basarsoft
Image Landsat / Copernicus
© 2018 Google
Google earth


დანართი 6
წარმატებული პარალელური ოპერაციების შეტევის მოდელი
>90°
>90°
ბათუმი
თბილისი
Data SIO, NOAA, U.S. Navy, NGA, GEBCO
Image Landsat / Copernicus
Google earth